Kia Connect

გამოყენების პირობები

ჩვენ განვაახლებთ გამოყენების პირობებს და კონფიდენციალურობის შეტყობინებას. არსებული მომხმარებლებისთვის გამოყენების განახლებული პირობები და შეტყობინება კონდიფენციალურობის შესახებ ძალაში შევა 2025 წლის 25 აგვისტოს.

ამ თარიღის შემდეგ თქვენ უნდა დაეთანხმოთ გამოყენების განახლებულ პირობებს და დაადასტუროთ კონფიდენციალურობის შეტყობინება ჩვენი სერვისებით სარგებლობის გასაგრძელებლად. გამოყენების ეს პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: https://connect.kia.com/eu/downloads. აღნიშნული თარიღის შემდეგ ჩვენი სერვისების გამოყენება დაექვემდებარება კონფიდენციალურობის განახლებულ შეტყობინებას.

რა არის ახალი?

ბოლო განახლებაში განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები:

- ახალი ფუნქციები მოთხოვნით შემდეგ სექციებში 5.2.6; 5.2.7 და 5.2.8
- ახალი პუნქტი 12 ევროკავშირის მონაცემთა აქტის ასახვის მიზნით

გაეცანით განახლებულ გამოყენების პირობებს და კონფიდენციალურობის შეტყობინებას სრულად. განახლებული გამოყენების პირობები და შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად ბმულიდან https://connect.kia.com/eu/downloads.

ბოლო განახლება: 2025 წლის 25 აგვისტო

1. გამოყენების წინამდებარე პირობების ფარგლები, ხელშემკვრელი მხარეები
2. საკონტაქტო მონაცემები
3. სერვისების გამოყენება და წინაპირობები
4. სერვისები
5. ვერსიის განახლებები; Kia Connect Store
6. საავტორო უფლება
7. მომხმარებლის ვალდებულებები და შეზღუდვები
8. მომსახურების გადასახადი
9. მომსახურების ხელმისაწვდომობა
10. მონაცემთა დაცვა
11. ვადა, შეწყვეტა
12. მონაცემებზე წვდომა და მათი გამოყენება ევროკავშირის მონაცემთა აქტის შესაბამისად
13. ცვლილებები სერვისებში; ცვლილებები გამოყენების წესებში
14. სხვადასხვა
15. მომხმარებელთა მომსახურება / საჩივრები
16. სერვისებთან და განახლებების შეძენასთან დაკავშირებით, უარის თქმის უფლების შესახებ ინსტრუქციები
17. კანონიერი პასუხისმგებლობა ხარვეზებზე
18. პასუხისმგებლობა
19. ადგილობრივ კანონში ცვლილებები

1. გამოყენების წინამდებარე პირობების ფარგლები, ხელშემკვრელი მხარეები

1.1. ხელშემკვრელი მხარეები

გამოყენების ეს პირობები („გამოყენების პირობები“) ვრცელდება Kia Connect აპის („Kia Connect აპლიკაცია“) გამოყენებაზე ან/და Kia Connect-ის გამოყენებაზე ავტომობილის მთავარი მოწყობილობის („მთავარი მოწყობილობა“) მეშვეობით, რომელიც Kia Connect-ის გარკვეული სერვისების („სერვისები“) და Kia Connect-ის განახლებების („განახლებები“) გამოყენების საშუალებას გაძლევთ.

მომსახურებებს და განახლებებს უზრუნველყოფს Kia Connect GmbH, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით HRB 112541, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, ელ-ფოსტის მისამართი: info@kia-connect.eu („Kia“; „ჩვენ“; „ჩვენს“; „ჩვენი“), სერვისების მომხმარებლისთვის („მომხმარებელი“ ან „თქვენ“).

1.2. გამოყენების ამ პირობების ფარგლები

ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება და მომსახურების პირობების შესაბამისად, მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება, იურიდიულად ცალკეული საქმიანი გარიგებები და ხელშეკრულებებია. ერთ-ერთი ხელშეკრულების შესრულებას, შესაბამის სხვა ხელშეკრულებაზე არანაირი გავლენა არ ექნება. გარკვეულ პირობებში, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მომხმარებელმა ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება სერვისებით სარგებლობის გარეშე შეასრულოს. საპირისპირო შემთხვევაში, ე.ი. ავტომობილის

ნასყიდობის ხელშეკრულების საპირისპირო ტრანზაქციის („Rückabwicklung“) შემთხვევაში, აღნიშნული ავტომობილისთვის მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება შეიძლება 11.4 პუნქტის შესაბამისად შეწყდეს.

1.3. Kia Connect აპის მეშვეობით სერვისების გამოყენება, ინტერნეტთან წვდომას, ან სხვა სატელეკომუნიკაციო სერვისებს (იხილეთ ასევე პუნქტი 3 სერვისების გამოყენების წინაპირობების შესახებ) საჭიროებს. გამოყენების ეს პირობები არ ვრცელდება სატელეკომუნიკაციო სერვისებზე, რომლებიც Kia Connect აპის საშუალებით სერვისებით სარგებლობისთვის არის საჭირო. ისინი თქვენი სატელეკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელთან ცალკე შეთანხმებას (მათ შორის საფასურს) ექვემდებარება.

2. საკონტაქტო მონაცემები

2.1. Kia Connect GmbH-თან კონტაქტი
თუ გამოყენების წინამდებარე პირობებთან, ან სერვისებთან დაკავშირებით, ან მათ შესახებ, რაიმე შეკითხვა გაქვთ, შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე დაგვიკავშირდეთ:
Kia Connect GmbH
ელფოსტა: info@kia-connect.eu
ჩვეულებრივი საფოსტო მისამართი: Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany
ტელეფონის ნომერი: +49 800 5330012

2.2. მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურის საკონტაქტო მონაცემები
მომხმარებლის მხარდაჭერისთვის გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს საკონტაქტო ფორმას:
https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form/

2.3. მონაცემთა დაცვის მოთხოვნები
მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემთხვევაში და სერვისების კონტექსტში შეგროვებულ და დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო დეტალებისთვის, გთხოვთ, ჩვენი Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება იხილოთ, რომლის ჩამოტვირთვაც შემდეგი ვებგვერდიდან შეგიძლიათ: https://connect.kia.com/eu/downloads.

3. სერვისების გამოყენება და წინაპირობები

3.1. ავტომობილი, რომელშიც Kia Connect არის მხარდაჭერილი
Kia Connect სერვისების გამოყენებისთვის საჭიროა, რომ თქვენი ავტომობილის მთავარი ბლოკი აღჭურვილი იყოს Kia Connect-ით, ანუ ტექნიკურად შეეძლოს Kia Connect-ის სერვერთან დაკავშირება. ეს დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელზე, მოდელის გამოშვების წელსა და კომპლექტაციაზე. შეგიძლიათ გაიგოთ, აქვს თუ არა თქვენს ავტომობილს Kia Connect მხარდაჭერა შემდეგ ვებ-გვერდზე გადასვლით:
https://owners.kia.com/content/owners/en/uvo-availability.htm.

3.2. Kia Connect-ის აპი და მთავარ მოწყობილობა
თქვენ შეგიძლიათ, სერვისები Kia Connect აპის და/ან მთავარ მოწყობილობის მეშვეობით გამოიყენოთ, სერვისის შესაბამისად: 4.2.1 პუნქტში („Kia Connect აპი“) ჩამოთვლილი სერვისები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ Kia Connect აპთან ერთად; 4.2.2 („ავტომობილის შიდა სერვისები“) და 4.2.3 („OTA განახლებები“) პუნქტებში ჩამოთვლილი სერვისების გამოყენება შესაძლებელია მთავარი მოწყობილობის მეშვეობით. Kia Connect აპის გამოყენება Kia-ს ანგარიშს მოითხოვს და შესაძლოა, Kia Connect აპის Kia-ს ერთ, ან მეტ ავტომობილთან დაკავშირება მოგიწიოთ. მთავარი მოწყობილობის მეშვეობით სერვისებით სარგებლობისთვის, თქვენ რეგისტრაცია და Kia-ს ანგარიში არ გჭირდებათ.

3.3. ინტერნეტით კავშირი
სერვისების გამოსაყენებლად საჭიროა, რომ მანქანას და - Kia Connect აპთან სერვისების ურთიერთქმედების შემთხვევაში - ასევე მობილურ მოწყობილობას, რომელშიც Kia Connect აპი მუშაობს, ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა ჰქონდეს. გარდა ამისა, სერვისების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანქანის მთავარი მოწყობილობა „დასაკავშირებლად მზა“ მდგომარეობაშია. ეს ძირითადად ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მანქანა (ანთება) შვიდ დღეზე მეტი ხნის განმავლობაშია გამორთული.
თუ მანქანა შვიდ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ გამორთულია, საჭიროა „მყარი გადატვირთვა“ „დასაკავშირებლად მზა“ მდგომარეობაზე დასაბრუნებლად და სერვისების ხელახლა ჩასართავად. ამისათვის საკმარისია, რომ სანამ მანქანა ჩართულია, მთავარ მოწყობილობაში გადატვირთვის ღილაკს, კალმის გამოყენებით, ხუთი წამის განმავლობაში დააჭიროთ.

3.4. თავსებადი მობილური მოწყობილობა
Kia Connect აპით სარგებლობისთვის (იხ. 4.2.1 პუნქტი), თავსებადი მობილური მოწყობილობის გამოყენებაა საჭირო. გამოყენების ამ პირობების გამოქვეყნების დროს Kia Connect აპი ხელმისაწვდომია Android (მინიმალური ვერსია: Android 5.0) და iOS (მინიმალური ვერსია: iOS 13) პლატფორმებისთვის. Kia Connect აპის მომავალ განახლებებს შესაძლოა შესაბამისი პლატფორმების უფრო ახალი ვერსიები დასჭირდეს.

3.5. თავსებადი მობილური საკომუნიკაციო ქსელების ხელმისაწვდომობა

მობილური კომუნიკაციების აპარატურა და შესაბამისი SIM-ბარათი, რომელიც ჩაშენებულია თქვენი ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში, თავსებადია მხოლოდ გარკვეულ 4G/LTE სიხშირეებთან. თავსებადი 4G/LTE ქსელების და თავსებადი სიხშირეების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია გარე სერვისის პროვაიდერებზე და განსხვავდება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებს შორის. ზოგიერთ რეგიონში თავსებადი 4G/LTE სიხშირეები ხელმისაწვდომი არ არის. ამ შემთხვევაში მთავარი ბლოკი სერვისების უზრუნველსაყოფად იყენებს 2G ან 3G ქსელებს (სადაც შესაძლებელია), რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერვისის მიწოდების შემცირება ან შეფერხება ქსელზე მონაცემთა დაბალი გამტარუნარიანობის გამო. სერვისების გამოყენება შეუძლებელია იმ ადგილებში, სადაც თავსებადი მობილური საკომუნიკაციო ქსელი არ არის ხელმისაწვდომი. Kia არ არის პასუხისმგებელი რაიმე შემცირებულ რეაგირებაზე, ან სერვისების შეფერხებაზე, რომელიც თავსებადი ქსელური კავშირების მიუწვდომლობის გამოა გამოწვეული.

3.6. თავსებადი მობილური საკომუნიკაციო ქსელების მისაწვდომობა
მაშინაც კი, როდესაც თავსებადი მობილური საკომუნიკაციო ქსელი, ზოგადად, ხელმისაწვდომია, სერვისების ეფექტურობისა და მისაწვდომობისთვის საჭიროა, რომ შესაბამისი ქსელი სათავე ბლოკს დაუკავშირდეს. ეს მანქანის მიმდინარე მდებარეობაზე სიგნალის ხარისხზეა დამოკიდებული. როდესაც სიგნალის ხარისხი ძალიან დაბალია, სერვისები შეიძლება შენელდეს, ან შეწყდეს. ეს განსაკუთრებით შეიძლება მოხდეს (i) გვირაბებში (ii) მთიან რელიეფზე, ან უღრან ტყეებში, (iii) გზებზე, რომლებიც კლდის კიდეებზეა, (iv) მჭიდროდ დაშენებულ ადგილებში, (v) ავტომაგისტრალებზე, ან მიწისქვეშა გზებზე, (vi) შენობების შიგნით.
სიგნალის არასაკმარისი ხარისხის გამო გამოწვეული სერვისების შემცირებულ რეაგირებაზე, ან შეფერხებაზე Kia პასუხისმგებელი არ არის.

4. **სერვისები**
Kia Connect აპი და სათავე ბლოკი იძლევა წვდომას სერვისებზე, რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთ არის აღწერილი.

4.1. ზოგადი ინფორმაცია Kia Connect-ის შესახებ

4.1.1. სერვისების ენა
ავტომობილის სერვისების ენა, სათავე ბლოკის მომხმარებლის ინტერფეისის ენაზეა დამოკიდებული; Kia Connect-ის აპი ხელმისაწვდომია შემდეგ ენებზე: ჩეხური, დანიური, ჰოლანდიური, ინგლისური, ფინური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, უნგრული, იტალიური, ნორვეგიული, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, სლოვაკური, ესპანური და შვედური.

4.1.2. ავტომბილის გაზიარება
Kia Connect-ის მხარდაჭერის მქონე თითოეული მანქანა შეიძლება Kia Connect-ის ერთ ან მეტ ანგარიშთან იყოს დაკავშირებული. პირველი მომხმარებელი, ვინც დააკავშირებს თავის Kia Connect-ის ანგარიშს მოცემულ მანქანას, არის მთავარი მომხმარებელი. დამატებით მომხმარებლებს შეუძლიათ დააკავშირონ თავიანთი Kia Connect-ის ანგარიში იმავე მანქანასთან მთავარი მომხმარებლის მოწვევით, ან მთავარი მომხმარებლისთვის მოთხოვნის გაგზავნით; ეს დამატებითი მომხმარებლები მოიხსენიებიან, როგორც ზიარი მომხმარებლები.

4.2. სერვისების მიმოხილვა
თქვენთვის ხელმისაწვდომი სერვისები შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი მანქანის მოდელის, აწყობის თარიღის, აღჭურვისა და იმ Kia Connect აპის ვერსიის მიხედვით, რომელსაც თქვენს მობილურ მოწყობილობაში იყენებთ. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, ზემოთ 2 პუნქტში მითითებული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით დაგვიკავშირდეთ.

4.2.1. Kia Connect აპი

4.2.1.1. დისტანციური მართვა

4.2.1.1.1. კლიმატის დისტანციური კონტროლი: სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპის საშუალებით, დისტანციურად აკონტროლოთ და დაგეგმოთ თქვენი ელექტრომობილის კონდიცირება, მათ შორის, გაყინვის ფუნქციები. ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მოდელზე, სამოდელო წელსა და აღჭურვაზე.

4.2.1.1.2. დისტანციური დამუხტვა (მხოლოდ ელექტრომობილებისა და დასამუხტი ჰიბრიდული მანქანებისთვის): სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპის საშუალებით, ელექტრომობილისა და დასამუხტი ჰიბრიდული ავტომობილის აკუმულატორის დამუხტვა დისტანციურად დაიწყოთ და შეაჩეროთ და დამუხტვა დაგეგმოთ.

4.2.1.1.3. კარის დიტანცური კონტროლი
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, გარკვეული სამომხმარებლო ინტერფეისის საშუალებით, მანქანის კარები დისტანციურად ჩაკეტოთ/გახსნათ. ამ სერვისის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, სერვისი რამდენიმე წინაპირობას შეამოწმებს. ეს სერვისი შეიძლება დაგეხმაროთ ისეთ სიტუაციებში, როდესაც არ გახსოვთ, სწორად ჩაკეტეთ თუ არა მანქანა — ამისთვის საშუალებას მოგცემთ, ეს მოქმედება დისტანციურად შეასრულოთ.
ყურადღება: მანქანა კარის დისტანციური მართვის ფუნქციის გამოყენებით არ დახუროთ, სანამ გასაღებები შიგნით არის. გარკვეულ ვითარებაში, შესაძლოა, შეუძლებელი იყოს მანქანის კარის დისტანციურად გაღება,

სანამ გასაღების კომპლექტი შიგნით არის.

4.2.1.1.4. პროფილის სარეზერვო ასლის შექმნა და აღდგენა: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში მანქანის პარამეტრების ინფორმაციის სარეზერვო ასლი შექმნათ და ის თქვენს მანქანაში აღადგინოთ.

4.2.1.1.5. დისტანციური გათბობადი და ვენტილირებადი სავარძლები (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის): სერვისი საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად აკონტროლოთ თქვენი ელექტრომობილის წინა და უკანა სავარძლების გათბობა და ვენტილაცია, იმ პირობით, რომ მანქანა გათბობადი და ვენტილირებადი სავარძლებით არის აღჭურვილი.

4.2.1.1.6. ფანჯრის დისტანციური მართვა: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად გააღოთ და დახუროთ თქვენი მანქანის ფანჯრები.

4.2.1.1.7. ავარიული ნათურების დისტანციური კონტროლი: ეს სერვისი ავარიული ნათურების დისტანციურად გამორთვის საშუალებას გაძლევთ. ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მოდელზე, სამოდელო წელსა და აღჭურვაზე.

4.2.1.1.8. დამმუხტველი კარის დისტანციური კონტროლი: ეს სერვისი თქვენი მანქანის დამმუხტველი კარის დისტანციურად გაღების და დახურვის საშუალებას გაძლევთ.

4.2.1.1.9. სივრცული ხედვის დისტანციური კამერა (მანქანებისთვის, რომლებიც კამერის საჭირო აპარატურით და მთავარ მოწყობილობის თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფით არის აღჭურვილი)
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში, მანქანის სივრცული ხედვის კამერის ფუნქციის დახმარებით, ავტომობილის შემოგარენი იხილოთ.

4.2.1.1.10 დისტანციური წინა საბარგული: ეს სერვისი Kia Connect აპის საშუალებით, ავტომობილის წინა საბარგულის დისტანციურად გაღების საშუალებას გაძლევთ. ხელმისაწვდომობა მოდელზე, სამოდელო წელსა და აღჭურვაზეა დამოკიდებული.

4.2.1.1.11 დისტანციური ბატარეის კონდიცირება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპის საშუალებით, ელექტრომობილის ბატარეის კონდიცირება დისტანციურად დაიწყოთ და შეაჩეროთ. ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მოდელზე, მოდელის წელსა და აღჭურვაზე.

4.2.1.1.12 დისტანციური განათება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპის საშუალებით გააააქტიუროთ ავარიული ფარების ციმციმი მცირე დროით.

4.2.1.1.13 დისტანციური საყვირი და განათება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპის საშუალებით მცირე დროით გააააქტიუროთ ავარიული ფარების ციმციმი და საყვირის სიგნალი.

4.2.1.2. მდებარეობაზე დაფუძნებული დისტანციური სერვისები

4.2.1.2.1. მანქანის გაგზავნა: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ინტერესის წერტილი (POI) მანქანის სანავიგაციო სისტემაში გაგზავნოთ და (მაგ., მარშრუტის დაგეგმვისას დანიშნულების ადგილი) მას შემდეგ, რაც მანქანა დაიქოქება, POI დაუყოვნებლივ გამოიყენოთ.

4.2.1.2.2. „იპოვე ჩემი მანქანა“ და „მანქანამდე ნავიგაცია“: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი სმარტფონის გამოყენებით, მანქანა იპოვოთ და მასთან მიხვიდეთ. მანქანის მდებარეობა Kia Connect აპში გამოჩნდება.

4.2.1.2.3. მანქანამდე ნავიგაცია: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი სმარტფონის გამოყენებით, მანქანის გაჩერების შემდეგ, ნავიგაცია საბოლოო დანიშნულების ადგილამდე განაგრძოთ.

4.2.1.3. ავტომობილის ექსპლუატაციისა და დიაგნოსტიკის საინფორმაციო სერვისები

4.2.1.3.1. ავტომობილის მდგომარეობა: ეს სერვისი Kia Connect აპში ავტომობილის შემდეგ ინფორმაციას წარმოგიდგენთ:

- კარის მდგომარეობა
- დამუხტვადი კარის მდგომარეობა
- საბარგულის/კაპოტის მდგომარეობა
- კლიმატის მდგომარეობა
- აკუმულატორის დამუხტვის მდგომარეობა, დამუხტვის შტეკერის მდგომარეობა, დამუხტვის მდგომარეობა (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის)
- საწვავის დონე (მხოლოდ საწვავზე მომუშავე/ჰიბრიდული მანქანებისთვის)
- სავარძლების გათბობა და ვენტილაციის მდგომარეობა
- ფანჯრების მდგომარეობა
- ლუქის მდგომარეობა

- 12-ვოლტიანი აკუმულატორის მდგომარეობა
- შუქების მდგომარეობა

4.2.1.3.2. ავტომობილის ანგარიში: თქვენ იღებთ ანგარიშს Kia Connect აპში, რომელიც მოიცავს ავტომობილის დიაგნოსტიკურ ინფორმაციას და ინფორმაციას მართვის სქემების შესახებ (ავტომობილის დაქოქვების რაოდენობა, მართვის მანძილი და მართვის დრო/უძრაობის დრო). ეს გაწვდით ინფორმაციას იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ტექნიკურ მომსახურებას ან შეკეთებას საჭიროებს, ასევე მოგაწოდებთ ინფორმაციას პრობლემის სიმძიმის, რემონტის/ტექნიკურ მომსახურების გადაუდებლობისა და რეკომენდებული მოქმედებების შესახებ.

4.2.1.3.3. ავტომობილის დიაგნოსტიკა: ავტომატური დიაგნოსტირების სერვისის უზრუნველყოფა. ძრავის ჩართვისას ავტომობილი ავტომატურად ახდენს დიაგნოსტიკურ სკანირებას (დიაგნოსტიკის პრობლემების კოდი (DTC)) . თუ გამოვლენილია გაუმართაობა, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომელშიც ახსნილია გაუმართაობა, მისი სიმძიმე და რეკომენდებული მოქმედებები.

4.2.1.3.4. ენერგიის მოხმარება (მხოლოდ ელექტრომობილები): შეგიძლიათ, Kia Connect აპში მიმდინარე და საშუალო ენერგომოხმარება, მართვის მანძილი და ენერგიის აღდგენის ინფორმაცია ვიზუალურად წარმოიდგინოთ.

4.2.1.3.5. მართვის მიმოხილვა — მართვის უსაფრთხოების ქულა
ეს სერვისი Kia Connect აპში მართვის უსაფრთხოების შეფასების ჩვენების საშუალებას გაძლევთ, რომელიც თქვენი მართვის ქცევას აფასებს. მართვის უსაფრთხოების შეფასება გამოითვლება თქვენი აჩქარებისა და დამუხრუჭების ინფორმაციის, სიჩქარის მონაცემებისა და დღის იმ მონაკვეთის მიხედვით, როდესაც ჩვეულებრივ მართავთ ავტომობილს და ყველა ეს მონაცემი მგზავრობის დროს გროვდება. მართვის უსაფრთხოების შეფასება 187 დღის განმავლობაში შეგროვებული მონაცემებიდან მიიღება, ანუ სისტემა თქვენი მართვის ქცევას განმარტავს ბოლო 187 დღის ერთობლივ მონაცემებზე დაყრდნობით. მართვის უსაფრთხოების შეფასება მერყეობს 65-დან 100 ქულამდე, სადაც 100 არის უმაღლესი შეფასება, რომელიც მართვის შედარებით უსაფრთხო ქცევას წარმოადგენს, ხოლო 65 არის ყველაზე დაბალი შეფასება და მართვის შედარებით სარისკო ქცევაზე მიუთითებს. თუ მანქანას სხვა ადამიანი მართავს, თქვენ უნდა აცნობოთ ამ სერვისის აქტივაციის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ Kia Connect-ის ვებსაიტზე https://connect.kia.com/eu/product-information/safety-score/

4.2.1.3.6. ჩემი მგზავრობები: ეს სერვისი გაწვდით ყველა მოგზაურობის შეჯამებას (ბოლო 90 დღის განმავლობაში) თარიღისა და დროის, საშუალო და მაქსიმალური სიჩქარის, გავლილი მანძილისა და მგზავრობის დროის მითითებით.

4.2.1.4. დისტანციური მონიტორინგი და გაფრთხილებები
ამ ნაწილში აღწერილი სერვისები აქტუალური ხდება, როდესაც მანქანას სხვა პირი მართავს. ამ სერვისის ყოველი გამოყენებისას, მთავარ მოწყობილობაში დისტანციური გამოყენების მონიტორინგი ყოველ ჯერზე აშკარად უნდა გააქტიურდეს.

4.2.1.4.1. ავტომობილის გაფრთხილება: როდესაც ავტომობილის რომელიმე ფანჯარა ღიაა, სანამ ანთება გამორთულია, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

4.2.1.4.2. ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაცია (მხოლოდ იმ მანქანებისთვის, რომლებიც აღჭურვილია ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემით): ყოველთვის, როცა ძარცვის სიგნალიზაცია გაისმის, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

4.2.1.4.3. აკუმულატორის დაცლის მანიშნებელი სიგნალიზაცია: როდესაც 12-ვოლტიანი აკუმულატორში მუხტი გარკვეულ დონემდე დაეცემა, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

4.2.1.4.4. უკანა მგზავრთან დაკავშირებული სიგნალიზაცია: როდესაც უკანა სავარძელზე მოძრაობა გამოვლინდება და მანქანა პარკირების გადაცემაშია, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

4.2.1.4.5. ავტომობილის უქობის სიგნალიზაცია: როდესაც მანქანა საპარკინგე გადაცემაზე დგას, სანამ ძრავა მუშაობს და კარი ღიაა, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება

4.2.1.4.6. მაღალი ძაბვის აკუმულატორის მონიტორინგის გამაფრთხილებელი სისტემა (მხოლოდ ელექტრომობილები): მაღალი ძაბვის აკუმულატორის მდგომარეობის მონიტორინგი ხდება; როდესაც გამოვლენილია გაუმართაობა, Kia Connect აპში და მთავარ მოწყობილობაში შეტყობინება გამოჩნდება.

4.2.1.4.7. მომსახურებადი პარკინგის რეჟიმი: როდესაც ეს ფუნქცია გააქტიურებულია მთავარ მოწყობილობაში და მანქანას მართავს სხვა ადამიანი, თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ მანქანის მდებარეობა, ანთება გამორთული ბოლოს როდის იყო, მართვის დრო, მანძილი და მაქსიმალური სიჩქარე Kia Connect აპში.

4.2.1.4.8. მომსახურებადი პარკინგის გაფრთხილება: ეს სერვისი გაძლევთ საშუალებას, მიიღოთ შეტყობინებები Kia Connect-ის აპში, თუ თქვენი ავტომობილი გასცდება არჩეულ მანძილის ლიმიტს, სიჩქარის ლიმიტს და

უმოქმედობის დროის ლიმიტს, რომელიც წინასწარ განსაზღვრეთ Kia Connect-ის აპში. ნებადართული მგზავრობის მანძილი აღნიშნავს ავტომობილის მანძილს იმ ადგილიდან, სადაც გაფრთხილება გააქტიურდა.

4.2.1.4.9. გეოზონის გაფრთხილება: ეს სერვისი გაძლევთ საშუალებას, მიიღოთ შეტყობინებები Kia Connect-ის აპში, თუ თქვენი მანქანა გამოდის დაშვებული ზონიდან ან შედის შეზღუდულ ზონაში. შეგიძლიათ დააყენოთ საზღვრები ნებადართული ტერიტორიებისა და შეზღუდული ტერიტორიებისთვის Kia Connect-ის აპიდან.

4.2.1.4.10. სიჩქარის გაფრთხილება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში შეტყობინებები მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა სიჩქარის იმ ლიმიტს გადააჭარბებს, რომელიც წინასწარ, Kia Connect აპში განსაზღვრეთ.

4.2.1.4.11. დროის შუალედის გაფრთხილება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში შეტყობინებები მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა დროის იმ შუალედის მიღმა იმართება, რომელიც Kia Connect აპში წინასწარ განსაზღვრეთ.

4.2.1.4.12. უქმობის გაფრთხილება: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში, შეტყობინებები მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა უქობის დროის იმ ლიმიტის მიღმა მოძრაობს, რომელიც Kia Connect აპში წინასწარ განსაზღვრეთ.

4.2.1.5. სასურველი დილერის ინფორმაცია
ეს სერვისი Kia Connect აპში, „სასურველი დილერის“ ინფორმაციასა და, ერთი მხრივ, MyKia ვებსაიტსა და MyKia-App-ს და, მეორე მხრივ, თქვენს ანგარიშს შორის სინქრონიზაციის საშუალებას გაძლევთ. სინქრონიზაცია არჩევითია და გამოყენებამდე უნდა იყოს ჩართული. თუ აირჩევთ, რომ არ მოხდეს „სასურველი დილერის“ ინფორმაციის სინქრონიზაცია, „სასურველი დილერის“ ფუნქცია Kia Connect აპში კვლავ ხელმისაწვდომი იქნება, მაგრამ ნაჩვენები ინფორმაცია MyKia-ს ინფორმაციისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

4.2.1.6. ციფრული გასაღები
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი სმარტფონი ისეთი სერვისებისთვის გამოიყენოთ, როგორიცაა თქვენი ავტომობილის ჩაკეტვა და გახსნა, ავტომობილის კლიმატ-კონტროლის ჩართვა, ან ავტომობილის დაქოქვა (შესაძლებელია მხოლოდ მანქანის შიგნიდან) ჩაშენებული ულტრაფართოზოლოვანი („UWB“) ფუნქციონალისა და თქვენი სმარტფონის ჩაშენებული ახლო ველის კომუნიკაციის (NFC) ფუნქციის მეშვეობით. ის საშუალებას გაძლევთ, ციფრული გასაღები სამ დამატებით მოწყობილობასთან გააზიაროთ და მართოთ, მაგ.: რომლებიც მიეკუთვნება ოჯახის წევრებს და მეგობრებს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ სერვისით სარგებლობისას მონაცემების გაცვლა მობილურ სმარტ მოწყობილობასა და ავტომობილს შორის ხორციელდება UWB ან NFC ფუნქციების გამოყენებით. ეს მონაცემები ჩვენ არ გადმოგვეცემა. სერვისის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელზე, მოდელის გამოშვების წელსა და სმარტფონის მოდელზე, რომელსაც იყენებთ. თავსებადობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია აღნიშნული სერვისის შესახებ Kia Connect აპში ან Kia Connect-ის ვებ-გვერდზე.

4.2.2. მანქანის შიდა სერვისები

4.2.2.1. Kia Connect-ის პირდაპირი სერვისები
თქვენი მანქანის ამჟამინდელ პოზიციაში, რეალურ დროში Kia Connect-ის სერვისების ხელმისაწვდომობა, Kia-სთვის შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული. მონაცემთა ხელმისაწვდომობა და სიზუსტე შეიძლება დამოკიდებული იყოს მესამე მხარის პროვაიდერებზე. მაგალითად, ბოლოდროინდელი საგზაო ინციდენტები შეიძლება (ჯერ) არ იყოს შეტანილი Kia-სთვის ხელმისაწვდომ მონაცემებში და შესაბამისად, მთავარი მოწყობილობის რუკაზე ვერ გამოჩნდება. ანალოგიურად, იმის გამო, რომ დასამუხტი სადგურის მხოლოდ ზოგიერთი ოპერატორი აქვეყნებს ცოცხალ მონაცემებს დამუხტვის წერტილების ხელმისაწვდომობის სტატუსის შესახებ, შესაძლოა, მთავარ მოწყობილობაში ამ ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელი იყოს.
Kia Connect-ის პირდაპირი სერვისები შემდეგს მოიცავს:

4.2.2.1.1. პირდაპირი ტრაფიკი და ონლაინ ნავიგაცია: ეს სერვისი მარშრუტების გამოსათვლელად და მოძრაობის სიტუაციის ჩვენებისთვის, რეალურ დროში ტრაფიკის ინფორმაციას უზრუნველყოფს. ონლაინ ნავიგაცია რეალურ დროში და ტრაფიკის ისტორიული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, თქვენს სასურველ დანიშნულებამდე ნავიგაციის საშუალებას გაძლევთ.

4.2.2.1.2. პირდაპირი ინტერესის წერტილი (POI) და ონლაინ POI ძიება: ეს სერვისი ავტომობილის ამჟამინდელი პოზიციის შესაბამისად, ინფორმაციას ახლომდებარე საინტერესო პუნქტებზე გვაწვდის. გარდა ამისა, ეს სერვისი ასევე საშუალებას გაძლევთ, კატეგორიების შესაბამისად, ახლომდებარე POI-ები აქტიურად მოძებნოთ. შესაბამის მანქანებზე, ეს სერვისი ჩვენი პარტნიორის, 4.screen-ის მეშვეობით მოწოდებული მონაცემებით (იხ. https://www.4screen.com/) გაუმჯობესდება. გაუმჯობესებული სერვისის საშუალებით, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ინფორმაცია მაღაზიების, ან რესტორნების შესახებ (როგორიცაა მათი მდებარეობა) რუკაზე ბრენდირებული ნიშნულებით, ან რუკის საძიებო ფუნქციის მეშვეობით მიიღოთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ, სპეციალური გარიგებები და შეთავაზებები, თქვენი მანქანის სიახლოვეს არსებული მაღაზიებიდან და რესტორნებიდან მიიღოთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გაუმჯობესებული სერვისის ხელმისაწვდომობა

დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელზე, სამოდელო წელსა, თუ აღჭურვაზე და ნებისმიერ ვითარებაში ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მანქანა აღჭურვილია მთავარი მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც 2023 წლის მე-4 კვარტალში, ან უფრო გვიან გამოვიდა.

4.2.2.1.3. ამინდი: ეს სერვისი, თქვენი ამჟამინდელი მდებარეობის შესაბამისად, ამინდის შესახებ, ადგილობრივ ინფორმაციას გთავაზობთ.

4.2.2.1.4. პარკინგი: ეს სერვისი ინფორმაციას ქუჩაზე და მის ფარგლებს გარეთ პარკირების შესახებ, მიმდინარე პოზიციის, დანიშნულების ახლომდებარე ადგილის, გადახვევის ახლომდებარე ნიშნის, ან ახლომდებარე ქალაქის ცენტრის შესაბამისად გაწვდით.

4.2.2.1.5. დილერის POI: ეს სერვისი, მანქანის ამჟამინდელი პოზიციიდან გამომდინარე, Kia-ს მიმდებარე დილერების ადგილმდებარეობის ინფორმაციას უზრუნველყოფს.

4.2.2.1.6. სიჩქარის კამერის / საშიშროების ზონის გაფრთხილებები (თუ კანონიერად დასაშვებია გამოყენების ქვეყანაში): ეს სერვისი უზრუნველყოფს გაფრთხილებებს იმ ადგილებში, სადაც უბედური შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია და ავარიული ადგილების ან სიჩქარის კამერების შესახებ გაფრთხილებთ.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სიჩქარის კამერის გაფრთხილებების გამოყენება გარკვეულ ქვეყნებში შეიძლება აკრძალული იყოს. სიჩქარის კამერის გაფრთხილების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ, როდესაც ასეთი გამოყენება მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით არის ნებადართული.
თქვენი, როგორც მძღოლის ვალდებულებაა შეამოწმოთ, დასაშვებია თუ არა სიჩქარის კამერის გაფრთხილების გამოყენება იმ ადგილას, სადაც თქვენ მანქანას იყენებთ.

4.2.2.1.7. სპორტული ლიგა: ეს სერვისი ინფორმაციას არჩეული სპორტისა და ლიგების წარსული, მიმდინარე და მომავალი მოვლენების შესახებ გვაწვდის.

4.2.2.2. მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისები მანქანაში

4.2.2.2.1. ელექტროავტომობილის (EV) მარშრუტის დამგეგმავი (მხოლოდ ელექტროავტომობილებისთვის და დასამუხტი ჰიბრიდული ელექტრომობილებისთვის): ავტომობილის ჩაშენებულ სანავიგაციო სისტემაში ნავიგაციის დანიშნულების ადგილის დაყენებისას აღნიშნული სერვისი შეაფასებს, საჭირო იქნება თუ არა დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად დასამუხტად გაჩერება. თუ ავტომობილის არსებული დამუხტვის და ენერგიის მოხმარების სავარაუდო მაჩვენებლის მიხედვით, დასამუხტად გაჩერება საჭირო იქნება, სერვისი ავტომატურად დაამატებს ერთ ან მეტ დამუხტვის პუნქტს შეთავაზებულ მარშრუტზე, შუალედური გაჩერებების სახით.
სერვისი ავტომატურად შეცვლის შემოთავაზებულ დამუხტვის გაჩერებებს, თუ მძღოლი აირჩევს, რომ დამუხტვისთვის ადრე გაჩერდეს, გამოტოვოს შემოთავაზებული დამუხტვის გაჩერება, ან თუ მართვის პირობები, ენერგიის მოსალოდნელზე მეტ მოხმარებას გამოიწვევს.
ამ სერვისს არ სჭირდება ცალსახად გააქტიურება; ელექტრომობილის მარშრუტის დამგეგმავი ავტომატურად გამოიყენება ელექტრომობილებში, როდესაც მარშრუტი ონლაინ ნავიგაციის სერვისის გამოყენებით გამოითვლება (იხილეთ სექცია 4.2.2.1.1 ზემოთ).

4.2.2.2.2. EV POI (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის და დასამუხტი ჰიბრიდული ელექტრომობილებისთვის): ეს სერვისი ინფორმაციას ახლომდებარე დასამუხტი სადგურების შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, არსებული პოზიციის შესაბამისად გვაწვდით.

4.2.2.2.3. სასურველი მარშრუტი: ეს სერვისი მანქანის ნავიგაციის სისტემაში მარშრუტების ტიპებს ადარებს და მძღოლის გააქტიურებული პროფილიდან, ფაქტობრივი სასურველი მარშრუტების გამოყენებით, ალტერნატიულ მარშრუტებს გაწვდით.

4.2.2.2.4. Google Places Search-ის გაუმჯობესება (ხელმისაწვდომია შერჩეული მოდელებისთვის): Google-ის მიერ მოწოდებული ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ისარგებლოთ Google-ის გაუმჯობესებული საძიებო ფუნქციით, მდებარეობის მონაცემებისა და დეტალების მიღებით, ასევე ავტომატური შევსების ფუნქციით.

4.2.2.2.5. გადაუდებელი დახმარების ავტომობილის მოახლოება (მხოლოდ შერჩეულ ქვეყნებშია ხელმისაწვდომი): მთავარ მოწყობილობაში ეს სერვისი გატყობინებთ, როდესაც გადაუდებელი დახმარების, მაგალითად, სასწრაფო დახმარების მანქანა, გიახლოვდებათ.

4.2.2.3. ხმის ონლაინ ამოცნობა
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ხმოვანი ბრძანებები დაკავშირებული მობილური მოწყობილობის საშუალებით გამოიყენოთ თქვენი ავტომობილის გარკვეულ ფუნქციებზე წვდომისა და კონტროლისთვის, ასევე ტექსტური შეტყობინებების შედგენისა და გაგზავნისთვის. ონლაინ ხმის ამოცნობა მუშაობს ონლაინ (ღრუბლოვან) გარემოში. თქვენი ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში ჩვენი სერვისების გააქტიურებისთანავე ონლაინ ხმის ამოცნობა ხელმისაწვდომია, როგორც ნაგულისხმევი პარამეტრი. ეს სერვისი მოითხოვს თქვენი პერსონალური მონაცემების (მაგ.: ხმის ნიმუშების) გადაცემას ჩვენი სერვისის პროვაიდერის, Cerence B.V.-სთვის. დეტალებისთვის იხილეთ კონფიდენციალურობის შეტყობინება. თქვენ

შეგიძლიათ არ დაუშვათ თქვენი პერსონალური მონაცემების Cerence-ში გადაცემა მთავარი ბლოკის შესაბამის პარამეტრებში ხმის ონლაინ ამოცნობის სერვისის გამორთვის გზით. თუ ხმის ონლაინ ამოცნობის სერვისის დეაქტივაციას განახორციელებთ, თქვენი ავტომობილის ხმის ამოცნობის ფუნქცია შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირთოს.

4.2.2.4. Kia AI Assistant (მხოლოდ შერჩეული მოდელებისთვის)
ხმის ამოცნობის სერვისზე დაფუძნებული Kia AI Assistant საშუალებას გაძლევთ, აკონტროლოთ ავტომობილის ფუნქციები, როგორიცაა ტემპერატურა, სავარძლების გათბობა და ა.შ. და ხელოვნური ინტელექტის მიერ დაგროვილი ინფორმაცია, ბუნებრივი საუბრის ხმით მიიღოთ. შეგიძლიათ, Kia AI ასისტენტი ხმის ამოცნობის ღილაკზე დაჭერით, ან „Hey, Kia!"-ს თქმით გააააქტიუროთ, რასაც მძღოლის ბრძანება მოჰყვება.
ზოგიერთი სერვისის მიწოდება შეიძლება შეიზღუდოს ავტომობილის მოდელის ან მოწყობილობის შესაბამისად.
ამ სერვისის მიწოდების მიზანია, გააუმჯობესოს ავტომობილის გამოყენების გამოცდილება; დაუშვებელია რაიმე მონაცემის შეყვანა, რომელიც ავტომობილის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული. ამ სერვისის გამოყენების ცალკეული პირობები იხილეთ ბმულზე: https://connect.kia.com/eu/kia-connect-ai-assistant.

4.2.2.5. პირადი კალენდრის/ნავიგაციის სინქრონიზაცია
ეს სერვისი, თქვენს სმარტფონზე მთავარი მოწყობილობის ინტეგრირებული კალენდარული ფუნქციით, თქვენი Google Calendar-ის ან Apple Calendar-ის სინქრონიზაციის საშუალებას გაძლევთ. ეს თქვენი პირადი კალენდრის მთავარი მოწყობილობის ეკრანზე ხილვის და დანიშნულების დასაყენებლად გამოყენების შესაძლებლობას გაძლევთ. ეს სერვისი Google Calendar-თან და Apple Calendar-თან არის თავსებადი.

4.2.2.6. მუსიკის სტრიმინგი
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი საყვარელი მუსიკისა და აუდიოს (პოდკასტები, აუდიო წიგნები) სტრიმინგის სერვისებით „ინტეგრირებულ ეკრანზე და დინამიკებზე მანქანების" ინფოტაინმენტ სისტემის მეშვეობით ისიამოვნოთ.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს სერვისი არ მოიცავს გამოწერას შესაბამისი ნაკადის სერვისით. თქვენ ანგარიში უნდა შექმნათ და თქვენს რჩეულ ნაკადის სერვისის პროვაიდერთან, ცალკე გამოიწეროთ.
ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის პროვაიდერები შეიძლება თქვენი მდებარეობისა და მთავარი მოწყობილობის პროგრამული ვერსიის შესაბამისად განსხვავდებოდეს. გთხოვთ, თქვენი ქვეყნის თავსებადი პროვაიდერების შესახებ ინფორმაცია მთავარ მოწყობილობაში იხილოთ.
ასევე გაითვალისწინეთ, რომ ეს სერვისი თქვენს მთავარ მოწყობილობაში ნაგულისხმევად გააქტიურებული არ არის, ამის ნაცვლად, ის Kia Connect Store-ს მეშვეობით უნდა გააქტიურდეს. თუმცა, ამ სერვისის გააქტიურება უფასოა და მისი შეძენა საჭირო არ არის. სერვისი Kia Connect Store-ში სერვისის გააქტიურების მომენტიდან, სამი წლის განმავლობაში იქნება ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომობა თქვენი ავტომობილის მოდელზე, სამოდელო წელსა და აღჭურვაზეა დამოკიდებული.

4.2.2.7. მანქანასთან დაკავშირებული შეტყობინებები
ეს სერვისი თქვენი მანქანის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ, შეტყობინებებს გაწვდით. შეტყობინებები მთავარ მოწყობილობაზე, შეტყობინებების ცენტრში გამოჩნდება. ეს გარკვეული შეხსენებების მისაღებად, მოსახერხებელ დამატებით არხს გაძლევთ.
გაითვალისწინეთ, რომ შეტყობინებების ცენტრში შეტყობინების არარსებობა არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის რაიმე ქმედება. მაგ.: შეიძლება საჭირო გახდეს თქვენი ავტომობილის არაგეგმიური ტექნიკური მომსახურება, ან TÜV/MOT შემოწმება მაშინაც კი, თუ შეტყობინებების ცენტრში არ არის სერვისის შეხსენება.

4.2.2.7.1. გაწვევის კამპანიის შეტყობინებები: Kia გაცნობებთ თქვენი ავტომობილის გაწვევის ღია კამპანი(ებ)ის შესახებ; ამისთვის Kia გამოიყენებს ზემოთ მითითებულ შეტყობინებების ცენტრს. გაწვევის კამპანიის შეტყობინებები შეიძლება ასევე გამოგეგზავნოთ სხვა საშუალებებით (მაგ.: Kia Connect აპის მეშვეობით თქვენს რეგისტრირებულ ელ-ფოსტის მისამართზე ან რეგულარული ფოსტით გამოგზავნილი წერილით).

4.2.2.7.2. სერვისის შეხსენებები: Kia თქვენი Kia-ს ავტომობილის რეგულარული ტექმომსახურების თარიღების შესახებ, შეხსენებებს გამოგიგზავნით; ამისთვის Kia ზემოთ აღნიშნულ შეტყობინებების ცენტრს გამოიყენებს.

4.2.2.7.3. სერვისის მოქმედების შეტყობინებები: Kia-მ ასევე შეიძლება რეკომენდებული სერვისის შესახებ (როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ნაწილების შეცვლა გაუმჯობესებული ნაწილებით, ან ხარისხის შემოწმება, რომელიც თქვენი Kia-ს მანქანის გარკვეულ კომპონენტებზე უნდა ჩატარდეს) გაცნობოთ.
ინფორმაცია რეკომენდებული სერვისის შესახებ შეიძლება მოგაწოდოთ ზემოთ აღნიშნული შეტყობინებების ცენტრის, ასევე, Kia Connect აპის ფარგლებში, ან ელფოსტით თქვენს რეგისტრირებულ ელფოსტის მისამართზე.
რეკომენდებული სერვისის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ არის „სერვისი", როგორც გამოყენების წესებშია განსაზღვრული და თქვენს წინასწარ თანხმობას ექვემდებარება.

4.2.2.7.4. ავტომობილის სავალდებულო ინსპექტირების შეხსენებები (როგორიცაა TÜV გერმანიაში, ან MOT გაერთანებულ სამეფოში): Kia ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო ინსპექტირების შესახებ შეგატყობინებთ.

მაგალითად, გაერთანებულ სამეფოში შეხსენება იქნება „ტრანსპორტის სამინისტროს“ ტესტის შესახებ (საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „MOT“). KCE უფლებამოსილია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ტრანსპორტის დეპარტამენტის („DfT“) მიერ, რომ MOT-ის ისტორიის გარკვეულ მონაცემებზე ჰქონდეს წვდომა, რათა ეს სერვისი მოგაწოდოთ.
გარდა ტრანსპორტის სამინისტროსი (MOT) გაერთიანებულ სამეფოში, ამ სერვისით სარგებლობისთვის Kia-ს უნდა მიაწოდოთ ავტომობილის ბოლო სავალდებულო შემოწმების ზუსტი თარიღი და ავტომობილის პირველი რეგისტრაციის თარიღი. Kia არ არის პასუხისმგებელი შეხსენების სიზუსტესა და დროულობაზე. თქვენი ვალდებულებაა, დაიცვათ სავალდებულო შემოწმების ინტერვალები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2.2.8. მანქანაში გადახდის სერვისები (ICP - მხოლოდ შერჩეული მოდელებისთვის): Kia Pay-ში რეგისტრაციისა და Kia Connect აპში აქტივაციის პირობით, ICP საშუალებას გაძლევთ, გარკვეული გადახდები პირდაპირ, თქვენი მანქანიდან განახორციელოთ. ცალკე ვადები და პირობები მოქმედებს.

4.2.3. OTA განახლებები

4.2.3.1. ზოგადი ინფორმაცია OTA განახლებების შესახებ
ეს სექცია თქვენი მანქანის ინფოტაინმენტ სისტემის განახლებებსა და რუკის მონაცემებს ეხება, რომლებიც მოწოდებულია „over the air“ (OTA), ანუ მანქანის ჩაშენებული მობილური საკომუნიკაციო აპარატურული უზრუნველყოფის მეშვეობით.
ეს სექცია ლოკალური კავშირის საშუალებით დაინსტალირებულ განახლებებზე, ან თქვენი Kia სერვის პარტნიორის მიერ მოწოდებულ განახლებებზე არ ვრცელდება.
თუ მომხმარებელი ვერ დააინსტალირებს საჭირო განახლებას, რომელიც მას გონივრულ ვადაში მიეწოდება, დეფექტზე, რომელიც მხოლოდ ამ განახლების ნაკლებობას უკავშირდება, Kia პასუხს არ აგებს.

4.2.3.2. რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლება

4.2.3.2.1. რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლების მიმოხილვა
„რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლება“ შემდეგის საშუალებას იძლევა:

- მანქანების სანავიგაციო სისტემაში არსებული რუკების განახლებები („**რუკების განახლება**“); და/ან
- ინფოტაინმენტის პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ან მთავარი მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებები („**საინფორმაციო-გასართობი სისტემის განახლება**“)

ჩვენი სერვერებიდან ჩაშენებულ ტელემატიკურ სისტემამდე „over-the-air“ მეთოდის გამოყენებით.
განახლების პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და რუკების თითოეული განახლებისა და ინფოტაინმენტ სისტემის განახლების კონტენტის დეტალები თქვენი მთავარი მოწყობილობის მეშვეობით მოგეწოდებათ.

4.2.3.2.2. რუკებისა და ინფოტაინმენტ OTA განახლებების წინაპირობები

ა) რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლების ჩამრთველი პროგრამული უზრუნველყოფა: იმისათვის, რომ OTA განახლებების მიღება შეძლოთ, თქვენს Kia-ს მანქანაზე დაინსტალირებული უნდა იყოს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. თქვენი ავტომობილის მოდელის, აწყობის თარიღისა და აღჭურვის მიხედვით, OTA განახლების ფუნქცია, თქვენს მანქანაში დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიაში შეიძლება არ ჩაირთოს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს OTA-ს ჩართვადი პროგრამული ვერსიის დაყენება ლოკალური კავშირის საშუალებით. თუმცა, Kia არ იძლევა გარანტიას, რომ თქვენი ავტომობილისთვის, OTA-ს ჩართვადი პროგრამული ვერსია იქნება ხელმისაწვდომი. შეკითხვების შემთხვევაში, 2 პუნქტში მოცემული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით დაგვიკავშირდით).

ბ) ხელმისაწვდომობა: OTA-ს მეშვეობით განახლების ინსტალაცია მოითხოვს, რომ Kia-მ ხელმისაწვდომი გახადოს რუკების განახლება და/ან ინფოტაინმენტ სისტემის განახლება OTA ჩამოტვირთვისა და ინსტალაციისთვის, რომელიც შეესაბამება თქვენს მანქანას. თქვენი მთავარი მოწყობილობა რეგულარულად ამოწმებს, რუკების და/ან ინფოტაინმენტ სისტემის ახალი განახლება ხელმისაწვდომია თუ არა. OTA განახლებები შეიძლება გამოქვეყნდეს ტალღურად, ამიტომ ყველა მანქანა არ მიიღებს განახლებას ერთდროულად, მაშინაც კი, როდესაც მოდელი და აღჭურვა იდენტურია.

გ) ინფოტაინმენტ OTA-ს უფასო განახლებების პირობები: თუ თქვენ ხართ Kia-ს ახალი, 2022 სამოდელო წლის ავტომობილის პირველი მფლობელი, რომელიც თავსებადია „რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლებასთან“ და 2021 წლის მაისიდან გაიყიდა, უფლება გექნებათ, რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის ზედიზედ ორი OTA განახლებით უფასოდ ისარგებლოთ („ინფოტაინმენტ სისტემის უფასო OTA განახლებები“).

მას შემდეგ, რაც ინფოტაინმენტ სისტემის უფასო OTA განახლებებს გამოიყენებთ, რუკების შემდგომი განახლებები და/ან ინფოტაინმენტ სისტემის განახლებები ხელმისაწვდომი გახდება იურიდიული მოთხოვნების

შესაბამისად. თუმცა, Kia არ იძლევა გარანტიას, ან პირობას იმ განახლებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება, არც იმ დროზე, რომელშიც განახლება ხელმისაწვდომი გახდება. ასეთი შემდგომი განახლებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ (i) ხელით ჩამოსატვირთად ვებგვერდიდან https://update.kia.com/EU/E1/Main ან (ii) დილერთან. ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ რუკების განახლებები და/ან ინფოტაინმენტ სისტემის განახლებები, ვებგვერდიდან და დილერისგან, თქვენთვის „over-the-air“ მეთოდით შემოთავაზებული არ არის. მაშინაც კი, როდესაც თვითგანახლების ფაილი უფასოდაა ხელმისაწვდომი, თქვენს დილერს შეუძლია, განახლების გამოყენებისთვის გაწეული შრომის საფასური დაგაკისროთ; ვებგვერდიდან ჩამოტვირთვის შემთხვევაში, განახლების ფაილის ჩამოტვირთვისთვის, თქვენი საკომუნიკაციო პროვაიდერის ხარჯების დაფარვა მოგიწევთ.

4.2.3.3. ავტომობილის სისტემის OTA განახლება

4.2.3.3.1. ავტომობილის სისტემის OTA განახლების მიმოხილვა

„ავტომობილის სისტემის OTA განახლება“ ავტომობილის გარკვეული საკონტროლო ერთეულების ჩაშენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას საშუალებას აძლევს, ჩვენი სერვერებიდან „over-the-air“ მეთოდის გამოყენებით, პროგრამული უზრუნველყოფის უახლესი ვერსიებით, ან განახლებული პარამეტრებით განახლდეს.

განახლების პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და თითოეული ავტომობილის სისტემის OTA განახლების შინაარსის დეტალები, თქვენი მთავარი მოწყობილობის მეშვეობით, ან - თუ განახლება განახლების შესყიდვის ხელშეკრულების შესასრულებლად (იხ. <1403 > პუნქტი) განხორციელდება - Kia Connect აპში შეძენის პროცესის დროს მოგეწოდებათ.

4.2.3.3.2. ავტომობილის სისტემის OTA განახლების წინაპირობები

ა) ავტომობილის სისტემის OTA გასაახლებელი პროგრამული უზრუნველყოფა

იმისათვის, რომ ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიღება შეძლოთ, პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომობილის სისტემის OTA განახლების ფუნქციონირებას განაპირობებს, თქვენს Kia-ს ავტომობილში უნდა იყოს დაინსტალირებული. თქვენი მანქანის მოდელის, აწყობის თარიღისა და აღჭურვის მიხედვით, ავტომობილის სისტემის OTA განახლება შეიძლება თქვენი მანქანისთვის ხელმისაწვდომი არ იყოს. Kia არ იძლევა გარანტიას, რომ ავტომობილის სისტემის OTA-სთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია, თქვენი ავტომობილისთვის ხელმისაწვდომი იქნება. შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, 2 პუნქტში მოცემული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით დაგვიკავშირდეთ.

ბ) ხელმისაწვდომობა, შეძენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

OTA-ს საშუალებით განახლების ინსტალაციებისთვის საჭიროა, რომ Kia-ს ავტომობილის სისტემის OTA-ს განახლება, ხელმისაწვდომი გაეხადა OTA-ს ჩამოტვირთვისთვის, რომელიც თქვენს მანქანაში ინსტალაციისთვის თავსებადია. ავტომობილის სისტემის OTA-ს ზოგიერთმა განახლებამ შეიძლება თქვენს მანქანაში, დამატებითი ფუნქციების გამოყენება უზრუნველყოს. ასეთი დამატებითი ფუნქციები („განახლებები“) Kia-მ შეიძლება Kia Connect აპის საშუალებით შესაძენად ხელმისაწვდომი გახადოს. ამ შემთხვევაში, შესაბამისი ავტომობილის სისტემის OTA განახლების დაყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ Kia-სთან შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების დადებისა და მოქმედი შესყიდვის ფასის გადახდის შემდეგ. გთხოვთ, განახლებებისა და მათი შესყიდვის შესახებ დეტალებისთვის, 5 პუნქტი იხილოთ.

4.3. ინფორმაცია მომსახურების გასაწევად მდებარეობის მონაცემების დამუშავების შესახებ

შემდეგი სერვისები მდებარეობის მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას (GPS მონაცემები) მოითხოვს: საწყისი მენიუს რუკა და საძიებო ზოლი, Kia Connect-ის პირდაპირი სერვისები, ხმის ონლაინ ამოცნობა, რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლებები, კლიმატის დისტანციური კონტროლი (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის), დისტანციური დამუხტვა, კარის დისტანციური მართვა, მანქანაში გაგზავნა, ჩემი მანქანის პოვნა და მანქანამდე ნავიგაცია, დანიშნულების ადგილამდე ნავიგაცია, ჩემი მგზავრობები, ავტომობილის მდგომარეობა, ავტომობილის მოხსენება, ავტომობილის დიაგნოსტიკა, ავტომობილის გაფრთხილება, ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაცია, უკანა მგზავრის სიგნალიზაცია და ავტომობილის უქმობის სიგნალიზაცია.

მდებარეობის მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გარეშე, შესაბამისი სერვის(ებ)ის მიწოდება/ გამოყენება შეუძლებელია.

4.4. სერვისების გამორთვა

სერვისების გამოსართავად შეგიძლიათ, გათიშოთ

- სერვისები თქვენი მთავარი მოწყობილობის მეშვეობით; და/ან
- სერვისები და/ან რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის OTA განახლებები, Kia Connect აპის მეშვეობით

5. ვერსიის განახლებები; Kia Connect Store

5.1. მიმოხილვა

Kia-მ შეიძლება Kia Connect აპის საშუალებით შესაძენად, გარკვეული დამატებითი „განახლებები“ შემოგთავაზოთ, როგორიცაა გარკვეული ფუნქციები თქვენი მანქანისთვის, მათ შორის და არამხოლოდ,, პროგრამული უზრუნველყოფის დანამატები.

5.1.1. განახლებების ხელმისაწვდომობის წინაპირობები

ინდივიდუალური განახლებების ხელმისაწვდომობა, თქვენი მანქანის მოდელზე, აწყობის თარიღსა და აღჭურვაზეა დამოკიდებული. ზოგადად, „განახლების“ ფუნქციურობა მოითხოვს, რომ მანქანას შეეძლოს ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიღება და ინსტალაცია (იხ. განყოფილება 4.2.3.3) და ინფოტაინმენტ სისტემის უახლესი პროგრამული ვერსიით იყოს აღჭურვილი.

5.1.2. კავშირი განახლებასა და ავტომობილს შორის; განახლებების მიმღები

განახლებების შეძენა ხორციელდება კონკრეტული ავტომობილისთვის, ანუ თითოეული შეძენილი განახლება დაკავშირებულია კონკრეტულ ავტომობილთან, რომელიც იდენტიფიცირებულია მისი უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრით (VIN). ეს ნიშნავს, რომ განახლებები შეიძლება გაიყიდოს თქვენს ავტომობილთან ერთად შემდგომი მომხმარებლის მიერ გამოსაყენებლად, წინამდებარე პირობების შესაბამისად; დეტალებისთვის იხილეთ სექცია 5.4.

ვინაიდან შეძენილი განახლებები კონკრეტულ ავტომობილთან არის დაკავშირებული, განახლების საბოლოო ბენეფიციარი არის ავტომობილის მესაკუთრე. ავტომობილის გაყიდვის შემთხვევაში ავტომობილის მფლობელი ისარგებლებს განახლებების შედეგად ავტომობილის გაზრდილი ღირებულებით. გთხოვთ, აღნიშნული გაითვალისწინოთ განახლებების შეძენისას იმ ავტომობილისთვის, რომლის მესაკუთრეც თქვენ არ ხართ.

5.1.3. მანქანის მფლობელთან მიმართებით იმ მომხმარებლის ვალდებულებები, რომელიც განახლებას ყიდულობს

განახლების შეძენით იცვლება შესაბამისი ავტომობილის ფუნქციურობა და თვისებები. თუ განახლებას ყიდულობთ იმ ავტომობილისთვის, რომელსაც არ ფლობთ (მაგ.: ავტომობილი იჯარით არის აღებული, ან დაქირავებულია, ან ავტომობილი საზიაროა მის მომხმარებელთან), შესაბამისი ავტომობილისთვის განახლების შეძენამდე, რაც ავტომობილის მოდიფიკაციას გამოიწვევს, უნდა მიიღოთ მისი მფლობელის თანხმობა. Kia არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე დავაზე ან ზარალზე, რომელიც მფლობელის თანხმობის გარეშე თქვენ მიერ ავტომობილის განახლების შეძენისას წარმოიქმნება.

5.2. ინდივიდუალური განახლებების აღწერა

ამჟამად, შემდეგი განახლებებია ხელმისაწვდომი და თქვენი მანქანისთვის მათი შეძენა, თქვენი მანქანის მოდელის, აწყობის თარიღისა და აღჭურვის მიხედვით არის შესაძლებელი.

5.2.1. გაძლიერება (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის)

ავტომობილში დამონტაჟებული ძირითადი ელექტროძრავის საფუძველზე, ეს განახლება ზრდის ავტომობილის აჩქარებას, 0-დან 100 კმ/სთ-მდე აჩქარების დროს აუმჯობესებს.

განახლების ხელმისაწვდომობა, ასევე ავტომობილის რეგისტრაციის ქვეყანაში, ავტომობილის რეგისტრაციის მოთხოვნებს ექვემდებარება. ამიტომ, განახლება შესაძენად ხელმისაწვდომი შეიძლება მაშინაც კი არ იყოს, თუ თქვენს მანქანას ტექნიკურად, განახლების დაყენება შეეძლო.

5.2.2. პარკირების დისტანციური ჭკვიანი დამხმარე 2 (Remote Smart Parking Assist 2 - RSPA2)

ეს განახლება დისტანციური ჭკვიანი პარკირების გაფართოებულ დამხმარე ფუნქციას უზრუნველყოფს, რომელიც უკან, წინ, პერპენდიკულარული, დიაგონალური და პარალელური ავტომატიზებული პარკირებისა და დაძვრის საშუალებას იძლევა. მანქანა ამოიცნობს ახლომდებარე ობიექტებს და ავტომატურად აკონტროლებს სიჩქარესა და გადაცემას საფეხურს, ასევე, საჭის მობრუნებას, რომელიც პარკირებისთვის არის საჭირო.

5.2.3. რეგენერაციის ჭკვიანი სისტემა პლუს (Smart Regenerative System Plus - SRSP)

ეს განახლება აძლიერებს რეგენერაციულ სამუხრუჭე სისტემას, რომელიც თქვენს მანქანაში სტანდარტულად არის დამონტაჟებული. დამუხრუჭების ინტელექტუალური გადაწყვეტების მიღებით, SRSP ზრდის ეფექტურობას და თქვენთვის უფრო შეუფერხებელ მგზავრობას უზრუნველყოფს.

Smart Regenerative System Plus უზრუნველყოფს (i) დადგენილ სიჩქარემდე ავტომატურ შენელებას, (ii) გზაჯვარედინებთან და წრიულ მონაკვეთთან მიახლოებისას ავტომატურ შენელებას და (iii) კლაკნილ გზებზე ავტომატურ შენელებას.

Smart Regenerative System Plus-ის ოპტიმალური მუშაობისთვის გირჩევთ, თქვენი მანქანის ჩაშენებულ სანავიგაციო სისტემაში მარშრუტი დააყენოთ და მარშრუტის მართვა გააქტიუროთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს ფუნქცია ელექტრო რეჟიმში სვლის მეტი სიშორის, ან მანქანის გაუმჯობესებული ეფექტურობის გარანტიას არ იძლევა. ენერგიის რეალური დაზოგვა, თქვენი მართვის სტილზე და გზისა, თუ მოძრაობის პირობებზეა დამოკიდებული.

5.2.4. ფასიანი OTA

ეს განახლება საშუალებას გაძლევთ, OTA-ს მეთოდით, რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის დამატებითი განახლებები მას შემდეგ მიიღოთ, რაც ინფოტაინმენტ სისტემის უფასო განახლებებს (იხ. 4.2.3.2.2 პუნქტი (c) ზემოთ) გამოიყენებთ.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს განახლება OTA-ს მეთოდს, მხოლოდ როგორც, რუკების და ინფოტაინმენტ სისტემის განახლებების მოპოვებისა და ინსტალაციის საშუალებას იყენებს. ამ განახლების შეძენა, რუკებისა და ინფოტაინმენტ სისტემის განახლებების ხელმისაწვდომობის გარანტიას ზოგადად და არც დროის კონკრეტულ მომენტში არ იძლევა.
ეს ვარიანტი, ოპციის შეძენიდან ორი (2) წლის განმავლობაში, ზედიზედ ორი განახლებით შემოიფარგლება. რეკომენდებულია განახლების დაუყოვნებელი ინსტალაცია. თუ მომხმარებელი ვერ დააინსტალირებს საჭირო განახლებას, რომელიც მას გონივრულ ვადაში მიეწოდება, Kia პასუხს არ აგებს დეფექტზე, რომელიც მხოლოდ ამ განახლების ნაკლებობას უკავშირდება.

5.2.5. გასართობი პაკეტები (მხოლოდ კონკრეტული მანქანებისთვის)
არჩეული გასართობი პაკეტიდან გამომდინარე (Entertainment Standard, Entertainment Plus, ან Entertainment Plus Wi-Fi), ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები ჩვენი სხვადასხვა პარტნიორის მეშვეობით პირდაპირ მანქანაშია ხელმისაწვდომი. გასართობი პაკეტებით სარგებლობა, კონკრეტული პაკეტის არსებულ ხელმოწერას ექვემდებარება. თუ უფასო საცდელი პერიოდი გაიცემა, შესაძლებლობა გაქვთ, უფასო საცდელი პერიოდის დასრულების შემდეგ, სერვისი საფასურით გამოიწეროთ.
სერვისი Kia Connect Store-ის მეშვეობით უნდა გააქტიურდეს, სანამ ის თქვენს ავტომობილში ხელმისაწვდომი იქნება.
თითოეულ გასართობ პაკეტში შეტანილი მონაცემთა მოცულობა, თვეში 40 გბაიტია. მას შემდეგ, რაც მონაცემთა მოცულობას გამოიყენებთ, ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები, შემდეგი პერიოდის დაწყებამდე მიუწვდომელი იქნება.
ამ სერვისის ხელმისაწვდომობა შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი ადგილმდებარეობის და ავტომობილის მთავარი მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის მიხედვით. თქვენს ქვეყანაში თავსებადი პროვაიდერების შესახებ ინფორმაცია მთავარ ბლოკში იხილეთ.

5.2.5.1. მუსიკის სტრიმინგი
ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ავტომობილის ინფოტაინმენტ სისტემის მეშვეობით, ინტეგრირებული ეკრანისა და დინამიკების გამოყენებით, თქვენი საყვარელი მუსიკისა და აუდიოს (პოდკასტები, აუდიოწიგნები) სტრიმინგის სერვისებით ისიამოვნოთ.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს სერვისი შესაბამისი ნაკადის სერვისით გამოწერას არ მოიცავს. თქვენ უნდა შექმნათ ანგარიში და თქვენს ნაკადის სერვისის პროვაიდერთან ცალკე გამოიწეროთ.
ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის მიმწოდებლები, შეიძლება თქვენი მდებარეობისა და მთავარი მოწყობილობის პროგრამული ვერსიის შესაბამისად განსხვავდებოდნენ. ინფორმაცია თქვენს ქვეყანაში თავსებადი მიმწოდებლებისთვის, მთავარ მოწყობილობაში იხილეთ.
ასევე გაითვალისწინეთ, რომ ეს სერვისი თქვენს მთავარ მოწყობილობაში ნაგულისხმევად გააქტიურებული არ არის, ის Kia Connect Store-ის მეშვეობით უნდა გააქტიურდეს. პირველად გააქტიურებისთვის არის ერთთვიანი უფასო საცდელი პერიოდი. საცდელი პერიოდის დასრულების შემდეგ, სერვისის შეძენა Kia Connect Store-ის მეშვეობით არის შესაძლებელი. სერვისის ხელმისაწვდომობა და საცდელი პერიოდი თქვენი ავტომობილის მოდელზე, სამოდელო წელსა და აღჭურვაზეა დამოკიდებული.

5.2.5.2. ვიდეოსტრიმინგი
ვიდეოსრიმინგი საშუალებას გაძლევთ, ვიდეოებს პირდაპირ თქვენი მანქანის ინტეგრირებულ ეკრანზე უყუროთ, სანამ მანქანა გაჩერებულია და გადაცემა პარკინგზეა (P). თქვენ კონტენტის ხელმისაწვდომ მიმწოდებლებზე წვდომა იმის შესაბამისად გაქვთ, თუ Kia Connect Store-ში რა გასართობი პაკეტი გაქვთ შეძენილი (Entertainment Standard, Entertainment Plus, Entertainment Plus Wi-Fi).
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს სერვისი შესაბამისი ნაკადის სერვისით გამოწერას არ მოიცავს. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ უნდა შექმნათ ანგარიში და გამოწერა თქვენი ნაკადის სერვისის მიმწოდებელთან ცალკე გააფორმოთ.
ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის მიმწოდებლები შეიძლება თქვენი მდებარეობისა და მთავარი მოწყობილობის პროგრამული ვერსიის შესაბამისად განსხვავდებოდნენ. თქვენს ქვეყანაში თავსებადი მიმწოდებლების შესახებ ინფორმაცია მთავარ მოწყობილობაში იხილეთ.

5.2.5.3. Wi-Fi წვდომის წერტილი
Wi-Fi წვდომის წერტილი თქვენ და თქვენს სტუმრებს საშუალებას გაძლევთ, შეხვიდეთ ინტერნეტში და მოწოდებული კონტენტით, შესაბამისი საბოლოო მოწყობილობების საშუალებით (5-მდე მოწყობილობა) ისარგებლოთ.

5.2.5.4. კონტენტზე წვდომა მოწოდებული აპების საშუალებით (webOS)
თუ Entertainment Plus ან Entertainment Plus Wi-Fi პაკეტი შეარჩიეთ და შეიძინეთ, წვდომა იმ კონტენტზე გექნებათ, რომელიც LG webOS გადაწყვეტებით (გართობის ფილა მანქანაში) არის მოწოდებული.

ხელმისაწვდომია შემდეგი კონტენტი:

- YouTube, Disney+, Netflix, LG Channels, Stingray Karaoke, Playworks, Baby Shark, El Dorado, Gold Tower Defence, TikTok

ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის მიმწოდებლები შეიძლება თქვენი მდებარეობისა და მთავარი მოწყობილობის პროგრამის ვერსიის შესაბამისად განსხვავდებოდეს. ინფორმაცია თქვენი ქვეყნისთვის თავსებადი მიმწოდბლების შესახებ, მთავარ მოწყობილობაში იხილეთ. არსებული, ან ახალი სერვისების ხელმისაწვდომობა შეიძლება დამატებითი შეტყობინების გარეშე შეიცვალოს.
ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის პროვაიდერები შეიძლება თქვენი მდებარეობისა და მთავარი მოწყობილობის პროგრამის ვერსიის შესაბამისად განსხვავდებოდნენ. გთხოვთ, ინფორმაცია თქვენი ქვეყნის თავსებადი პროვაიდერებისთვის სათავე ბლოკში იხილოთ.

5.2.6. განათების დინამიკური რეჟიმი
ეს განახლება საშუალებას გაძლევთ, შეცვალოთ LED ფარების რეჟიმი თქვენი ადგილმდებარეობის და ავტომობილის პროგრამული ვერსიის მიხედვით, რაც მას ინდივიდუალობას მიანიჭებს თქვენი განწყობის და პირადი პრეფერენციების მიხედვით.

5.2.7. დისპლეის თემები
ეს განახლება საშუალებას გაძლევთ, კიდევ უფრო პერსონალიზებული გახადოთ თქვენი მართვის გამოცდილება თქვენი ავტომობილის თემებზე დაფუძნებული პარამეტრებით. არჩეული თემის მიხედვით, შეიცვლება თქვენი ავტომობილის ცენტრალური ეკრანის გარეგნული მხარე და პანელის კომპლექტაცია, ასევე მისალმების და სისტემიდან გასვლის ანიმაცია, როდესაც ჩაჯდებით ან გადმოხვალთ ავტომობილიდან.

5.2.8. არკადული თამაშები
სხვადასხვა თამაშები, რომლებიც ხელმისაწვდომია გასართობი სისტემის თავსებადი პროვაიდერებისგან, გამოჩნდება თქვენი ავტომობილის ინტეგრირებულ ეკრანზე, ვიდრე ავტომობილი გაჩერებულია და გადაცემათა კოლოფი პარკირების (P) რეჟიმშია გადართული. თქვენ გაქვთ წვდომა უამრავ მინი-თამაშზე, რომლებიც თავმოყრილია თქვენ მიერ შეძენილ არკადული თამაშების ფუნქციაში.

5.3. შეძენის ვარიანტები

5.3.1. პაკეტები
განახლებები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მუდმივი შესყიდვისთვის, ერთჯერადი გადახდის საფუძველზე და სხვადასხვა პაკეტში, რაც საშუალებას იძლევა, რომ განახლება შეზღუდული დროით გამოიყენოთ (მაგ., 3 თვით, ან 6 თვით). შეზღუდული დროის პაკეტები შეძენილი პერიოდის შემდეგ, ავტომატურად იწურება. შესაბამისი განახლების შემდგომი გამოყენება, განახლების ხელახლა შეძენას საჭიროებს.

5.3.2. უფასო საცდელი პერიოდი
ზოგიერთი განახლებისთვის, გადახდის ვალდებულების ამოქმედებამდე, უფასო საცდელი პერიოდი იქნება შემოთავაზებული. თუ საცდელი პერიოდის განმავლობაში, Kia Connect აპში განახლებას გამორთავთ, საცდელი პერიოდის განმავლობაში განახლების გამოყენების საფასური არ ჩამოგეჭრებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩეული განახლების პაკეტის ფასი, საცდელი პერიოდის შემდეგ ჩამოიჭრება.
უფასო საცდელი პერიოდი, თითო განახლებაზე მხოლოდ ერთხელ არის ხელმისაწვდომი. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ ერთხელ იყიდეთ განახლება საცდელი პერიოდით სარგებლობის შემდგომი შესაძლებლობით, განახლების ნებისმიერი განმეორებითი შეძენის საფასური, დამატებითი უფასო საცდელი პერიოდის გარეშე, პირდაპირ ჩამოგეჭრებათ. ეს ასევე იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ დაკავშირებული მანქანის სერვისების დეაქტივაციის გამო, საცდელი პერიოდი ადრე დასრულდა (იხ. პუნქტი 5.4.1(ბ)(iii)), ან იმის გამო, რომ თქვენ იყიდეთ განახლების პაკეტი, როგორც საზიარო მომხმარებელმა და თქვენს ანგარიშთან მანქანის გაზიარება (იხ. პუნქტი 5.4.2(b)(ii)), საცდელი პერიოდის განმავლობაში გამოირთო.
მოქმედი საცდელი პერიოდების შესახებ დეტალები, Kia Connect აპის მაღაზიის განყოფილებაში, პროდუქტის აღწერილობაშია მითითებული.

5.3.3. შეძენის მოქმედი პირობები
გთხოვთ, Kia Connect აპის ფარგლებში, ხელმისაწვდომი პაკეტებისთვის, მოქმედი საცდელი პერიოდისა და ფასებისთვის, Kia Connect Store-ში შემოთავაზებული პაკეტები იხილოთ

5.4. განახლებების შეძენისა და გამოყენების პირობები

5.4.1. დაკავშირებული მანქანის აქტიური სერვისები („Kia Connect“)

5.4.1.1. მოთხოვნა დაკავშირებული მანქანის აქტიური სერვისებისთვის
განახლების ინსტალაცია და გააქტიურება, განახლების უფასო საცდელი პერიოდის შეწყვეტის შემთხვევაში გამორთვა და შეძენილი განახლების გამოყენების ხანგრძლივობის მონიტორინგი/განხორციელება მოითხოვს, რომ თქვენს მანქანაში განახლების გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში, დაკავშირებული მანქანის

სერვისები („Kia Connect“) ჩართული იყოს. თქვენი, როგორც მომხმარებლის ვალდებულებაა, შეინარჩუნოთ დაკავშირებული მანქანის სერვისები, რათა ნებისმიერი შეძენილი განახლებით ისარგებლოთ.

5.4.1.2. დაკავშირებული მანქანის სერვისების გამორთვის შედეგები
თუ თქვენ დაკავშირებული მანქანის სერვისებს (CCS) გამორთავთ, იმოქმედებს შემდეგი:

5.4.1.2.1. ნებისმიერი განახლება, რომელიც შეძენილია შეზღუდული გამოყენების პერიოდისთვის, დაკავშირებული მანქანის სერვისების გამორთვისას გაითიშება და გამორთული მანამ იქნება, სანამ დაკავშირებული მანქანის სერვისები გამორთულია. ამ შემთხვევაში, შესაბამისი განახლებისთვის, შეძენილი გამოყენების პერიოდი შეწყდება და გაგრძელდება, როგორც კი დაკავშირებული მანქანის სერვისები ხელახლა ჩაირთვება. განახლება ხელახლა ჩაირთვება მას შემდეგ, რაც დაკავშირებული მანქანის სერვისები ხელახლა გააქტიურდება. ეს მოქმედებს იმისდა მიუხედავად, თუ დაკავშირებულi მანქანის სერვისებს, ხელახლა რომელი მომხმარებელი ააქტიურებს, ანუ ავტომობილის გაყიდვის შემთხვევაში, მყიდველს ასევე შეუძლია, ხელახლა ჩართოს დაკავშირებული მანქანის სერვისები და განახლების გამოყენების დარჩენილი პერიოდით ისარგებლოს; ასევე, 5.4.3 პუნქტი იხილეთ.

5.4.1.2.2. განახლებები, რომლებიც შეუზღუდავი ვადით არის შეძენილი, როგორც წესი, აქტიური დარჩება. თუმცა, ზოგიერთმა განახლებამ შეიძლება მუშაობა შეწყვიტოს, თუ დაკავშირებული მანქანის სერვისები გამოირთვება. ეს განსაკუთრებით ეხება განახლებებს, რომლებიც სრული ფუნქციონირებისთვის, დაკავშირებას საჭიროებს, მაგალითად, ფასიანი OTA, მაგრამ ეს შეიძლება ასევე იყოს სხვა განახლებების შემთხვევაში, რომლებიც შეუზღუდავი ვადით არის შეძენილი.

5.4.1.2.3. განახლებები, რომლებიც ამჟამად საცდელ პერიოდშია, დეაქტივირებული იქნება. საცდელი პერიოდი, დაკავშირებული მანქანის სერვისების გამორთვის შემდეგ დასრულდება. თუ განახლების გამოყენება, დაკავშირებული მანქანის სერვისების ხელახალი გააქტიურების შემდეგ გსურთ, შესაბამისი განახლების ხელახლა შეძენა მოგიწევთ. შესაბამისი განახლების ხელახალი შეძენის შემთხვევაში, მეორე შესყიდვისთვის, საცდელი პერიოდი შემოთავაზებული არ იქნება.

5.4.2. Kia Connect-ის რამდენიმე მომხმარებელი კონკრეტული მანქანისთვის
მანქანა შეიძლება Kia Connect-ის ერთ ან მეტ ანგარიშთან (იხ. პუნქტი 4.1.2 ზემოთ) იყოს მიბმული. მთავარ მომხმარებელს, ისევე როგორც ნებისმიერ ზიარ მომხმარებელს, შეუძლია შეიძინოს განახლებები იმ ავტომობილისთვის, რომელზედაც მათი Kia Connect-ის ანგარიშია დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ ზიარი მომხმარებელი განახლებას ყიდულობს, შემდეგი დებულებები გამოიყენება:

5.4.2.1. ინფორმაცია სხვა მომხმარებლებისთვის
იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მომხმარებელი განახლებას ყიდულობს, Kia მთავარ მომხმარებელს და ყველა ზიარ მომხმარებელს განახლების შეძენის, ასევე შესაბამისი განახლების აქტივაციისა და დეაქტივაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აცნობებს.

5.4.2.2. შეძენილ განახლებებზე ავტომობილის გაზიარების შეწყვეტის ეფექტი
იმ შემთხვევაში, თუ ზიარი მომხმარებელი განახლებას ყიდულობს და მთავარი მომხმარებელი შემდგომში ავტომობილის საერთო მომხმარებელთან გაზიარებას შეწყვეტს, მოქმედებს შემდეგი:

5.4.2.2.1. განახლებები, რომლებიც ზიარი მომხმარებლის მიერ არის შეძენილი და რომლებიც ამჟამად საცდელ პერიოდშია, დეაქტივირებული იქნება და ასეთი განახლებების საცდელი პერიოდი დასრულდება.

5.4.2.2.2. ზიარი მომხმარებლის მიერ შეძენილი განახლებები, რომლებიც საცდელ პერიოდში აღარ არის, ავტომობილზე შეძენილი გამოყენების პერიოდისთვის, კვლავ ხელმისაწვდომი იქნება, იმ პირობით, რომ დაკავშირებული მანქანის სერვისები აქტიური დარჩება (იხ. ზემოთ პუნქტი 5.4.1). ეს ნიშნავს, რომ მანქანის მთავარი მომხმარებელი (ისევე როგორც მფლობელი), განახლებით სარგებლობას მაშინაც კი განაგრძობს, თუ ზიარი მომხმარებელი დაკავშირებული არ არის და შესაძლოა, მანქანაზე წვდომა აღარ ჰქონდეს.

5.4.3. მანქანის გაყიდვა და ახალ მფლობელზე გადაცემა
იმ შემთხვევაში, თუ მანქანა გაიყიდება, ნებისმიერი განახლებისთვის, რომელიც შეიძლება ავტომობილისთვის იყოს შეძენილი, შემდეგი მოქმედებს.

5.4.3.1. ავტომობილის ახალი მფლობელისთვის გადაცემამდე, დაკავშირებული მანქანის სერვისები უნდა გამორთოთ და 7.3 პუნქტში მოცემული შემდგომი ვალდებულებები შეასრულოთ.

5.4.3.2. ვინაიდან დაკავშირებული მანქანის სერვისები გამორთულია, განახლებები გაითიშება, როგორც შემდგომ აღწერილია პუნქტში 5.4.1(ბ).

5.4.3.3. ახალ მფლობელს ან მთავარ მომხმარებელს შეუძლია, ხელახლა გააააქტიუროს განახლებები დაკავშირებული მანქანის სერვისების ხელახლა ჩართვით, რომლებიც გამორთული იყო აღნიშნული სერვისების დეაქტივაციის გამო. ამისთვის საჭიროა, რომ ავტომობილის ახალმა მფლობელმა ან მთავარმა მომხმარებელმა შექმნას Kia Connect-ის ანგარიში, დაეთანხმოს გამოყენების შესაბამის პირობებს და თავისი ანგარიში შესაბამის ავტომობილთან დააკავშიროს. დაკავშირებული მანქანის სერვისების ხელახალი გააქტიურების შემდეგ

შესაბამისი განახლებები ხელმისაწვდომი იქნება შეძენილი სერვისის გამოყენების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

5.4.3.4. თქვენ ვალდებული ხართ, თქვენი ავტომობილის მყიდველს, მანქანაზე დაყენებული განახლებების და გამოყენების დარჩენილი პერიოდების, ასევე მათი დასრულების მოქმედი თარიღების შესახებ, ზუსტად აცნობოთ. თქვენ ასევე ვალდებული ხართ, მყიდველს Kia Connect-ის ანგარიშის შექმნის მოთხოვნის შესახებ აცნობოთ და გამოყენების ამ წესებს, განახლებების ხელახალი გააქტიურების მიზნით დაეთანხმოთ. Kia არ აიღებს პასუხისმგებლობას ახალი მფლობელის პრეტენზიებზე იმის გამო, რომ ახალ მფლობელს არ შეუძლია, ხელახლა გააააქტიუროს, ან სხვაგვარად ისარგებლოს გარკვეული განახლებით, რომელიც თქვენი თქმით, ხელმისაწვდომი იყო მანქანაზე, თუ ეს არ არის იმ ტექნიკური გაუმართაობების გამო, რომლებიც Kia Connect-ის კონტროლს ექვემდებარება.

5.5. Kia Connect Store, შეძენის პროცესი და გადახდის პროცესი
Kia Connect Store განკუთვნილია ექსკლუზიურად კერძო პირი საბოლოო მომხმარებლებისთვის. კომერციულ ან ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაყიდვები არ ხორციელდება.

5.5.1. შეძენის პროცესი
თქვენ შეგიძლიათ, თქვენი მანქანის პროგრამული უზრუნველყოფისთვის აირჩიოთ გარკვეული განახლებები და სხვა დანამატები, რომლებიც ხელმისაწვდომია Kia Connect აპის მაღაზიის სექციაში. Kia Connect აპში განახლებასთან, ან სხვა დანამატთან დაკავშირებით შეკვეთის გაგზავნით, Kia-ს შესაბამისი განახლების, ან დანამატის შეძენასთან დაკავშირებით, შეთავაზებით მიმართავთ. Kia შეკვეთის მიღებას, თქვენთვის გამოგზავნილი ავტომატური ელფოსტით (შეკვეთის დადასტურება) ადასტურებს. შეკვეთის ეს დადასტურება არ წარმოადგენს თქვენი შეთავაზების მიღებას, არამედ უბრალოდ, Kia-ს მიერ შეთავაზების მიღებას და შემდგომ დამუშავებას ადასტურებს.
Kia-ს და თქვენ შორის კონტრაქტი იდება ყოველ განახლებაზე, როგორც კი შეძენილი განახლება შესაბამის მანქანაში გააქტიურდება, რომლისთვისაც შეძენილია განახლება. Kia-ს აქვს ნაწილობრივი მიწოდების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს თქვენთვის არაგონივრულად არახელსაყრელია.
თქვენ შეგიძლიათ, თითოეულ განახლებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება საცდელი პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ, როგორც ეს 5.3.2 პუნქტშია მითითებული.

5.5.2. უარის თქმის უფლების ვადის გასვლა
ზოგადად, თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ გაქვთ კანონისმიერი გასვლის უფლება, როგორც ეს 16 პუნქტშია მითითებული. შესყიდვის პროცესის მსვლელობისას ჩვენ გთხოვთ, გამოხატოთ თანხმობა, რათა Kia-მ ხელშეკრულების შესრულება, უარის თქმის პერიოდის დასრულებამდე დაიწყოს. თანხმობის მიცემით, როგორც კი Kia ხელშეკრულების შესრულებას დაიწყებს, თქვენ უარის თქმის უფლებას კარგავთ.

5.5.3. გამოყენების ამ პირობებზე წვდომა
შეკვეთის გაგზავნამდე შეგიძლიათ, გამოყენების ამ წესებზე შეკვეთის გაფორმების პროცესში მოცემული ბმულის მეშვეობით შეხვიდეთ. გარდა ამისა, შეკვეთის დამადასტურებელ ელწერილში, ამ წესების ასლი მოგეწოდებათ.

5.5.4. გადახდის დამუშავება
Kia Connect Store-ში გადახდის დამუშავებას ჩვენი პარტნიორი Stripe Payments Europe Ltd, 1 Grand Canal Street Lower, Grand Canal Dock, Dublin, Ireland („Stripe“) ახორციელებს. ეს ეფექტური და უსაფრთხო გადახდის მეთოდის შეთავაზებაში, ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესს შეესაბამება. ამ კონტექსტში, ჩვენ Stripe-ს შემდეგ მონაცემებს იმდენად ვუზიარებთ, რამდენადაც ეს ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი:

- ანგარიშის მფლობელის სახელი
- ანგარიშის ელფოსტის მისამართი
- მომხმარებლის ნომერი
- ბანკის დეტალები
- გამოწერის დაწყების თარიღი და დრო
- მომხმარებელთა რაოდენობა
- თქვენი მდებარეობა

კანონით ან კონტრაქტით, ამ სექციაში მოცემული ინფორმაციის დამუშავება არ მოგვეთხოვება. თუმცა, თქვენი პირადი ინფორმაციის გარეშე, Stripe-ის მეშვეობით გადახდის დამუშავება არ შეგვიძლია. ხელშეკრულების გაფორმებით, როგორც მონაცემთა დამუშავებას, ისე გადახდის მეთოდის გამოყენებას პირდაპირ ეთანხმებით. Stripe-ის საშუალებით, შემოთავაზებული გადახდის ინდივიდუალური მეთოდები Kia Connect Store-ში მოგეწოდებათ. გადახდების დასამუშავებლად, Stripe-ს შეუძლია, გადახდის სხვა სერვისები გამოიყენოს,

რომლებიც შეიძლება გადახდის კონკრეტულ პირობებს დაექვემდებაროს, რომელთა შესახებაც, თუ ეს შესაძლებელია, ცალკე შეგატყობინებთ. Stripe-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, ვებგვერდს https://stripe.com ეწვიეთ.

6. საავტორო უფლება

6.1. სერვისების მთელი კონტენტი არის Kia-ს, მისი პირდაპირი, ან ირიბი შვილობილი კომპანიების, ან აფილირებული კომპანიების (შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „Kia ჯგუფი“), ან მისი მესამე მხარის ლიცენზიარების საკუთრება და საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონებით არის დაცული, რითაც ყველა უფლება დაცულია.
სერვისებზე, ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფაზე, კონტენტსა და მოწყობაზე ყველა უფლება Kia ჯგუფს და მის ლიცენზიარებს ეკუთვნის. ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე, სერვისები არ უნდა გაყიდოთ, გაავრცელოთ, გამოაქვეყნოთ, გადასცეთ, გაანაწილოთ, ან კომერციულად გამოიყენოთ.
ჩვენი წინასწარი ნებართვის გარეშე, თქვენ არ შეგიძლიათ, სერვისები რაიმე საჯარო, ან კომერციული მიზნებისთვის გაამრავლოთ (მთლიანად, ან ნაწილობრივ), გადასცეთ (ელექტრონული საშუალებებით, ან სხვაგვარად), შეცვალოთ, აჩვენოთ, ხელახლა მიაწოდოთ, ლიცენზიით გასცეთ, ბმულით დააკავშიროთ, ან სხვაგვარად გამოიყენოთ.

6.2. გამოყენების ამ წესებში, არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც რაიმე სახის გამოსახულების, სავაჭრო ნიშნის, სერვისის ნიშნის, ან ლოგოს გამოყენების რაიმე ლიცენზიის, ან უფლების მინიჭება, რაც Kia ჯგუფის საკუთრებაა.
Kia ჯგუფი სერვისების კონტექსტში, მის საკუთრებაში არსებულ ინფორმაციასთან, ან მასალასთან დაკავშირებით, ყველა უფლებას იტოვებს და ასეთ უფლებებს, საავტორო და სასაქონლო ნიშნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სრულ ფარგლებში განახორციელებს.

7. მომხმარებლის ვალდებულებები და შეზღუდვები

7.1. ზოგადი ვალდებულებები
სერვისების გამოყენებისას, ყველა მოქმედი კანონი უნდა დაიცვათ და მესამე მხარის უფლებებს პატივი უნდა სცეთ.

7.2. ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები
10.2 პუნქტის შესაბამისად, ვალდებული ხართ, მანქანის სხვა მძღოლებს სერვისების გააქტიურებისა და მონაცემთა დამუშავების შესახებ აცნობოთ.

7.3. ვალდებულებები სატრანსპორტო საშუალების საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში
თუ თქვენს მანქანას ყიდით, ან მესამე მხარეს მუდმივი პერიოდით სხვაგვარად მიაწვდით, შემდეგი მოქმედებს:

7.3.1. თქვენ ვალდებული ხართ, სერვისები შესაბამისი ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში გამორთოთ და მანქანაში შენახული მონაცემები წაშალოთ.
ამისათვის გთხოვთ, (1) მანქანის მთავარ მოწყობილობაზე „Kia Connect“-ის ხატულაზე დააწკაპუნოთ, შემდეგ (2) აირჩიოთ „Kia Connect-ის პარამეტრები“, შემდეგ (3) ქვემოთ, მარცხნივ არსებულ მენიუში გადახვიდეთ, რათა აირჩიოთ „Kia Connect-ის დეაქტივაცია“ და ბოლოს (4) ღილაკზე „დეაქტივაცია“ დააწკაპუნოთ. ამის შემდეგ, სისტემა დეაქტივაციის პროცესში გაგიძღვებათ და მონაცემების წაშლას შემოგთავაზებთ.
ყურადღება: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მთავარი ერთეულის ქარხნულ პარამეტრებზე გადაყენება, Kia Connect-ის სერვისების გამორთვას არ იწვევს. თქვენ დეაქტივაციის ზემოთ აღწერილ პროცესს უნდა მიჰყვეთ.
ზემოთ აღწერილი დეაქტივაციის შემდეგ, ავტომობილის შესაბამისი სერვისები გამოირთვება, მთავარი მოწყობილობის მონაცემები წაიშლება და მანქანა თქვენი Kia Connect აპიდან გაითიშება.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Kia Connect აპის თქვენს ანგარიშში, ავტომობილთან დაკავშირებული მონაცემები ასევე წაიშლება, მაგრამ თქვენს ანგარიშში არსებული ნებისმიერი სხვა მონაცემი უცვლელი დარჩება. თუ ასევე Kia Connect აპში თქვენი ანგარიშის წაშლა გსურთ, გთხოვთ, Kia Connect აპში ანგარიშის წაშლის პროცესს მიჰყვეთ.

7.3.2. თქვენ და Kia-ს უფლება გაქვთ, შესაბამის ავტომობილთან დაკავშირებით, 11.4 პუნქტის შესაბამისად, სერვისების გამოყენების შესახებ ხელშეკრულება შეწყვიტოთ.

7.4. აკრძალული გამოყენება და სხვა დაუშვებელი მოქმედებები

7.4.1. თქვენ შეგიძლიათ, სერვისები მხოლოდ 4.2 პუნქტში აღწერილი მიზნებისთვის და ლიმიტების ფარგლებში გამოიყენოთ.

7.4.2. თქვენ შეგიძლიათ, სერვისებისთვის განკუთვნილი თქვენი შესვლის მონაცემები, Kia Connect აპში შესასვლელად და სათავე ბლოკის თქვენს Kia Connect აპთან დასაკავშირებლად გამოიყენოთ.

7.4.2.1. უფლება არ გაქვთ

7.4.2.1.1. თქვენი შესვლის მონაცემები, თქვენი მანქანის სხვა მომხმარებლებს გაუზიაროთ, ან

7.4.2.1.2. თქვენი შესვლის მონაცემები ნებისმიერ მესამე მხარეს გაუზიაროთ, როგორიცაა მესამე მხარის აპების, ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მიმწოდებლები, ან

7.4.2.1.3. თქვენი შესვლის მონაცმები, Kia-ს პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენოთ, ან

7.4.2.1.4. თქვენი შესვლის მონაცემები გამოიყენეთ, რათა მესამე მხარის ნებისმიერი სერვისი Kia-ს სისტემებთან დააკავშიროთ, როგორიც Kia Connect-ის სერვერული ნაწილია.

7.4.2.2. ზემოთ მოყვანილი შეზღუდვების შეუსრულებლობამ, შეიძლება შემდეგი გამოიწვიოს და Kia ყველა პასუხისმგებლობაზე უარს იტყვის

7.4.2.2.1. მთავარი მოწყობილობის მიერ, ენერგიის გადაჭარბებული მოხმარება და შესაბამისად, მანქანის 12-ვოლტიანი აკუმულატორის დაცლა, რამაც შეიძლება საბოლოოდ, ავტომობილის დაქოქვის შეუძლებლობა გამოიწვიოს და

7.4.2.2.2. მესამე მხარეების მიერ, რომლებსაც ეს მონაცემები გადაეცათ, შესვლის მონაცემების არასათანადოდ გამოყენება.

7.4.2.3. გარდა ამისა, მესამე მხარის მიერ, თქვენი შესვლის მონაცემების გამოყენებით მიღებულ მონაცემთა შემდგომ დამუშავებაზე, Kia-ს კონტროლი არ აქვს.

7.4.3. თქვენი მანქანის რაიმე გზით მოდიფიცირებაზე (ტექნიკის, ან პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლის, ან მესამე მხარის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ჩათვლით), რამაც შეიძლება სერვისების ფუნქციონირებაზე გავლენა მოახდინოს, უარი უნდა თქვათ.

7.4.4. თქვენ შეგიძლიათ, SIM-ბარათი, რომელიც მთავარ მოწყობილობაშია ჩაშენებული, მხოლოდ მთავარ მოწყობილობაში და მხოლოდ სერვისებზე წვდომისთვის გამოიყენოთ. მთავარი მოწყობილობიდან SIM-ბარათის, ან SIM-ბარათში არსებული ინფორმაციის ამოღება (მაგ., ICCID) აკრძალულია.
SIM-ბარათი არ უნდა გამოიყენოთ

- ხმის გადაცემისთვის (VoIP-ის ჩათვლით);
- საჯარო მისამართის მქონე დანიშნულების ადგილზე წვდომისთვის (მაგ., საჯარო IP-მისამართი), მათ შორის, პროქსის, გამტარის ან მარშრუტირების გამოყენებით;
- ნებისმიერი გზით, რომელიც მოიაზრებს მცდელობას, შეაღწიოთ უსაფრთხოების ზომებში, მიუხედავად იმისა, შეჭრა მონაცემთა დარღვევას ან დაკარგვას გამოიწვევს თუ არა;
- ნებისმიერი გზით, რომელიც სერვისებს, ან ინტერნეტ ჩატთან დაკავშირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ფაილების თანაბარუფლებიან გაზიარებას, ბიტ ტორენტს, ან პროქსი სერვერის ქსელებს იყენებს;
- ნებისმიერი გზით, რომელიც სპამს, არასასურველი ერთიანი ელფოსტის, ან კომერციული შეტყობინებების დაგზავნას, ან ღია SMTP გადაცემის შენარჩუნებას მოიცავს; ან
- ნებისმიერი გზით, რამაც ქსელზე ან სერვისებზე, შეიძლება საზიანო გავლენა მოახდინოს.

7.4.5. მესამე მხარეს SIM ბარათის, ქსელის, სერვისების, ან მისი ნებისმიერი კომპონენტის შედარებითი ტესტირების, ან მუშაობის ტესტირების შედეგები არ უნდა გაუმჟღავნოთ.

7.5. დარღვევების შედეგები
ამ 7 პუნქტში ვალდებულებებისა და შეზღუდვების ნებისმიერმა დარღვევამ, შეიძლება სერვისების მიწოდების დროებითი შეჩერება გამოიწვიოს. როგორც წესი, Kia სერვისების მიწოდების შეჩერების განზრახვის და შეჩერების ხანგრძლივობის შესახებ წინასწარ შეგატყობინებთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაუყოვნებელი შეჩერება, Kia-სთვის, სერვისის, ქსელის, ან სხვა მომხმარებლებისთვის, ზიანის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია. შეჩერების ხანგრძლივობა Kia-ს მიერ, მისი გონივრული შეხედულებისამებრ, დარღვევის სიმძიმისა და Kia-ს, სერვისის, ქსელის, ან სხვა მომხმარებლისთვის გამოწვეული რისკების საფუძველზე განისაზღვრება. განმეორებითი დარღვევების შემთხვევაში, Kia-ს შეუძლია, ხელშეკრულება 11.3 პუნქტის შესაბამისი მიზეზის გამო შეწყვიტოს.

8. მომსახურების გადასახადი

8.1. უფასო მომსახურების პერიოდი
თუ გამოყენების წინამდებარე წესებში სხვაგვარად არ არის მითითებული შესაბამის სერვისებთან დაკავშირებით, სერვისები უფასოდ მიეწოდება კონკრეტული ავტომობილის მომხმარებლებს (როგორც მისი შესაბამისი VIN-ით არის განსაზღვრული) 7 წლის განმავლობაში. ეს 7-წლიანი პერიოდი იწყება სერვისების გააქტიურების დღიდან.
თუ უფასო მომსახურების პერიოდში ავტომობილი ახალ მომხმარებელზე/მთავარ მომხმარებელზე გაიყიდა და დარეგისტრირდა, ახალ მომხმარებელს/მთავარ მომხმარებელს შეეძლება, აირჩიოს სერვისებით უფასოდ სარგებლობა უფასო მომსახურების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, სერვისების საკუთარი სახელით

გააქტიურების გზით. უფასო მომსახურების პერიოდზე გავლენას არ იქონიებს თავდაპირველი გაყიდვის შემდეგ ნებისმიერი შემდგომი გაყიდვა და რეგისტრაცია, ანუ უფასო მომსახურების პერიოდი ავტომობილის შემდგომი გაყიდვით ან/და რეგისტრაციით არც შეწყდება და არც გახანგრძლივდება.

8.2. დამატებითი სერვისები
ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, მომავალში დამატებითი სერვისები, გამოყენების ცალკეული პირობებით შემოგთავაზოთ. ასეთი დამატებითი სერვისები შეიძლება საფასურს დაექვემდებაროს.

9. მომსახურების ხელმისაწვდომობა

9.1. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, სერვისებზე წვდომა დროებით ან სამუდამოდ, მთლიანად ან ნაწილობრივ გამოვრთოთ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ყველა მომხმარებლისთვის სერვისების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ან მომსახურების სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

9.2. სერვისების მიწოდება და გამოყენება, ჩვენი კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებული ტექნიკის მიმართ, შეიძლება შეზღუდვებს დაექვემდებაროს. კერძოდ, ეს ეხება ოპერატორების მიერ მოწოდებულ მონაცემთა კავშირების ხელმისაწვდომობას. ცალკეულ შემთხვევებში, ქსელის მიუწვდომლობამ შეიძლება სერვისების მიუწვდომლობა გამოიწვიოს, რადგან მონაცემთა საჭირო გადაცემა შეუძლებელია.
გარდა ამისა, მოცულობის მოკლევადიანი შეფერხებები შეიძლება სერვისების, უკაბელო და ფიქსირებული ქსელების და ინტერნეტის პიკური დატვირთვის გამო წარმოიშვას.

9.3. შეფერხებები ასევე შეიძლება ფორსმაჟორული გარემოების გამო წარმოიშვას, მათ შორის, პანდემიური და ეპიდემიური დაავადებების, გაფიცვების, ჩაკეტვისა და ოფიციალური ბრძანებების, თუ ტექნიკური და სხვა ზომების მიზეზით (მაგ., რემონტი, ტექნიკური მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები და გაფართოებები), რომლებიც აუცილებელია ჩვენს, ან იმ სისტემებზე, რომლებიც ქვედა თუ ზედა დონის მიმწოდებლებს, კონტენტის მიმწოდებლებს და ქსელის ოპერატორებს ეკუთვნის, რომლებიც სერვისების სათანადო, ან გაუმჯობესებული მუშაობისთვის არის აუცილებელი.

9.4. როდესაც სერვისებზე წვდომა დეაქტივირებული, შეზღუდული, ან შეფერხებულია, როგორც ეს აღწერილია ამ 9 პუნქტში, შეძლებისდაგვარად, წინასწარ დაგიკავშირდებით, რათა ამის შესახებ შეგატყობინოთ და დეაქტივაციის, შეზღუდვის, ან შეფერხების მიზეზი მოგახსენოთ.

10. მონაცემთა დაცვა

10.1. ინფორმაციისთვის, თუ სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემებს როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ, გთხოვთ, ჩვენი Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება იხილოთ, რომელიც ხელმისაწვდომია Kia Connect-ის ვებგვერდზე https://connect.kia.com/eu/downloads.

10.2. მანქანის ნებისმიერ სხვა მომხმარებელს/მძღოლს უნდა აცნობოთ, რომ სერვისები გააქტიურებულია. სხვა მომხმარებელს/მძღოლს Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში აღწერილი მონაცემთა დამუშავების აქტივობების შესახებ და ის ფაქტი, რომ სერვისები მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემების) შეგროვებასა და დამუშავებას მოითხოვს, კონკრეტულად უნდა აცნობოთ.

11. ვადა, შეწყვეტა

11.1. ეს ხელშეკრულება იწყება თქვენ მიერ, მთავარ მოწყობილობაში დათანხმებისთანავე. მას ვადა ეწურება, როდესაც უფასო მომსახურების პერიოდი (იხ. 8.1 პუნქტი) დასრულდება, თუ ამ 11 პუნქტის შესაბამისად, ადრე არ შეწყვეტილი.

11.2. ხელშეკრულება სერვისების მიწოდებასთან და შესაბამისად, სერვისებით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებით, შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, ნებისმიერ დროს, ერთი თვით ადრე გაფრთხილებით, კალენდარული კვარტლის ბოლომდე.

11.3. ნებისმიერი მხარის უფლება, ხელშეკრულება გონივრული მიზეზით შეწყვიტოს, უცვლელი რჩება. Kia-ს მიერ შეწყვეტის გონივრული მიზეზი არსებობს, კერძოდ, მომხმარებლის ვალდებულებების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, 7.5 პუნქტის წინაპირობებით.

11.4. გარდა ამისა, ავტომობილის შეძენის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი დილერის მიერ, მანქანის ხელახალი შეძენის, ან სხვაგვარად გატანის, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის, მანქანის მესამე პირზე მიყიდვის, ქურდობის, ან სრული დაზიანების შემთხვევაში, რომელიც შეკეთებას არ ექვემდებარება, თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შესაბამის მანქანასთან დაკავშირებით, მომსახურება შეწყვიტოს.

11.5. ნებისმიერი მხარის კანონიერი შეწყვეტის უფლება უცვლელი რჩება.

12. მონაცემებზე წვდომა და მათი გამოყენება ევროკავშირის მონაცემთა აქტის შესაბამისად

12.1. ლიცენზია მონაცემების გამოყენებაზე და მონაცემთა გამოყენების მიზნები

12.1.1. მომსახურების ან სატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ, მზა არაპერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით („**შესაბამისი მონაცემები**“), ამ პირობებზე დათანხმებით, ჩვენ გვანიჭებთ არაექსკლუზიურ ლიცენზიას მთელ მსოფლიოში, რომ უფასოდ მივიღოთ წვდომა, გამოვიყენოთ და ხელმისაწვდომი გავხადოთ ეს მონაცემები Kia-ს შვილობილი კომპანიებისა და მესამე მხარეებისთვის („**ლიცენზია მონაცემების გამოყენებაზე**“) უფასოდ, ამ პუნქტში აღწერილი წესით და შემდეგი მიზნებისთვის („**მიზნები**“):

- მომსახურების მიწოდება ამ პირობებში აღწერილი წესების მიხედვით;
- მხარდაჭერა, თავდებობა, გარანტიის მიცემა ან მსგავსი მომსახურების მიწოდება ან თქვენი ან მესამე მხარის სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით პრეტენზიების შეფასება;
- მომსახურების მიწოდების და ავტომობილის ფუნქციონირების, უსაფრთხოების და დაცვის მონიტორინგი ან ტექნიკური მხარდაჭერა და ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა;
- ჩვენ ან Kia-ს შვილობილი კომპანიების მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი პროდუქტის ან მასთან დაკავშირებული მომსახურების ფუნქციონირების გაუმჯობესება;
- მონაცემების ანალიზი და სხვა მონაცემებთან გაერთიანება ან მომსახურების მონაცემების შექმნა ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- ჩვენ მიერ ან ჩვენი სახელით მოქმედი მესამე მხარეების მიერ ან ჩვენთან თანამშრომლობით ახალი პროდუქტების ან მომსახურების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის (AI) გადაწყვეტილებების, შემუშავება;
- შესაბამისი მონაცემების სხვა მონაცემებთან გაერთიანება ან მიღებული მონაცემების შექმნა ნებისმიერი კანონიერი მიზნით, მათ შორის, ასეთი გაერთიანებული ან მიღებული მონაცემების მესამე მხარეებზე გაყიდვის ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობის მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთი მონაცემებით შეუძლებელი იქნება ავტომობილიდან ან სერვისებიდან ჩვენთვის გადმოცემული კონკრეტული მონაცემების იდენტიფიცირება ან მესამე მხარის მიერ მონაცემთა ნაკრებიდან მონაცემების მიღება.

12.1.2. მონაცემების ლიცენზია შეიძლება ჩვენ მიერ გადაეცეს Kia-ს შვილობილ კომპანიას. ასეთ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ შეტყობინებას გადაცემამდე 30 დღით ადრე და შეძლებთ, გააპროტესტოთ ასეთი გადაცემა ამ პერიოდის განმავლობაში. თუ წინააღმდეგი იქნებით, ლიცენზია მონაცემების გადაცემაზე შეწყდება თქვენ მიერ გამოხატული პროტესტიდან 7 დღის განმავლობაში.

12.1.3. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, არ გამოვიყენოთ არაპერსონალური შესაბამისი მონაცემები თქვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივებისა და წარმოების მეთოდების, ან ავტომობილის ან მომსახურების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სხვა ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენს კომერციულ მდგომარეობას იმ ბაზრებზე, რომლებზეც მოქმედებთ.

12.2. თქვენი წვდომა შესაბამის მონაცემებზე

12.2.1. თქვენ გაქვთ უფლება, უფასოდ მიიღოთ წვდომა შესაბამის მონაცემებზე, სულ მცირე, იმავე ხარისხით, როგორც ეს ჩვენთვის არის ხელმისაწვდომი ყოვლისმომცველი, სტრუქტურირებული, ფართოდ გამოყენებადი და პროგრამულად წაკითხვადი ფორმატით.

12.2.2. ტექნიკური დეტალები მონაცემებზე წვდომის პროცედურებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე („**მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინება**“).

12.2.3. როდესაც ითხოვთ წვდომას შესაბამის მონაცემებზე, შესაძლოა დაგვჭირდეს დამატებითი ინფორმაცია თქვენი ვინაობის, მოთხოვნის კანონიერების და შესაბამის მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების დასადასტურებლად. ამ მიზნით ჩვენ შესაძლოა მოვითხოვოთ შემდეგი:

- ავტომობილის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან
- ავტომობილის იჯარის ან დროებითი გამოყენების უფლების სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი, ან
- მომსახურებებით სარგებლობის სხვა უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი.

12.2.4. თუ არ ხართ ავტომობილის კანონიერი მფლობელი, შესაბამის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნა უნდა წარმოადგინოს ავტომობილის მფლობელმა.

12.2.5. შესაბამის მონაცემებზე წვდომის მინიჭებამდე შესაძლოა, მოგთხოვოთ ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა, შესაბამისი მონაცემების დასაცავად.

12.2.6. შესაძლოა, უარი გითხრათ შესაბამის მონაცემებზე წვდომაზე, თუ მონაცემების გამჟღავნებამ (ან მონაცემების შემდგომმა დამუშავებამ) შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ფიზიკური პირის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და დაცვაზე.

12.2.7. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ვერ უზრუნველვყოფთ შესაბამისი მონაცემების სათანადო უსაფრთხოებას ან როდესაც შესაბამისი მონაცემების გამჟღავნება, დიდი ალბათობით, სერიოზულ ეკონომიკურ ზიანს მოგვაყენებს, შესაძლოა უარი ვთქვათ შესამაბის მონაცემებზე წვდომის მინიჭებაზე.

12.2.8. შესაბამის მონაცემებზე წვდომის შესახებ თქვენს მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში 12.2.6 ან 12.2.7 სექციების შესაბამისად, ჩვენ ასევე ვაცნობებთ შესაბამის ორგანოს. ამ შემთხვევაში თქვენ ასევე გაქვთ უფლება, იცოდეთ თქვენს მოთხოვნაზე უარის მიზეზები და შეიტანოთ საჩივარი შესაბამის ორგანოში.

12.2.9. თუ მოთხოვნილი შესაბამისი მონაცემები მოიცავს პერსონალურ მონაცემებს, გავრცელდება GDPR-ის დებულებები. ასეთ შემთხვევაში თქვენ შეიძლება მოგეთხოვოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების წარმოდგენა, თუ თქვენ არ ხართ მონაცემთა სუბიექტი GDPR-ის შესაბამისად, და შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები.

12.3. თქვენ მიერ შესაბამისი მონაცემების გამოყენება
თქვენ გაქვთ უფლება, გამოიყენოთ თქვენთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი მონაცემები ნებისმიერი კანონიერი მიზნით და თავისუფლად გაუზიაროთ შესაბამისი მონაცემები მესამე მხარეებს.
ამასთან, თქვენ არ გაქვთ უფლება:

- გამოიყენოთ შესაბამისი მონაცემები Kia-ს ავტომობილის კონკურენტი პროდუქტის შესაქმნელად, ასევე არ უნდა გაუზიაროთ შესაბამისი მონაცემები მესამე მხარეებს ამ მიზნით;
- გამოიყენოთ შესაბამისი მონაცემები ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივებისა და წარმოების მეთოდების ან Kia Corporation-ის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად;
- გამოიყენოთ იძულებითი საშუალებები ან ნებისმიერი ხარვეზი ჩვენს ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში, რომელიც შექმნილია შესაბამისი მონაცემების დასაცავად, მონაცემებზე წვდომის მიღების მიზნით;
- გაუზიაროთ შესაბამისი მონაცემები მესამე მხარეს, რომელიც ითვლება მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლად ევროკავშირის (EU) 2022/1925 რეგულაციის მე-3 მუხლის შესაბამისად (მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლების განახლებული სია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://digital-markets-act.ec.europa.eu/gatekeepers_en).

12.4. გააზიაროთ მონაცემები მესამე მხარეებთან მიზნებთან დაკავშირებით

12.4.1. ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ არაპერსონალური შესაბამისი მონაცემები Kia-ს შვილობილ კომპანიებს ან/და მესამე მხარეებს, თუ მესამე მხარე მონაცემებს იყენებს შემდეგიდან ერთი ან ყველა მიზნისთვის:

- მონაცემთა მაკონტროლებლის დახმარება მიზნების მიღწევაში;
- მიზნების მიღწევა მონაცემთა მაკონტროლებელთან თანამშრომლობით;
- მესამე მხარეების სხვა მიზნების მიღწევა, თუ ეს კონკრეტულად მოითხოვეთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ კომპენსაცია ასეთი მესამე მხარისგან შესაბამისი მონაცემების გაზიარებისთვის.

12.4.2. გარდა 12.4.1 სექციის პირველ და მეორე ქვეპუნქტებში, 12.4.4 სექციაში ან/და Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში აღწერილი შემთხვევებისა, შესაბამის მონაცემებს გავაზიარებთ მხოლოდ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ ჩვენ ან მესამე მხარეებს თქვენი გადაწყვეტილებით. დამატებითი ინფორმაციისთვის მოთხოვნის პროცედურის შესახებ იხილეთ მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინება.

12.4.3. არაპერსონალური შესაბამისი მონაცემების მესამე მხარესთან გაზიარებისას ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მესამე მხარეზე გავრცელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები:
არ გამოიყენოს შესაბამისი მონაცემები რაიმე მიზნით ან რაიმე ფორმით, რაც არ არის 9 სექციით დაშვებული;
არ მოიპოვოს ინფორმაცია თქვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივების და წარმოების მეთოდების, ან ავტომობილის ან მომსახურების გამოყენების შესახებ ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენს კომერციულ მდგომარეობას იმ ბაზრებზე, რომლებზეც მოქმედებთ;
გაატაროს ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ზომები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი მონაცემების უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად;
არ გააზიაროს შესაბამისი მონაცემები, ვიდრე კონკრეტულად არ მოითხოვთ ან დაეთანხმებით ასეთი მონაცემების გაზიარებას, ან ვიდრე ასეთი მონაცემების გაზიარება მოთხოვნილია და, ასევე, თქვენს ინტერესებშია მიზნების ან ასეთ მესამე მხარესთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების შესრულება.

12.4.4. ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ და მესამე მხარეები, რომლებთანაც გაზიარდა შესაბამისი მონაცემები, უფლებამოსილი ვართ, ჩვენი შეხედულებისამებრ გამოვიყენოთ მესამე მხარის მიერ მოწოდებული დამუშავების სერვისები, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლის მომსახურება (მათ შორის, ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი, პლატფორმა, როგორც სერვისი და პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი), ჰოსტინგის სერვისები ან მსგავსი მომსახურებები მიზნების მისაღწევად.

12.4.5. არცერთ შემთხვევაში არ გავაზიარებთ შესაბამის მონაცემებს მესამე მხარესთან, რომელიც ითვლება მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლად ევროკავშირის (EU) 2022/1925 რეგულაციის მე-3 მუხლის შესაბამისად (მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლების განახლებული სია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://digital-markets-act.ec.europa.eu/gatekeepers_en).

12.5. მონაცემების გამოყენების ლიზენციის შეწყვეტა

12.5.1. შესაბამისი მონაცემების გამოყენება შემოიფარგლება მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინებაში მითითებული შენახვის ვადებით.

12.5.2. მომსახურების შეწყვეტა ან გაუქმება იწვევს მონაცემთა გამოყენებაზე ლიცენზიის შეწყვეტას. გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ შეწყვეტთ ლიცენზიას მონაცემთა გამოყენებაზე, თქვენ მიერ სერვისების მიღება შეიზღუდება ან შეწყდება.

12.5.3. ლიცენზია მონაცემთა გამოყენებაზე ასევე ავტომატურად წყდება:

- ავტომობილის გადაცემის ან სერვისების მუდმივად შეწყვეტისთანავე;

როდესაც ამოიწურება თქვენი უფლება ავტომობილის გამოყენებაზე (მაგ.: გაყიდით თქვენს ავტომობილს); 9.2 სექციაში მითითებულ შემთხვევაში.

12.5.4. მონაცემების გამოყენების ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან შეწყვეტის შემდეგ ჩვენ აღარ შევაგროვებთ შესაბამის მონაცემებს. თუმცა, მონაცემთა მაკონტროლებელს უფლება აქვს, დამატებით დაამუშაოს შესაბამისი მონაცემები, რომლებიც გენერირებული ან შეგროვებულია მონაცემების გამოყენების ლიცენზიის ვადის გასვლამდე ან შეწყვეტამდე, როგორც ეს მითითებულია მე-12 სექციაში.

12.6. პერსონალური მონაცემების გამოყენება
პერსონალური შესაბამისი მონაცემების გამოყენების და გაზიარების წესი დეტალურად არის აღწერილი Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში.

12.7. ავტომობილის გადაცემა და სერვისების დამატებითი მომხმარებლები

12.7.1. თუ თქვენ გაყიდით ავტომობილს ან სხვაგვარად, მუდმივად გადასცემთ მესამე მხარეს, თქვენ უნდა დაიცვათ 5.4.3 სექციაში მითითებული მოთხოვნები.

12.7.2. თუ სხვა პირს („**დამატებითი მომხმარებელი**“) ნებას დართავთ, ისარგებლოს სერვისებით, თქვენ უნდა უზრუნველყოთ შემდეგი:

- დამატებითი მომხმარებელი დაეთანხმა და მიიღო გამოყენების ეს პირობები და კონკრეტულად სექცია 12;
- თქვენ მხარს უჭერთ დამატებით მომხმარებელს მის მიერ შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნის შესრულებაში, კერძოდ, იქნებით ჩვენი მთავარი საკონტაქტო პირი შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით;
- დაუყოვნებლივ გვაცნობებთ დამატებითი მომხმარებლების ნებისმიერი მოთხოვნის ან პრეტენზიის შესახებ შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით და ითანამშრომლებთ ჩვენთან ასეთი პრეტენზიის ან მოთხოვნის გადაწყვეტაში, კერძოდ, მოგვაწვდით ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას.

12.7.3. კანონით დაშვებულ ფარგლებში, თქვენ პასუხისმგებელი ხართ ჩვენთვის ან მესამე მხარისთვის მიყენებულ ზიანზე, თქვენი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, როგორც ეს განსაზღვრულია 12.7.2 ან/და 5.4.3 სექციებში.

12.8. დამატებითი ინფორმაცია
დეტალური ინფორმაცია შესაბამისი მონაცემების და ევროკავშირის მონაცემთა აქტით გათვალისწინებული თქვენი უფლებების შესახებ, ასევე, კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია ხელმისაწვდომია მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინებაში

12.9. ავტორიზებული მომხმარებლის მიერ შესაბამის მონაცემებზე წვდომა და გამოყენება

12.9.1. თქვენ ითვლებით „ავტორიზებულ მომხმარებლად“, თუ არ გაქვთ ავტომობილის საკუთრების უფლება (ე.ი. საკუთრება ან იჯარა), მაგრამ სერვისებით სარგებლობთ სხვა პირის ნებართვის საფუძველზე („ბიზნეს-მომხმარებელი“), ესენია:

- თქვენი დამსაქმებელი
- თქვენი ბიზნეს-პარტნორი, როგორიცაა ავტომობილების გაქირავების კომპანია.

12.9.2. სექციები 12.1-12.9.1 არ ვრცელდება ავტორიზებულ მომხმარებლებზე. ბიზნეს-მომხმარებლებს მოეთხოვებათ, მიაწოდონ თავიანთ ავტორიზებულ მომხმარებლებს კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, კერძოდ, თუ როგორ და რა მიზნებისთვის გამოიყენება შესაბამისი მონაცემები, როგორ შეიძლება მათზე

წვდომა და ვისთან ხდება მათი გაზიარება. შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ბიზნეს-მომხმარებელს.

12.9.3. ავტორიზებულმა მომხმარებლებმა შესაბამის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნა უნდა წარადგინონ ბიზნეს-მომხმარებლის მეშვეობით.

13. ცვლილებები სერვისებში; ცვლილებები გამოყენების წესებში

13.1. ცვლილებები სერვისებში
Kia უფლებას იტოვებს, სერვისებში გონივრული ცვლილებები შეიტანოს. კერძოდ, ჩვენ დროდადრო კანონიერად საჭირო განახლებებს ვაკეთებთ, ეს არის ცვლილებები, რომლებიც ჩვენი სერვისების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. ჩვენ ასევე შეიძლება უსაფრთხოების მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი მოსალოდნელი ხარისხის სტანდარტებს დააკმაყოფილებს, ჩვენს სერვისებში ეს განახლებები განვახორციელოთ (მაგ., ის, რაც აღწერილია სექციაში 17 ნორმატიული გარანტიების შესახებ). გარდა ამისა, შეიძლება ჩვენი სერვისები შემდეგი დამატებითი მიზეზების გამო შევცვალოთ:

- ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირება;
- სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის, ან შემცირების გათვალისწინება;
- ლიცენზიებში, ან მესამე მხარეებთან პარტნიორობებში, იმპორტის ცვლილებებთან მორგება და
- ბოროტად გამოყენების, ან დაზიანების თავიდან აცილება.

13.2. ცვლილებები გამოყენების წესებში
Kia გამოყენების ამპირობების ცვლილებებს, Kia Connect აპში და/ან მანქანის მთავარ მოწყობილობაში მათიჩვენებით, გამოყენების შემოთავაზებული ახალი პირობების ძალაში შესვლამდე, არაუგვიანესორი თვით ადრე შემოგთავაზებთ. გამოყენების შეცვლილი პირობები ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაშიშევა, თუ Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაში შესაბამის ღილაკზე „accept“ დააწკაპუნებთ.
თუ თქვენ შემოთავაზებულ გამოყენების შეცვლილ პირობებს არ ეთანხმებით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ხელშეკრულება 6 კვირით ადრე, კალენდარული კვარტალის ბოლომდე შევწყვიტოთ.

14. სხვადასხვა

14.1. Kia-სა და თქვენ შორის ყველა ხელშეკრულება ადგილობრივ ენაზე ფორმდება. შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების ტექსტი თქვენთვის ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდზე https://connect.kia.com/eu/downloads.

14.2. გამოყენების ეს პირობები არის მხარეთა სრული შეთანხმება სერვისების გამოყენების საგანთან დაკავშირებით და ამ საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს შორის ყველა წინა შეთანხმებას, წერილობითს თუ ზეპირს ანაცვლებს.

14.3. მომხმარებლის წესებისა და პირობებისთვის თავის არიდება, წინააღმდეგობა, ან დამატებითი პირობების წაყენება, სერვისების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში არეგულირებს, თუ ჩვენ მიერ მკაფიოდ, წერილობით არის მიღებული.

14.4. გამოყენების წესებში ნებისმიერი შესწორება და დამატება, ისევე როგორც შეტყობინებები, რომლებიც აუცილებელია მათი შესრულებისთვის, საჭიროებს ტექსტურ ფორმას (მთავარ მოწყობილობაში ელფოსტის, ფაქსის, ან დადასტურების ჩათვლით). ტექსტის ფორმის ამ მოთხოვნის გაუქმება მხოლოდ ტექსტური ფორმით არის შესაძლებელი.

14.5. ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, სერვისის სხვა მიმწოდებელს, სრულად ან ნაწილობრივ, 6 კვირით ადრე გაფრთხილებით გადავცეთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ, წერილობითიშეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხელშეკრულება შეწყვიტოთ, რომელიც ძალაშიახელშეკრულების იმ კომპანიისთვის დაგეგმილი გადაცემის მომენტში, რომელიც უფლებას Kia-ს,შეთანხმების საფუძველზე იღებს. შეწყვეტის ამ უფლების შესახებ, ჩვენ წერილობითი შეტყობინებითგაცნობებთ.
ეჭვის თავიდან აცილების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება ზიანს არ აყენებს თქვენს უფლებას, გამოყენების პირობები შეწყვიტოთ და შესაბამისად, უფლებას, სერვისები ნებისმიერ დროს გამოიყენოთ, როგორც ეს 11.2 პუნქტშია მითითებული.

15. მომხმარებელთა მომსახურება / საჩივრები

კითხვების ან საჩივრების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ზემოთ 2 პუნქტში მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია გამოიყენოთ.

Kia არ მონაწილეობს და მომხმარებლებისთვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანიზაციის წინაშე ვალდებული არაა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურებში მიიღოს მონაწილეობა.

16. სერვისებთან და განახლებების შეძენასთან დაკავშირებით, უარის თქმის უფლების შესახებ ინსტრუქციები

თუ თქვენ მომხმარებელი ხართ (ანუ ფიზიკური პირი, რომელიც იმ მიზნით უკვეთავს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს თქვენს კომერციულ, ან თვითდასაქმებულ პროფესიულ საქმიანობას), ამ ხელშეკრულების შესახებ კანონიერი დებულებების შესაბამისად, სერვისების მიწოდებასთან და ნებისმიერი განახლებების შეძენასთან დაკავშირებით (იხ. 5 პუნქტი), შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება გაქვთ.

16.1. უარის თქმის უფლება

თქვენ ამ კონტრაქტიდან თოთხმეტ დღეში, ყოველგვარი განმარტების გარეშე გასვლის უფლება გაქვთ. გასვლის ვადა, კონტრაქტის დადებიდან 14 დღის შემდეგ იწურება.
უარის თქმის უფლების გამოსაყენებლად, ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ თქვენი გადაწყვეტილება, (Kia Connect GmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ტელეფონის ნომერი: +49 800 7773044 და ელფოსტის მისამართი: support@kia-connect.eu) ცალსახა განცხადებისთ (მაგ., ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილით) უნდა შეგვატყობინოთ.
თქვენ შეგიძლიათ, უარის თქმის თანდართული სანიმუშო ფორმა გამოიყენოთ, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის. თქვენ ასევე შეგიძლიათ, უარის თქმის სანიმუშო ფორმა, ან ნებისმიერი სხვა ცალსახა განცხადება ელექტრონულად, ჩვენს ვებგვერდზე https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form შეავსოთ და წარადგინოთ. თუ ამ ვარიანტს გამოიყენებთ, ასეთი გასვლის დადასტურებას, სათანადო საშუალებებით (მაგ., ელ.ფოსტით) დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ.
გასვლის ვადის შესასრულებლად საკმარისია, უარის თქმის უფლების განხორციელების შესახებ შეტყობინება მანამ გაგზავნოთ, სანამ უარის თქმის დრო ამოიწურება.

16.2. გამოსვლის ეფექტები

თუ თქვენ ამ კონტრაქტიდან გამოხვალთ, ჩვენ აგინაზღაურებთ თქვენგან მიღებულ ყველა გადასახადს, მიწოდების ხარჯების ჩათვლით (გარდა დამატებითი ხარჯებისა, რომლებიც წარმოიქმნება თქვენ მიერ არეული მიწოდების ტიპის შედეგად, გარდა ჩვენ მიერ შემოთავაზებული სტანდარტული მიწოდების ყველაზე იაფი ტიპისა), ზედმეტი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს 14 დღისა იმ დღიდან, როდესაც ჩვენ ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, თქვენი გადაწყვეტილების შესახებ გვეცნობა. ანაზღაურებას იმავე გადახდის საშუალებების გამოყენებით განვახორციელებთ, რომლებსაც თქვენ თავდაპირველი ტრანზაქციისთვის იყენებდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ სხვაგვარად შეთანხმებული არ გაქვთ; ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ანაზღაურების შედეგად, გადასახადი არ დაგეკისრებათ.

16.3. მნიშვნელოვანი შენიშვნა: უარის თქმის უფლების ვადის გასვლა

ციფრული კონტენტის მიწოდების კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც მატერიალურ საშუალებებზე მიწოდებული არ არის, გაუქმების უფლება ასევე შემდეგი პირობებით იწურება:

16.3.1. ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ გავალდებულებთ, ფასი გადაიხადოთ, თუ Kia-მ ხელშეკრულების შესრულება დაიწყო;

16.3.2. იმ ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას გავალდებულებთ, თუ

ა) Kia-მ კონტრაქტის შესრულება დაიწყო,

ბ) თქვენ მიუთითეთ წინასწარ გამოხატული თანხმობა, რომ უარის თქმის ვადის გასვლამდე, Kia ხელშეკრულების შესრულებას დაიწყებს,

გ) თქვენ აღიარეთ, რომთქვენი თანხმობით (ბ) პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების დაწყებისთანავე, უარისთქმის უფლებას კარგავთ და

დ) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 312f ნაწილის შესაბამისად (Bürgerliches Gesetzbuch, "BGB"), Kia-მ დადასტურება მოგაწოდათ.

16.4. უარის თქმის სანიმუშო ფორმა

უარის თქმის სანიმუშო ფორმა

(ეს ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეავსეთ და დააბრუნეთ, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა გსურთ)

- To Kia Connect GmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ელფოსტის მისამართი: support@kia-connect.eu:
- მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ მე/ჩვენ (*) ვწყვეტ(თ) ჩემს/ჩვენს (*) კონტრაქტს შემდეგი სერვისის (*) მიწოდებისთვის,
- შეკვეთის თარიღი (*) / მიღების თარიღი (*),
- მომხმარებელ(ებ)ის სახელი,

- მომხმარებელ(ებ)ის მისამართი,
- მომხმარებელ(ებ)ის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა წარმოდგენილია ქაღალდზე),
- თარიღი

(*) წაშალეთ საჭიროებისამებრ.

17. კანონიერი პასუხისმგებლობა ხარვეზებზე

თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ გაქვთ საქონლის, ან ციფრული პროდუქტების კანონიერი ხარვეზის გასწორების უფლება, ისევე როგორც ნებისმიერი დამატებითი უფლება, რომელიც გამოყენების ამ წესებშiа განსაზღვრული. კანონით დადგენილი ხარვეზის შესახებ პასუხისმგებლობის უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები მიწოდების პერიოდის დასრულებიდან 12 თვის გასვლამდე არ იწურება.

18. პასუხისმგებლობა

შემდეგი პასუხისმგებლობა იმის მიხედვით გეკისრებათ, თუ საცხოვრებელი რომელ ქვეყანაში გაქვთ:

18.1. ავსტრია

მოქმედებს ნორმატიული პასუხისმგებლობის დებულებები.

18.2. ბელგია

18.2.1. მოქმედი კანონმდებლობით სრულად დაშვებული, Kia-ს კონტრაქტული და ექსტრა-კონტრაქტული პასუხისმგებლობა, მისი სამართლებრივი საფუძვლისგან განურჩევლად (გარანტიის, ხელშეკრულების, დელიქტურის, დაუდევრობის ან სხვაგვარი, ფარული/უხილავი დეფექტების ჩათვლით), ზარალსა და ზიანზე, სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, ან მომსახურების მიწოდების შეფერხებასთან, ან დაყოვნებასთან დაკავშირებით, შემდეგნაირად შეიზღუდოს: (a) Kia-ს ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ოდენობით, მატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, პასუხისმგებლობა ეკისრება; (b) Kia-ს რაიმე არამატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, ასევე მოვლასთან დაკავშირებით, რაიმე უმნიშვნელო გაუფრთხილებლობით გამოწვეული დარღვევისთვის; და (c) Kia პასუხისმგებელი არ არის რაიმე განსაკუთრებულ, ირიბ, ან თანმდევ ზიანზე, მათ შორის და არამხოლოდ, გამოყენების, მონაცემების, მოგების, დანაზოგების, შესაძლებლობების, საქმიანი რეპუტაციის დაკარგვაზე, აგრეთვე მესამე მხარეების პრეტენზიებისთვის (მაშინაც კი, თუ Kia ასეთი დაზიანების შესაძლებლობის შესახებ გააფრთხილეს). 18.2.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება (i) ნებისმიერ სავალდებულო ნორმატიულ პასუხისმგებლობაზე (როგორიცაა პასუხისმგებლობა დეფექტურ პროდუქტებზე), (ii) პასუხისმგებლობა პირადი დაზიანებებისთვის, ან სიკვდილისთვის, რომელიც Kia-ს ნებისმიერი ქმედებით, ან უმოქმედობით არის გამოწვეული, (iii) ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე თაღლითობის, ან უხეში დაუდევრობისთვის, ან (iv) ნებისმიერ სხვა პასუხისმგებლობაზე, რომელიც კანონით არ შეიძლება შეიზღუდოს, ან გამოირიცხოს. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება, თუ და რამდენადაც, Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო.

18.3. ბულგარეთი

რამდენადაც ბულგარეთის მოქმედი კანონმდებლობით არის ნებადართული, Kia თქვენ წინაშე, რაიმე საკონტრაქტო, ან ნორმატიულ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება, რაც შეიძლება Kia-ს მიერ, სერვისების მიწოდების შესახებ და/ან განახლებების შეძენის შესახებ ამ შეთანხმების შეუსრულებლობით იყოს გამოწვეული. კერძოდ, თქვენს წინაშე Kia-ს პასუხისმგებლობა, არ შეიძლება იყოს გამორიცხული, ან შეზღუდული შემდეგ შემთხვევებში: (1) პასუხისმგებლობა უხეში გაუფრთხილებლობის, ან განზრახვისთვის და (2) პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანების ან სიკვდილისთვის, რომელიც მომხმარებლისთვის Kia-ს ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად არის მიყენებული.

18.4. კვიპროსი

18.4.1. Kia თქვენ წინაშე პასუხისმგებელია მოსალოდნელი დანაკარგისა და ზიანისთვის, რომელიც შეიძლება Kia-მ გამოიწვიოს. თუ Kia გამოყენების ამ პირობებს არ ასრულებს, Kia პასუხს აგებს თქვენთვის მიყენებულ ნებისმიერ დანაკარგზე, ან ზიანზე, რაც Kia-ს მიერ, ამ ხელშეკრულების დარღვევის პროგნოზირებადი შედეგი, ან ჩვენ მიერ, გონივრული სიფრთხილის და უნარის გამოუყენებლობის შედეგია. მაგრამ რაიმე დანაკარგზე, ან ზიანზე, რომელიც პროგნოზირებადი არ არის, ჩვენ პასუხისმგებელი არ ვართ. დანაკარგის ან ზიანის პროგნოზირება შესაძლებელია, თუ აშკარაა, რომ ის მოხდება, ან თუ კონტრაქტის გაფორმების დროს, ჩვენც და თქვენც ვიცოდით, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო.

18.4.2. Kia თქვენ წინაშეთავის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს და არანაირად არ ზღუდავს, თუ ეს უკანონო იქნება. ეს Kia-ს დაუდევრობით, ან მისი თანამშრომლების, აგენტების, ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობით, თაღლითობით, ან თაღლითური არასწორი ინფორმაციით გამოწვეულ პასუხისმგებლობას მოიცავს.

18.4.3. Kia ბიზნესის ზარალზე პასუხისმგებელი არ არის. ჩვენ სერვისებს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის ვაწვდით. თუ პროდუქტებს რაიმე კომერციული, საქმიანი, ან ხელახალი გაყიდვის მიზნით იყენებთ, რაიმე მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის დაკარგვაზე, ბიზნესის შეწყვეტაზე, ან ბიზნეს შესაძლებლობის დაკარგვაზე, Kia თქვენ წინაშე პასუხისმგებელი არ იქნება.

18.4.4. კამერის/საშიში ზონის გაფრთხილებების გამოყენებაზე, რომელიც ნებისმიერი მოქმედი ადგილობრივი კანონ(ებ)ით აკრძალულია, Kia პასუხისმგებელი არ არის.

18.4.5. კამერის/საშიში ზონის გაფრთხილებების გამოყენებაზე, რომელიც ნებისმიერი მოქმედი ადგილობრივი კანონ(ებ)ით აკრძალულია, TomTom Global Content B.V. პასუხისმგებელი არ არის.

18.5. ჩეხეთის რესპუბლიკა

18.5.1. მოქმედი კანონმდებლობით მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში, Kia-ს სახელშეკრულებო და კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, ან არამატერიალურ ზიანზე, რომელიც შესრულებული სერვისების, ან მოდერნიზაციის, ან სერვისების, ან მოდერნიზაციის შეფერხების, ან პაუზის შედეგად, ან დაკავშირებით წარმოიქმნება, სამართლებრივი საფუძვლისგან დამოუკიდებლად, შემდეგნაირად იზღუდება: (a) Kia პასუხისმგებელია
ფაქტობრივი ზიანისათვის, იმ პროგნოზირებადი ზარალის ფარგლებში, რომელიც შეთანხმების ამ ტიპისთვის არის ტიპიური და რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო წარმოიქმნება; (b) Kia მოგების დაკარგვაზე, ან არამატერიალურ ზიანზე პასუხს არ აგებს. 18.5.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება (a) Kia-სპასუხისმგებლობაზე ფიზიკური პირის ბუნებრივ უფლებებზე მიყენებული ზიანისათვის; (b) პასუხისმგებლობაზე განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის; (c) პასუხისმგებლობაზე სუსტი მხარეების, განსაკუთრებით მომხმარებლების მიმართ; ან (d) ნებისმიერ სხვა პასუხისმგებლობაზე, რომელიც კანონით არ უნდა შეიზღუდოს, ან გამოირიცხოს.

18.6. დანია

18.6.1. Kia არ იქნება პასუხისმგებელი პირდაპირი, ან ირიბი დანაკარგისთვის, ან ზიანისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც Kia-მ ზიანი ან დაზიანება, განზრახ გადაცდომით, ან უხეში დაუდევრობით გამოიწვია.

18.6.2. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება რაიმე სავალდებულო ნორმატიულ პასუხისმგებლობაზე, კერძოდ, პასუხისმგებლობაზე, რომელსაც პროდუქტზე პასუხისმგებლობის დანიის კანონი (Produktansvarslagen) განსაზღვრავს, ასევე პასუხისმგებლობაზე, რომელიც ბრალეულობით გამოწვეული პირადი დაზიანებისათვის წარმოიქმნება. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ და იმ იმდენად, რამდენადაც Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო.

18.6.3. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიყენოთ.

18.7. ესტონეთი

18.7.1. რამდენადაც მოქმედი სავალდებულო კანონმდებლობით არის ნებადართული, Kia რაიმე საფუძვლით, რაიმე ზიანისთვის (პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანისთვის, მოგების დაკარგვის ჩათვლით), რომელიც სერვისების მიწოდების ხელშეკრულებით, ან თავად სერვისებით არის გამოწვეული, ან დაკავშირებული, პასუხისმგებელი არ იქნება.

18.7.2. საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 73(8) ქვეპუნქტით, Kia არ არის პასუხისმგებელი კამერის / საფრთხის ზონის გაფრთხილებების / ნებისმიერი სხვა დაკავშირებული მოწყობილობის გამოყენებაზე, რომელიც აღმოაჩენს, ან ხელს უშლის სიჩქარის საზომ მოწყობილობას, რომელსაც საგზაო მოძრაობის ზედამხედველობა იყენებს.

18.7.3. საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 73(8) ქვეპუნქტით, TomTom Global Content B.V. არ არის პასუხისმგებელი კამერის / საფრთხის ზონის გაფრთხილებების / ნებისმიერი სხვა დაკავშირებული მოწყობილობის გამოყენებაზე, რომელიც აღმოაჩენს ან ხელს უშლის სიჩქარის საზომ მოწყობილობას, რომელსაც საგზაო მოძრაობის ზედამხედველობა იყენებს.

18.7.4. საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 73(8) ქვეპუნქტით, HERE Europe B.V. არ არის პასუხისმგებელი კამერის / საფრთხის ზონის გაფრთხილებების / ნებისმიერი სხვა დაკავშირებული მოწყობილობის გამოყენებაზე, რომელიც აღმოაჩენს, ან ხელს უშლის სიჩქარის საზომ მოწყობილობას, რომელსაც საგზაო მოძრაობის ზედამხედველობა იყენებს.

18.7.5. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები, მომხმარებლის სიკვდილის, ან ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, სხვა შემთხვევებში, როდესაც ზიანი მიყენებულია განზრახ, ან უხეში დაუდევრობის გამო, ან რაიმე სხვა პასუხისმგებლობა, რომელიც მოქმედი კანონით, არ შეიძლება შეიზღუდოს, ან გამოირიცხოს, Kia-ს პასუხისმგებლობას არ ზღუდავს, ან გამორიცხავს.

18.8. ფინეთი

18.8.1. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ზომამდე, რაიმე პირდაპირ, ან ირიბ დანაკარგზე, ან დაზიანებაზე, Kia პასუხს არ აგებს.

18.8.2. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება რაიმე სავალდებულო ნორმატიულ პასუხისმგებლობაზე, კერძოდ პასუხისმგებლობაზე განზრახ გადაცდომის, ან უხეში დაუდევრობისთვის, პასუხისმგებლობაზე, რომელსაც პროდუქტზე პასუხისმგებლობის შესახებ ფინეთის კანონი (Tuotevastuulaki) ითვალისწინებს და პირადი დაზიანების, ან სიკვდილის გამო წარმოქმნილ პასუხისმგებლობაზე. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის წინამდებარე შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ და რამდენადაც, Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო.

18.8.3. ზემოაღნიშნული 18.8.1 და 18.8.2 პუნქტები შესაბამისად, გაფლანგული ხარჯებისთვის Kia-ს პასუხისმგებლობაზე ვრცელდება.

18.8.4. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიყენოთ.

18.9. საფრანგეთი

18.9.1. თუ მომხმარებელი ხართ, 18 პუნქტი თქვენზე არ ვრცელდება.

18.9.2. მცირე გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისთვის, Kia-ს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შემდეგნაირად შემოიფარგლება: (a) სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, Kia ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ფარგლებშია პასუხისმგებელი; (b) Kia პასუხისმგებელი არ იქნება რაიმე არაპირდაპირი ზიანისთვის, რომელიც შეიძლება სერვისების გამოყენებას მოჰყვეს; (c) Kia ფორსმაჟორული გარემოებით მიყენებული ზიანისთვის, პასუხისმგებელი არ არის (ანუ მოვლენა Kia-ს კონტროლის მიღმაა და რომელიც არ შეიძლება, გონივრულად იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებისას). 18.9.3 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება ნებისმიერ სავალდებულო ნორმატიულ პასუხისმგებლობაზე, განსაკუთრებით პასუხისმგებლობაზე უხეში დაუდევრობისა და/ან განზრახ გადაცდომისთვის, დეფექტურ პროდუქტებზე პასუხისმგებლობაზე და პასუხისმგებლობაზე სხეულის დაზიანებებისთვის. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება, თუ და რამდენადაც Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო. 18.9.4, 18.8.2 და 18.8.3 პუნქტები შესაბამისად, Kia-ს ფუჭი ხარჯების ვალდებულებაზე ვრცელდება.

18.10. გერმანია

18.10.1. Kia-ს, მისი კანონიერი წარმომადგენლების, აღმასრულებელი თანამშრომლების, ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლების განზრახვისა და უხეში დაუდევრობისთვის, Kia ნორმატიული დებულებების შესაბამისად არის პასუხისმგებელი. იგივე ეხება გარანტიის დარღვევის (მაგ. 444 ან 639 BGB პუნქტების (Bürgerliches Gesetzbuch, გერმანიის სამოქალაქოკოდექსი), ან სხვა მკაცრი პასუხისმგებლობის შემთხვევებს, ასევე პრეტენზიებს პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობის შესახებ კანონის (Produkthaftungsgesetz) შესაბამისად, ან სიცოცხლის, სხეულის, ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. 18.10.2 უბრალო დაუდევრობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა 18.10.1 პუნქტიმოქმედებს, Kia პასუხს აგებს მხოლოდ მატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისთვის, ანუ ისეთ ვალდებულებებზე, რომლებიც თავიდანვე შესაძლებელს ხდის ხელშეკრულების სწორად შესრულებას და რომელზეც მომხმარებელს დაყრდნობის უფლება ჰქონდა, ან რომლის დანაშაულებრივი არშესრულება საფრთხეს უქმნის ხელშეკრულების მიზნის მიღწევას, თუმცა ამ შემთხვევაში, მოსალოდნელი ზიანის ოდენობით შემოიფარგლება, რომელიც ჩვეულებრივ შეიძლება წარმოიქმნას და რომლის წარმოქმნასაც Kia უნდა მოელოდეს ხელშეკრულების დადებისას იმ დროისთვის ცნობილი გარემოებების საფუძველზე. 18.10.3 თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიყენოთ. 18.10.4 Kia არ არის პასუხისმგებელი კამერის/საშიში ზონის გაფრთხილებების გამოყენებაზე, რომელიც გერმანიის საგზაო მოძრაობის აქტის 1c("StVO") 23-ე პუნქტით აკრძალულია. 18.10.5 TomTom GlobalContent B.V. არ არის პასუხისმგებელი კამერის/საფრთხის ზონის გაფრთხილებების გამოყენებაზე, რომელიც 1c StVO-ს 23-ე პუნქტის შესაბამისად აკრძალულია. 18.10.6 HEREEurope B.V. არ არის პასუხისმგებელი კამერის/საშიში ზონის გაფრთხილებების გამოყენებაზე, რომლებიც 1c StVO-ს 23-ე პუნქტის შესაბამისად აკრძალულია.

18.11. საბერძნეთი
Kia პასუხს აგებს პასუხისმგებლობაზე სავალდებულო ნორმატიული წესების შესაბამისად, რაც თაღლითობას, ან უხეშ დაუდევრობას ითვალისწინებს. Kia შეიძლება ასევე პასუხისმგებელი იყოს მცირედი დაუდევრობისთვის, თუ a) თქვენ ხართ მომხმარებელი, b) სიკვდილის, ან პირადი დაზიანების, ან მორალური ზიანის შემთხვევაში, c) ამ წესიდან რაიმე გამონაკლისი წინასწარ შეთანხმებული არაა..

18.12. უნგრეთი

18.12.1. მოქმედი კანონმდებლობით სრულად დაშვებული, Kia-ს კონტრაქტული და ექსტრა-კონტრაქტული პასუხისმგებლობა, მისი სამართლებრივი საფუძვლისგან განურჩევლად (გარანტიის, ხელშეკრულების, დელიქტურის, დაუდევრობის, ან სხვაგვარი, ფარული/უხილავი დეფექტების ჩათვლით), ზარალსა და ზიანზე, სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, ან მომსახურების მიწოდების შეფერხებასთან, ან დაყოვნებასთან

დაკავშირებით, შემდეგნაირად შეიზღუდოს: (a) Kia-ს ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ოდენობით, მატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, პასუხისმგებლობა ეკისრება; (b) Kia-ს რაიმე არამატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, ასევე მოვლასთან დაკავშირებით, რაიმე უმნიშვნელო გაუფრთხილებლობით გამოწვეული დარღვევისთვის; და (c) Kia პასუხისმგებელი არ არის რაიმე განსაკუთრებულ, ირიბ, ან თანმდევ ზიანზე, მათ შორის და არამხოლოდ, გამოყენების, მონაცემების, მოგების, დანაზოგების, შესაძლებლობების, საქმიანი რეპუტაციის დაკარგვაზე, აგრეთვე მესამე მხარეების პრეტენზიებისთვის (მაშინაც კი, თუ Kia ასეთი დაზიანების შესაძლებლობის შესახებ გააფრთხილეს). 18.12.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ და რამდენადაც, Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო. გამოყენების ამ წესებში არაფერი ზღუდავს, ან გამორიცხავს Kia-ს პასუხისმგებლობას (i) Kia-ს დაუდევრობის, ან Kia-ს თანამშრომლების, ან აგენტების დაუდევრობის შედეგად გამოწვეული სიკვდილის, ან პირადი დაზიანებისათვის; (ii) განზრახ გადაცდომისთვის; (iii) საზოგადოებრივი წესრიგის წესებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისთვის და (iv) ნებისმიერი სხვა შემთხვევისთვის, როდესაც Kia-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება, მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდული, ან გამორიცხული იყოს.

18.12.3. Kia-ს მიერ, თავისი საქმის უხარისხო შესრულების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, სახელშეკრულებო გარანტიასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის 2013 წლის V კანონის შესაბამისად, პრეტენზია წარადგინოთ. ამ კონტექსტში, თქვენ შეგიძლიათ, შეკეთება ან შეცვლა მოითხოვოთ, თუ სახელშეკრულებო გარანტიის უფლების დაცვა შეუძლებელია, ან სამართლებრივი დაცვის ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით, ეს Kia-ს არაპროპორციულ ხარჯებს გამოიწვევს. თუ თქვენ შეკეთება ან შეცვლა არ, ან ვერ მოითხოვეთ, შეგიძლიათ ანაზღაურების პროპორციული შემცირება მოითხოვოთ, ან დეფექტი თავად შეაკეთოთ, ან ის Kia-ს ხარჯებით შეაკეთოთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლიათ კონტრაქტზე უარი თქვათ. თქვენ უფლება გაქვთ, შერჩეული სახელშეკრულებო გარანტიის უფლებიდან სხვაზე გადახვიდეთ, მაგრამ გადასვლის ღირებულება თქვენ უნდა დაფაროთ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს გამართლებული იყო, ან Kia-ს ქმედებების გამო გახდა აუცილებელი. თქვენ მოგეთხოვებათ, რომ დეფექტის შესახებ დაუყოვნებლივ, მისი აღმოჩენიდან, არა უგვიანეს ორი თვისა, შეატყობინოთ. სახელშეკრულებო გარანტიაზე თქვენი უფლების განხორციელებას, ხელშეკრულების შესრულებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ ვერ შეძლებთ. ხელშეკრულების შესრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თუ თქვენ ამტკიცებთ, რომ შეძენილი პროდუქტი, ან გამოყენებული სერვისი Kia-ს მიერ არის უზრუნველყოფილი, სახელშეკრულებო გარანტიის მოთხოვნის აღსრულების სხვა პირობა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ Kia-ს დეფექტის შესახებ აცნობოთ. მაგრამ ხელშეკრულების შესრულებიდან ექვსი თვის შემდეგ, თქვენ ვალდებული ხართ დაამტკიცოთ, რომ გამოვლენილი დეფექტი, ხელშეკრულების შესრულების დროს უკვე არსებობდა.

18.12.4. ვინაიდან გამოყენების წინამდებარე პირობები რაიმე მოძრავი საქონლის გაყიდვას არ მოიცავს, Kia-ს მიმართ, პროდუქტის გარანტიის შესახებ მოთხოვნების წამოყენების უფლება არ გაქვთ.

18.12.5. Kia არ იღებს რაიმე ნებაყოფლობით გარანტიას და გამოყენების წინამდებარე პირობებით მომსახურების მიწოდება, გარკვეული არაფუჭებადი სამომხმარებლო საქონლის ნორმატიული გარანტიის შესახებ, მთავრობის 151/2003 დადგენილებით განსაზღვრული სავალდებულო კანონისმიერი გარანტიის კატეგორიებს (IX. 22.) არ განეკუთვნება.

18.13. ისლანდია

18.13.1. მცირე გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის, მიუხედავად მისი სამართლებრივი საფუძვლისა, Kia-ს სახელშეკრულებო და ნორმატიული პასუხისმგებლობა შემდეგნაირად შემოიფარგლება: (a) Kia პასუხისმგებელია ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ზარალის ოდენობამდე, მატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო; (b) ტექმომსახურების სხვა მოქმედი მოვალეობის უმნიშვნელო დაუდევრობით დარღვევისთვის, Kia პასუხისმგებელი არ იქნება; (c) თითო შემთხვევაზე Kia-ს პასუხისმგებლობა, 50 000 ISK-ით შემოიფარგლება; (d) ფორსმაჟორული მოვლენით მიყენებული ზიანისთვის (ანუ მოვლენაზე, რომელიც ხდება Kia-ს კონტროლის მიღმა და რომელიც არ შეიძლებოდა გონივრულად ყოფილიყო პროგნოზირებული ხელშეკრულების გაფორმებისას), Kia პასუხისმგებელი არ იქნება.

18.13.2. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები, რაიმე სავალდებულო ნორმატიულ პასუხისმგებლობაზე არ ვრცელდება, მათ შორის პასუხისმგებლობაზე ისლანდიის პროდუქტის პასუხისმგებლობის აქტის (is. Lög um skaðsemisábyrgð) ფარგლებში. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება, თუ და რამდენადაც, Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო.

18.13.3. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიჩინოთ.

18.14. ირლანდია

18.14.1Kia თქვენ წინაშე პასუხისმგებელია Kia-ს მიერ მიყენებულ მოსალოდნელ დანაკარგზე და ზარალზე. თუ Kia გამოყენების ამ პირობებს ვერ შეასრულებს, Kia პასუხს აგებს თქვენთვის მიყენებულ დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც არის Kia-ს მიერ, ამ წესების დარღვევის, ან ჩვენი გონივრული ზრუნვისა და უნარების გამოუყენებლობის სავარაუდო შედეგი, მაგრამ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე ან ზიანზე,

რომელთა პროგნოზირება შეუძლებელია. ზარალი, ან ზიანი სავარაუდოა, თუ აშკარაა, რომ ეს მოხდება, ან თუ კონტრაქტის გაფორმების დროს, ჩვენც და თქვენც ვიცოდით, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო. 18.14.2 Kia არ გამორიცხავს და არ ზღუდავს თავის პასუხისმგებლობას თქვენს წინაშე, თუ ეს უკანონო იქნება. ეს მოიცავს პასუხისმგებლობას სიკვდილისთვის, ან ტრავმებისთვის, რომლებიც Kia-ს დაუდევრობამ, ან მისი თანამშრომლების, აგენტების, ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობამ, ან თაღლითობამ, ან შეცდომაში არაკეთილსინდისიერმა შეყვანამ გამოიწვია. 18.14.3 Kia ბიზნესის ზარალზე პასუხისმგებელი არ არის. ჩვენ სერვისებს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის ვაწვდით. თუ თქვენ პროდუქტებს რაიმე კომერციული, საქმიანი, ან ხელახალი გაყიდვის მიზნით იყენებთ, Kia თქვენს წინაშე რაიმე მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის დაკარგვაზე, ბიზნესის შეწყვეტაზე, ან ბიზნეს შესაძლებლობის დაკარგვაზე პასუხისმგებელი არ იქნება.

18.15. იტალია

18.15.1. Kia-ს პასუხისმგებლობამცირე გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისთვის შემდეგით შემოიფარგლება: (a) მატერიალური საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევის გამო, Kia ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ოდენობით არის პასუხისმგებელი; (b) Kia არ იქნება პასუხისმგებელი მოვლის სხვა მოქმედი მოვალეობის უმნიშვნელო დაუდევრობით დარღვევისთვის; (c) პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ და რამდენადაც Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო. გამოყენების ამ წესებში არაფერი ზღუდავს, ან გამორიცხავს Kia-ს პასუხისმგებლობას (i) Kia-ს დაუდევრობის, ან Kia-ს თანამშრომლების, ან აგენტების დაუდევრობის შედეგად გამოწვეული სიკვდილის, ან პირადი დაზიანებისათვის; (ii) უხეში დაუდევრობისთვის, ან განზრახ გადაცდომისთვის; (iii) საზოგადოებრივი წესრიგის წესებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისთვის და (iv) ნებისმიერი სხვა შემთხვევისთვის, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით, Kia-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს შეზღუდული, ან გამორიცხული. 18.15.2 პუნქტი 18.15.1 შესაბამისად გაფლანგული ხარჯებისთვის Kia-ს პასუხისმგებლობაზე ვრცელდება. 18.15.3 თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიყენოთ.

18.16. ლატვია

Kia პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების, ან მისი შესრულების შედეგად წარმოიქმნება.

18.17. ლიეტუვა

რამდენადაც მოქმედი სავალდებულო კანონმდებლობით არის ნებადართული, არც Kia და არც მისი სახელშეკრულებო პარტნიორები, ამ შეთანხმების, ან მისი შესრულების შედეგად წარმოქმნილი ზიანისათვის, პასუხისმგებელი არ არიან, გარდა Kia-ს განზრახ გადაცდომის, ან უხეში დაუდევრობის შემთხვევისა. ეს პუნქტი პირადი დაზიანების, დაღუპვის, ან არამატერიალური ზიანისათვის, Kia-ს პასუხისმგებლობას არ ზღუდავს.

18.18. მალტა

მცირე დაუდევრობით გამოწვეული ზიანისთვის, Kia-ს პასუხისმგებლობა შემდეგით შემოიფარგლება: (a) მატერიალური სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, Kia ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ოდენობამდე არის პასუხისმგებელი; (b) მოვლასთან დაკავშირებული მოქმედი მოვალეობის ნებისმიერი უმნიშვნელო დაუდევრობით გამოწვეული დარღვევისთვის, Kia პასუხისმგებელიარ იქნება. გამოყენების ამ წესებში არაფერი ზღუდავს, ან გამორიცხავს Kia-ს პასუხისმგებლობას (i) Kia-ს დაუდევრობის, ან Kia-ს თანამშრომლების, ან აგენტების დაუდევრობის შედეგად გამოწვეული სიკვდილის, ან სხეულის დაზიანებისათვის; (ii) უხეში დაუდევრობის, ან განზრახ დარღვევისთვის და (iii) ნებისმიერი სხვა შემთხვევისთვის, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით, Kia-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეზღუდული, ან გამორიცხული იყოს.

18.19. მოლდოვა

მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული ხარისხით, Kia არ ექვემდებარება სხვა პასუხისმგებლობას, გარდა (1) პასუხისმგებლობისა უხეში დაუდევრობის, ან განზრახვისთვის; (2) სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, მომხმარებლისთვის მიყენებული სხეულის დაზიანების, ან სიკვდილისთვის, რომელიც Kia-ს, ან Kia-ს სახელით მოქმედი პირების მოქმედების, ან უმოქმედობის შედეგად არის გამოწვეული და მიყენებული სხეულის დაზიანებებისთვის; (3) დეფექტებისთვის სამართლებრივად გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა; (4) სხვა პასუხისმგებლობისა, რომლის შეზღუდვა, ან გამორიცხვა, კანონს ან კეთილ ნებას ეწინააღმდეგება.

18.20. ნიდერლანდები

18.20.1. რამდენადაც მოქმედი სავალდებულო კანონმდებლობით არის ნებადართული, განურჩევლად მისი სამართლებრივი საფუძვლისა, 8.1 ნაწილში გათვალისწინებული უფასო მომსახურების პერიოდში დარღვევისთვის, Kia პასუხისმგებელი არ იქნება. თუ Kia ასეთი ზიანისთვის პასუხისმგებელია, ან თუ პასუხისმგებლობა ეხება პროდუქტებს და/ან სერვისებს, რაც 8.1 პუნქტიდან, ან სხვა პასუხისმგებლობიდან არ გამომდინარეობს, ასეთი პასუხისმგებლობა იმ პროგნოზირებადი ზარალის მოცულობით შემოიფარგლება, რომელსაც მნიშვნელოვანი (სახელშეკრულებო) ვალდებულების დარღვევა იწვევს. Kia არაპირდაპირი და შემდგომი ზიანისთვის პასუხისმგებელი არ არის. თავისი ვალდებულებების არამატერიალურ დარღვევებზე და

უმნიშვნელო გაუფრთხილებლობით გამოწვეული დარღვევისთვის, Kia პასუხისმგებელი არაა. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სავალდებულო პასუხისმგებლობაზე, რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს და პასუხისმგებლობაზე, რომელიც Kia-ს მხრიდან, უხეში დაუდევრობით, ან განზრახ დარღვევით არის გამოწვეული.

18.20.2. თქვენ ვალდებული ხართ,ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გასწიოთ და განახორციელოთ. Kia პასუხისმგებელი არ არის ზარალზე, რომელიც იმით არის გამოწვეული, რომ თქვენ ასეთი გონივრული ძალისხმევა არ გასწიეთ.

18.21. ნორვეგია

18.21.1. Kia პასუხისმგებელი არ არის პირდაპირ, ან ირიბ დაკარგვაზე, ან ზარალზე, გარდა იმ შემთხვევებზე, როდესაც Kia-მ ზარალი ან ზიანი, განზრახ ქმედებით, ან უხეში დაუდევრობით გამოიწვია. 18.21.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება რაიმე სავალდებულო საკანონმდებლო პასუხისმგებლობაზე, კერძოდ, პასუხისმგებლობაზე განზრახ დარღვევისთვის, ნორვეგიის პროდუქტზე პასუხისმგებლობის აქტის (produktansvarsloven) შესაბამის პასუხისმგებლობაზე, ციფრული სერვისების შესახებ აქტის (digitalytelsesloven) შესაბამის პასუხისმგებლობაზე და სხეულის დაზიანებებისთვის პასუხისმგებლობაზე. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება, თუ და რამდენადაც Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო.

18.21.3. 18.21.1 და 18.21.2 პუნქტები შესაბამისად, ფუჭად გაღებული ხარჯებისთვის, Kia-ს პასუხისმგებლობაზე ვრცელდება.

18.21.4. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გამოიჩინოთ.

18.22. პოლონეთი
პასუხისმგებლობის შესახებ საკანონმდებლო დებულებები გამოიყენება.

18.23. პორტუგალია

18.23.1. მცირე გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისთვის, Kia-ს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შემოიფარგლება: (a) საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევის გამო, ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანის ოდენობით; (b) Kia პასუხისმგებელი არ იქნება ნებისმიერი ირიბი ზიანისთვის, რომელიც სერვისების გამოყენებისას წარმოიქმნება; (c) ფორსმაჟორული მოვლენით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისთვის, Kia პასუხისმგებელი არ იქნება (ანუ მოვლენები, რომლებიც Kia-ს კონტროლის მიღმაა და რომელიც ხელშეკრულების გაფორმებისას, გონივრულად გათვალისწინებული ვერ იქნებოდა).

18.23.2. ზემოაღნიშნული შეზღუდვები უხეში დაუდევრობის, ან პროდუქტების შეუსაბამობის შემთხვევებზე, 3 (სამი წლის განმავლობაში) არ ვრცელდება, ან თუ და იმდენად, რამდენადაც Kia-მ სპეციფიკური გარანტია, 18 ოქტომბრის 84/2021 ბრძანებულებით მიიღო, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს ციფრული საქონლის, კონტენტისდა სერვისების ყიდვა-გაყიდვისას არეგულირებს.

18.23.3. Kia თქვენს წინაშე თავის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს და არანაირად არ ზღუდავს, როდესაც ეს შეიძლება უკანონო იყოს. ეს მოიცავს პასუხისმგებლობას Kia-ს დაუდევრობით, ან მისი თანამშრომლების, აგენტების, ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილის, ან სხეულის დაზიანებისათვის; თაღლითობის, ან თაღლითურად შეცდომაში შეყვანისთვის; სერვისებზე თქვენი კანონიერი უფლებების დარღვევისთვის, მათ შორის, სერვისების მიღების უფლებისთვის, რომლებიც გონივრული უნარებით და სიფრთხილით მოგეწოდებათ.

18.23.4. Kia ბიზნესის ზარალზე პასუხისმგებელი არ არის. ჩვენ სერვისებს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის გაწვდით. თუ თქვენ პროდუქტებს რაიმე კომერციული, საქმიანი, ან ხელახალი გაყიდვის მიზნით იყენებთ, Kia თქვენს წინაშე, რაიმე მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის დაკარგვაზე, ბიზნესის შეწყვეტაზე, ან ბიზნეს შესაძლებლობის დაკარგვაზე პასუხისმგებელი არ იქნება.

18.24. რუმინეთი

18.24.1. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული მაქსიმალური ზომით და ზიანის მიყენების გარეშე, (i) დეფექტებზე კანონიერი პასუხისმგებლობისთვის, (ii) სავალდებულო სამართლებრივი გარანტიებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის, (iii) პასუხისმგებლობისთვის, რომელიც ჯანმრთელობის, ფიზიკური, ან გონებრივი ხელშეუხებლობისთვის მიყენებული ზიანისათვის მოქმედებს, ასევე (iv) ნებისმიერი სხვა პასუხისმგებლობისთვის, რომელიც კანონით არ შეიძლება შეიზღუდოს, ან გამოირიცხოს, რაიმე დანაკარგზე, ზიანის მიყენებაზე ან მცირედით გამოწვეული ზიანისთვის, რომელიც დაუდევრობით, ან გაუფრთხილებლობით, ან ფორსმაჟორული/შემთხვევითი მოვლენებით არის გამოწვეული, Kia პასუხისმგებელი არ იქნება, ან სხვაგვარად ვალდებულება არ დაეკისრება. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის თავიდან ასაცილებლად, ან შესამცირებლად, გონივრული ძალისხმევა გასწიოთ. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ფორსმაჟორი წარმოადგენს ნებისმიერ გარე, არაპროგნოზირებად, აბსოლუტურად გადაულახავ და გარდაუვალ მოვლენას, ხოლო შემთხვევითობა არის მოვლენა, რომლის წინასწარ განჭვრეტა და აღკვეთა

პირისთვის შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთი მოვლენა არ მოხდება, ის პასუხისმგებელი იქნება.

18.24.2. Kia ბიზნესის ზარალზე პასუხისმგებელი არ არის. სერვისებს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის ვაწვდით. ნებისმიერ შემთხვევაში, Kia რაიმე გაუთვალისწინებელ ზარალზე, ან არაპირდაპირ, ან თანმდევ ზარალზე, მოგების დაკარგვაზე, მოგების ხელიდან გაშვებაზე, შესაძლებლობის დაკარგვაზე, ან მომავალ ზარალზე პასუხისმგებელი არ იქნება.

18.25. სლოვაკეთი

18.25.1. სლოვაკეთის მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, Kia-ს სახელშეკრულებო და კანონიერი პასუხისმგებლობა ზიანისათვის (კერძოდ, ფაქტობრივი ზარალი და დაკარგული მოგება), რომელიც სერვისების, ან განახლებების მიწოდებით, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაგვიანებით, ან შეფერხებით წარმოიქმნება, სამართლებრივი საფუძვლის მიუხედავად, შეიზღუდება. Kia მხოლოდ ზარალის იმ ოდენობამდე არის პასუხისმგებელი, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში Kia-მ იწინასწარმეტყველა, ან რომელიც შეეძლო ეწინასწარმეტყველა, როგორც Kia-ს ვალდებულების შესაძლო დარღვევის შედეგი, ყველა იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომელთა შესახებაც Kia-მ იცოდა, ან საჭირო წინდახედულების შემთხვევაში ეცოდინებოდა. 18.25.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები, არცერთ სავალდებულო საკანონმდებლო ვალდებულებაზე არ ვრცელდება. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ მიიღება, თუ და რამდენადაც, Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო. 18.25.3 თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის, გონივრული ძალისხმევა გასწიოთ.

18.26. ესპანეთი

18.26.1. Kia არ ზღუდავს თავისსავალდებულო კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, მათ შორის და არამხოლოდ პასუხისმგებლობას განზრახ ქმედებისთვის და პასუხისმგებლობას გამოწვეულს სხეულის დაზიანებებისთვის. 18.26.2 18.26.1 პუნქტი შესაბამისად, გაფლანგული ხარჯებისთვის Kia-სპასუხისმგებლობაზე ვრცელდება.

18.27. შვედეთი

18.27.1. Kia პასუხისმგებელი არ არის პირდაპირ, ან ირიბ ზარალზე, ან ზიანზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც Kia-მ ზარალი ან ზიანი, განზრახ ქმედების, ან უხეში დაუდევრობის გამო გამოიწვია. 18.27.2 პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება რაიმე სავალდებულო საკანონმდებლო პასუხისმგებლობაზე, კერძოდ პასუხისმგებლობაზე განზრახ დარღვევისთვის, პასუხისმგებლობაზე შვედეთის პროდუქციის პასუხისმგებლობის კანონის შესაბამისად (Produktansvarslagen) და პასუხისმგებლობაზე სხეულის დაზიანებებისთვის. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ და რამდენადაც Kia-მ კონკრეტული გარანტია მიიღო. 18.27.3 18.27.1 და 18.27.2 პუნქტები შესაბამისად, გაფლანგული ხარჯებისთვის Kia-ს პასუხისმგებლობაზე გამოიყენება. 18.27.4 თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის პრევენციისა და მინიმიზაციისთვის გონივრული ძალისხმევა გასწიოთ.

18.28. შვეიცარია
მოქმედი სავალდებულო კანონით დაშვებულ სრულ ფარგლებში, Kia არანაირ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება, გარდა პასუხისმგებლობისა (i) უხეში დაუდევრობის ან განზრახვისთვის და (ii) განზრახ მიყენებული სხეულის დაზიანების, ან სიკვდილისთვის. Kia, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობით არის ნებადართული, არაა პასუხისმგებელი არაპირდაპირი ზარალისთვის, მათ შორის და არამხოლოდ, მოგების დაკარგვის, დანაზოგის დაკარგვის, შესაძლებლობების დაკარგვის, საქმიანი რეპუტაციის დაკარგვის, გამოყენების უფლების დაკარგვის, ან მონაცემთა დაკარგვის გამო. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ სრულ ფარგლებში, Kia გამორიცხავს ნებისმიერ და ყველა გარანტიას, რომლებიც ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ სერვისებზე ვრცელდება. სერვისები „როგორც არის“ პირობებით არის უზრუნველყოფილი.

18.29. გაერთიანებული სამეფო

18.29.1. ნებისმიერი სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, რომლის კანონით გამორიცხვაც ჩვენ არ შეგვიძლია (როგორიცაა ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილი, ან სხეულის დაზიანება, თაღლითობით, ან თაღლითურად შეცდომაში შეყვანა, ან ნებისმიერი სხვა პასუხისმგებლობა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს კანონით, არ შეიძლება გამოირიცხოს, ან შეიზღუდოს), ან რომლებიც მოქმედი კანონების შესაბამისად წარმოიქმნება, რომლებიც თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან არის დაკავშირებული, Kia თქვენს წინაშე რაიმეზე პასუხისმგებელი არ არის:

18.29.1.1. ზარალი ან ზიანი, რომლებიც თქვენ განიცადეთ და რომლებიც არ არის Kia-ს მიერ, ამ ხელშეკრულების დარღვევის, ან ჩვენი გონივრული სიფრთხილის და უნარების გამოუყენებლობის სავარაუდო შედეგი. ზარალი ან ზიანი მოსალოდნელია, თუ აშკარაა, რომ ეს მოხდება, ან თუ კონტრაქტის გაფორმების დროს, ჩვენც და თქვენც ვიცოდით, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო;

18.29.1.2. არამომხმარებლების ზარალი;

18.29.1.3. ბიზნესის დანაკარგები. ჩვენ სერვისებს მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის გაწვდით. თუ პროდუქტებს რაიმე კომერციული, საქმიანი, ან გაყიდვის მიზნით გამოიყენებთ, Kia თქვენ წინაშე რაიმე მოგების დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, ბიზნესის შეწყვეტის, ან ბიზნესის შესაძლებლობის დაკარგვის გამო, პასუხისმგებელი არ იქნება;

18.29.1.4. ზარალი ან ზიანი, რომელიც ჩვენ მიერ, რაიმე წარუმატებლობით, ან დარღვევით გამოწვეული არ იყო; ან

18.29.1.5. ზარალი ან ზიანი (მათ შორის, თქვენი კუთვნილი მოწყობილობის, ან სხვა ციფრული კონტენტის დაზიანებით და გამოწვეული იმ სერვისებით, სადაც ჩვენ გონივრული ზრუნვა და უნარები ვერ გამოვიყენეთ), რომელიც აღემატება 500£-ს, ან მთლიან ფასს, რომელიც გადაიხადეთ Kia Connect აპისთვის, მთავარი მოწყობილობისთვის, სერვისებისა და განახლებებისთვის.

18.30. გამოყენების ეს პირობები შეიძლება თქვენი ადგილობრივი კანონმდებლობით შეიცვალოს. შესაძლო სხვაობებისთვის გთხოვთ, ეწვიოთ ვებგვერდს https://connect.kia.com/eu/downloads.

19. ადგილობრივ კანონში ცვლილებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ადგილობრივ კანონში სპეციფიკურ ცვლილებებს შეიცავს, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ.

ბელგია

6.1 პუნქტის ბოლო წინადადება შემდეგნაირად შეიცვალოს:

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო უფლებების შელახვის გარეშე, ნებისმიერი საჯარო, ან კომერციული მიზნებისთვის, ჩვენგან წინასწარი ნებართვის გარეშე, თქვენ არ შეგიძლიათ, სერვისები გაამრავლოთ (მთლიანად, ან ნაწილობრივ), გადასცეთ (ელექტრონული საშუალებებით, ან სხვაგვარად), შეცვალოთ, გამოსახოთ, გადაგზავნოთ, ლიცენზია აიღოთ, ბმული განათავსოთ, ან სხვაგვარად გამოიყენოთ.

14.5 პუნქტის 1-ლი პარაგრაფი შემდეგნაირად შეიცვალოს:

ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, სრულად ან ნაწილობრივ, თქვენი თანხმობის გარეშე და 6 კვირით ადრე გაფრთხილებით, იმ პირობით, რომ ეს დავალება თქვენს, როგორც მომხმარებლის გარანტიებს არ შეამცირებს, სერვისის სხვა მიმწოდებელს გადავცეთ.

16 პუნქტი შემდეგნაირად შეიცვალოს:

თქვენ ერთმნიშვნელოვნად ეთანხმებით, რომ ხელშეკრულების შესრულება თქვენი შეთანხმებით, იმ დღეს იწყება, როდესაც Kia-ს ანგარიშზე (Kia Connect App-ის შემთხვევაში) დარეგისტრირდებით. გარდა ამისა, თქვენ ეთანხმებით იმ დროს მოქმედ სარგებლობის პირობებს და შესაბამისად, ეთანხმებით და აღიარებთ, რომ ბელგიის ეკონომიკური სამართლის კოდექსის VI.53,13 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების/კონტრაქტის გაწყვეტის უფლებას კარგავთ.

ბულგარეთი

13.2 პუნქტის მე-2 პარაგრაფი ამოღებულ იქნეს და შემდეგნაირად შეიცვალოს:

Kia შემოგთავაზებთ სარგებლობის ამ პირობებში ცვლილებების შეტანას ტელეფონით, ელფოსტით, ან ჩვეულებრივი ფოსტის მისამართზე, რომლებიც მომხმარებლის მიერ არის მოწოდებული, ასევე მათ KiaConnect აპლიკაციაზე და/ან ავტომობილის მთავარ მოწყობილობაზე, შემოთავაზებული გამოყენების ახალი პირობების ძალაში შესვლამდე ორი თვით ადრე განათავსებს. გამოყენების შეცვლილი პირობები ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის, თუ მათ Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაზე, შესაბამის ღილაკზე „მიღება“ დაწკაპუნებით მიიღებთ. თუ გამოყენების წესებში შემოთავაზებულ ცვლილებებს არ ეთანხმებით, შეგიძლიათ (i) გაწყვიტოთ ხელშეკრულება, რომელიც გამოყენების პირობებით რეგულირდება, ან (ii) მისი შესრულება გამოყენების პირობების იმ ვერსიით განაგრძოთ, რომელიც ცვლილებებამდეა ძალაში.

14.5 პუნქტი შემდეგნაირად შეივსება:

უფლებების წინა წინადადების მიხედვით მინიჭების შემთხვევაში, Kia ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს, რომ თქვენთვის მოწოდებული გარანტიები ძალაში უცვლელად დარჩეს.

16.3.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და არ უნდა გამოიყენებოდეს.

17 პუნქტი უნდა წაიშალოს დ შემდეგით ჩანაცვლდეს:

თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ წინაშე პასუხისმგებელნი ვართ ნებისმიერი მომსახურების იმ ხელშეკრულებასთან შეუსაბამობისთვის (მოწოდებული გამოყენების ამ პირობებით), რომელიც სერვისის მიწოდების მომენტში არსებობდა და სერვისის მიწოდებიდან ორი წლის განმავლობაში გამოვლინდა. მომხმარებელმა ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ, Kia-ს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამოვლენიდან, არაუგვიანეს 14 დღისა უნდა აცნობოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, Kia-ს პასუხისმგებლობა უქმდება.

კვიპროსი

16.3.2 პუნქტის მე-4 პარაგრაფი შემდეგით ჩანაცვლდეს:

„Kia-მ დასტური მომხმარებელთა დაცვის 112(I)/2021 კანონის 27(m)(iii) პუნქტის შესაბამისად“ მოგაწოდათ.

ჩეხეთის რესპუბლიკა

3.7 პუნქტი შემდეგნაირად განივრცოს და ჩამოყალიბდეს:

სერვისების მიწოდება და განახლებები

თუ სხვაგვარად შეთანხმებული არ არის, სერვისებსა და განახლებებს ხელშეკრულების დადების შემდეგ მოგაწვდით.
თუ მომსახურებისა და განახლებების მიწოდების შესახებ, ჩვენს ვალდებულებას არ ვასრულებთ, თქვენ, როგორც მომხმარებელს, მას შემდეგ, რაც ფაქტის შესახებ შეგვატყობინებთ, ან დამატებით ვადაში, რაზეც ჩვენ ორმხრივად და გარკვევით შევთანხმდით, კონტრაქტზე უარის თქმის უფლება გაქვთ. შეთანხმებული დამატებითი ვადის გასვლამდე, ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ ჩვენი განცხადებიდან, ან გარემოებებიდან აშკარად ჩანს, რომ სერვისებს, ან განახლებებს არ ვაწვდით, ან თუ ხელშეკრულების გაფორმებისას, ან იმ გარემოებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმებისას არსებობდა, აშკარაა, რომ ხელშეკრულების შესრულება განსაზღვრულ ვადაშია საჭირო.
5.5.2 პუნქტი წაიშალოს.
8 პუნქტი დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
სერვისების უმეტესობა უფასოა. თუმცა, ზოგიერთი სერვისი და განახლება ექვემდებარება საფასურს, რომელიც Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაში, თითოეული ინდივიდუალური სერვისისთვის, ან განახლებისთვის არის მითითებული. საკომისიო საბოლოოა და ყველა მოსაკრებელსა და გადასახადს მოიცავს.
8.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
კონკრეტული ავტომობილის (მისი შესაბამისი VIN-ით განსაზღვრული) მომხმარებლებს უფასო სერვისები 7 წლის განმავლობაში მიეწოდებათ. ეს 7-წლიანი პერიოდი, ავტომობილის საგარანტიო პერიოდის საწყისი დღიდან იწყება.
თუ უფასო მომსახურების პერიოდში ავტომობილი ახალ მფლობელზე/მთავარ მომხმარებელზე გაიყიდა და დარეგისტრირდა, ახალ მფლობელს/მთავარ მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს სერვისებით უფასოდ სარგებლობა უფასო მომსახურების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, სერვისების საკუთარი სახელით გააქტიურების გზით. უფასო მომსახურების პერიოდზე გავლენას არ იქონიებს თავდაპირველი გაყიდვის შემდეგ ნებისმიერი შემდგომი გაყიდვა და რეგისტრაცია, ანუ უფასო სერვისის პერიოდი ავტომობილის შემდგომი გაყიდვით ან/და რეგისტრაციით არც შეწყდება და არც გახანგრძლივდება.
13.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
Kia სერვისებში საჭირო ცვლილებების შეტანის უფლებას იტოვებს. ჩვენს სერვისებში პერიოდულად ცვლილებები შეგვაქვს, რათა მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობა შევინარჩუნოთ. ასევე შეიძლება, ჩვენს სერვისებში ცვლილებები უსაფრთხოების მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად შევიტანოთ, რომ მათ ხარისხის სტანდარტები დააკმაყოფილონ (მაგალითად, რაც 17 პუნქტში, დეფექტებზე პასუხისმგებლობის კანონით არის დადგენილი).
Kia უფლებას იტოვებს, სერვისებში გონივრული ცვლილებები შეიტანოს. იმ პირობით, რომ გონივრული ცვლილებები დამატებით ხარჯებს არ წარმოქმნის და რომ ამგვარი ცვლილებების შესახებ წინასწარ გაცნობებთ, ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი სერვისები შემდეგი დამატებითი მიზეზების გამო შევცვალოთ:

- ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირება;
- სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან, ან შემცირებასთან შეგუება;
- ლიცენზიებში, ან მესამე მხარეებთან პარტნიორობაში მნიშვნელოვან ცვლილებებთან ადაპტირება და
- ბოროტად გამოყენების, ან დაზიანების თავიდან აცილება.

თუ გონივრული ცვლილებები თქვენს წვდომის, ან სერვისების გამოყენების უნარს მნიშვნელოვნად გააუარესებს, ჩვენ წერილობით, გონივრულ ვადაში შეგატყობინებთ, სანამ ცვლილება ძალაში შევა. ეს შეტყობინება გაგაცნობთ ცვლილების ხასიათს, მისი განხორციელების დროსა და თქვენს უფლებას, ხელშეკრულება ჯარიმების გარეშე შეწყვიტოთ ოცდაათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ცვლილების შესახებ შეგატყობინებთ, ან სერვისების შეცვლის თარიღიდან, რომელიც უფრო გვიან იქნება.
13 პუნქტი დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
სანამ თქვენს KiaConnect ანგარიშს შექმნით, ან სერვისების, ან განახლებების შეკვეთის გაგზავნამდე, შეგიძლიათ თქვენს ინფორმაციაში შეცდომები შეასწოროთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ, თქვენს KiaConnect ანგარიშში, გარკვეული ინფორმაცია მოგვიანებით შეასწოროთ, ან შეცვალოთ.
14.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
Kia-სა და თქვენ შორის ყველა ხელშეკრულება ჩეხურ ენაზეა გაფორმებული. შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების ტექსტი დასადასტურებელ ელფოსტაში მოგეწოდებათ. ჩვენ ასევე დადებულ ხელშეკრულებებს, კანონით გათვალისწინებული მოქმედი შენახვის ვადით ვინახავთ.
15.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
ჩვენ შემდეგი ორგანოების ზედამხედველობას ვექვემდებარებით: (ა) ჩეხეთის რესპუბლიკაში მომხმარებელთა დაცვის სფეროში, ჩეხეთის სავაჭრო ინსპექციის ორგანოს მიერ და (ბ) პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში "Der Hessische Beauftragte für Datenschutz und".Informationsfreiheit", Gustav-Stresemann-Ring 1, 65189 Wiesbaden, ტელეფონი:+49 (0)611-1408 0, ელფოსტა: poststelle@datenschutz.hessen.de,

ჩეხეთის რესპუბლიკაშიკი - მონაცემთა დაცვის ორგანოს მიერ. თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს მიმართოთ.

15.3 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

თუ მომხმარებელი ხართ, ასევე შეგიძლიათ, ჩეხეთის სავაჭრო ინსპექტირების ორგანოში სასამართლო დავების გადაწყვეტის სისტემა (www.coi.cz) გამოიყენოთ. ინფორმაცია სასამართლოს გარეშე დავების გადაწყვეტის შესახებ, შემდეგ ვებსაიტზეა ხელმისაწვდომი: www.coi.cz/informace-o-adr/. გარდა ამისა, შეგიძლიათ გამოიყენოთ ევროკომისიის ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებსაიტზე: https://ec.europa.eu/consumers/odr/main/index.cfm?event=main.home2.show&lng =CS

16.3.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

კონტრაქტის შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას გავალდებულებთ, თუ
Kia-მ ხელშეკრულების შესრულება თქვენი წინასწარი თანხმობით, გასვლის 14-დღიანი ვადის ამოწურვამდე დაიწყო,
თქვენ აღიარეთ, რომ თქვენი თანხმობით, გასვლის უფლებას დაკარგავთ და
Kia-მ მოგაწოდათ დადასტურება სამოქალაქო კოდექსის 1824a (1) (2) პუნქტის №89/2012 კრებულის შესაბამისად, შესწორებებით.

17 პუნქტი უნდა წაიშალოს.

17.1 პუნქტი უნდა დაემტოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

სერვისებზე და განახლებებზე, სამოქალაქო კოდექსის No. 89/2012 კანონთა კრებულის მოქმედი დებულებების შესაბამისად, ხარვეზისთვის კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის უფლება ვრცელდება. თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ მიმართ 17.2-დან 17.12-მდე პუნქტები გამოიყენება.

17.2 პუნქტი უნდა დაემტოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, თუ არ შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებას, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, სერვისები და განახლებები დეფექტების გარეშე მოგაწოდოთ (იხ. სექცია 17.8). კერძოდ, თუ ჩვენს ვალდებულებას ვერ შევასრულებთ, პასუხისმგებელი ვართ, უზრუნველვყოთ, რომ სერვისები და განახლებები:

ა) შეესაბამებოდეს შეთანხმებულ აღწერას და ფარგლებს, ასევე ხარისხს, ფუნქციურობას, თავსებადობას, ინტეროპერაბელურობას და სხვა შეთანხმებულ მახასიათებლებს;

ბ) შესაფერისია იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც თქვენ მათ ითხოვთ და რაზეც ჩვენ შევთანხმდით; და

გ) მოწოდებულია შეთანხმებული აქსესუარებით და გამოყენების ინსტრუქციით, მათ შორის, ინსტალაციის ინსტრუქციითა და მომხმარებლის მხარდაჭერით.

ჩვენ ასევე პასუხისმგებელი ვართ იმისთვის, თუ თქვენს წინაშე ვალდებულებებს ვერ შევასრულებთ, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ შეთანხმებულ ფუნქციებთან, სერვისებთან და განახლებებთან ერთად:

ა) იმ მიზნებს შეესაბამებოდეს, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ, ასეთი ციფრული კონტენტი გამოიყენება, მათ შორის მესამე მხარის უფლებების, კანონმდებლობის, ტექნიკური სტანდარტების, ან ინდუსტრიის პრაქტიკის კოდექსების მიმართ, სადაც ტექნიკური სტანდარტები არ არსებობს;

ბ) მათი მასშტაბით, ხარისხით და შესრულების სხვა პარამეტრებით, მათ შორის ფუნქციურობით, თავსებადობით, ხელმისაწვდომობით, უწყვეტობითა და უსაფრთხოებით, იმავე ტიპის ციფრული კონტენტის ჩვეულებრივ მახასიათებლებს შეესაბამებოდეს, რომლებსაც შეიძლება გონივრულად მოელოდეთ, მათ შორის, Kia-ს ან იმავე საკონტრაქტო ჯაჭვში არსებული სხვა პირის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გათვალისწინებით, კერძოდ, რეკლამაში ან მარკირებაში;

გ) მიეწოდება აქსესუარებით და გამოყენების ინსტრუქციებით, რომლებსაც შეიძლება გონივრულად ელით და

დ) საცდელ ვერსიას, ანწინასწარ გადახედვას შეესაბამება, რომელიც Kia-მ ხელშეკრულების დადებამდე წარადგინა.

ზემოთ მოყვანილ პუნქტ (b)-ს შესაბამისად, საჯარო განცხადებით ვალდებული არ ვიქნებით, თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ არ ვიცოდით მის შესახებ, ან რომ ხელშეკრულების გაფორმებისას, ის იმგვარად იყო შეცვლილი, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ედრებოდა იმას, როგორც განცხადება პირველად იყო ჩამოყალიბებული, ან რომ ის კონტრაქტის გაფორმების გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებას ვერ მოახდენდა.

17.3 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ჩვენ ასევე თქვენ წინაშე ნებისმიერ დეფექტზე ვართ პასუხისმგებელი, რომელიც გამოწვეულია თქვენს ციფრულ გარემოში სერვისებისა და განახლებების არასწორი შესრულებით, როგორც ეს ჩვენ მიერ, ან ჩვენი საკონტრაქტო ვალდებულებით განხორციელდება. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც თქვენ დაიწყეთ განხორციელება და ხარვეზი ჩვენ მიერ მოწოდებული ინსტრუქციების სიმწირის გამო წარმოიშვა.

17.4 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

შეთანხმებული განახლებების გარდა, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენ მოგეწოდოთ განახლებები, რომლებიც კონტრაქტის განმავლობაში, ან იმ სერვისებისა თუ გაუმჯობესებების შემთხვევაში, რომლებიც იმ

პერიოდისთვის, რომელსაც გონივრულად მოელოდით, ერთჯერადად არის მიწოდებული, აუცილებელია სერვისებისა და განახლებების უდეფექტო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. ჩვენ შეგატყობინებთ, როდესაც ეს განახლებები ხელმისაწვდომი გახდება.
თუ გონივრულ ვადაში ვერ განახორციელებთ სერვისისა და გაუმჯობესებების განახლებებს, რომლებიც წინა პუნქტის მნიშვნელობას ესადაგება, დეფექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მხოლოდ სერვისებისა და გაუმჯობესებათა შეუსრულებლობის შედეგად წარმოიქმნება, უფლება არ გექნებათ. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც თქვენ არ მიგიღიათ შეტყობინება განახლების, ან სერვისებისა დაგაუმჯობესებების შეუსრულებლობის შესახებ, ან თუ ჩვენს მიერ მოწოდებული ინსტრუქციების ხარვეზის გამო, თქვენ ისინი არასწორად განაახლეთ.
<u>17.5 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თუ სერვისები, ან გაუმჯობესებები დეფექტურია, თქვენ გაქვთ დეფექტის გამოსწორების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენთვის ამის გაკეთება შეუძლებელია, ან მისი გამოსწორება არაგონივრულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.
დეფექტის შეტყობინებით, ჩვენ დეფექტს გონივრულ ვადაში გამოვასწორებთ ისე, რომ რაიმე დიდ დისკომფორტს არ შეგიქმნით, სერვისებისა და გაუმჯობესებების ხასიათისა და მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც ისინი მოითხოვეთ.
<u>17.6 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თქვენ შეგიძლიათ, ფასის გონივრული შემცირება მოითხოვოთ, ან კონტრაქტზე უარი თქვათ, თუ:

ა) 16.5 პუნქტის შესაბამისად, დეფექტი არ გამოვასწორეთ, ან ჩვენი განცხადებიდან ან გარემოებებიდან ჩანს, რომ დეფექტი არ გამოსწორდება გონივრულ ვადაში, ან თქვენთვის დიდი უხერხულობის შექმნის გარეშე;

ბ) დეფექტი კვლავ ვლინდება გამოსწორების შემდეგ; ან

გ) დეფექტი ხელშეკრულების არსებით დარღვევას წარმოადგენს.

თქვენ არ შეგიძლიათ, უარი თქვათ ხელშეკრულებაზე, თუ სერვისების ან გაუმჯობესებების დეფექტი უმნიშვნელოა.
<u>17.7 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თუ დეფექტი გამოჩნდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ჩვენ გვეკისრება ტვირთი, დავამტკიცოთ, რომ სერვისები და გაუმჯობესებები დეფექტის გარეშე იყო უზრუნველყოფილი. ერთჯერადად მიწოდებული სერვისების, ან გაუმჯობესებების შემთხვევაში, ნებისმიერი დეფექტი, რომელიც სერვისების მიწოდებიდან, ან გაუმჯობესებებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოვლინდა, მიჩნეულია, რომ მიწოდების დროს არსებობდა. ეს ერთწლიანი პერიოდი მანამ უნდა შეჩერდეს, სანამ თქვენ ვერ შეძლებთ სერვისების, ან გაუმჯობესებების გამოყენებას, თუ ლეგიტიმურად იყენებდით თქვენს კანონიერ უფლებებს, რომლებიც დეფექტზე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.
<u>17.8 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თქვენ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ კანონით განსაზღვრული, დეფექტების გამო პასუხისმგებლობის უფლებები სერვისის, ან გაუმჯობესების დეფექტებზე, რომლებიც ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ვლინდება. ერთჯერადად მიწოდებული სერვისების, ან გაუმჯობესებების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, სერვისის ან გაუმჯობესების დეფექტებზე, რომლებიც სერვისების, ან განახლებების მიწოდების დღიდან, ორი წლის განმავლობაში ვლინდება, დეფექტის პასუხისმგებლობაზე თქვენი უფლებები მოითხოვოთ. თუ თქვენ დეფექტზე კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის უფლებებს სამართლებრივად მოითხოვთ, თქვენი უფლებების რეალიზაციის პერიოდი მანამ შეჩერდება, სანამ სერვისებით ან გაუმჯობესებებით სარგებლობა არ შეგიძლიათ.
<u>17.9 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თუ ხელშეკრულებიდან გახვალთ, სერვისების, ან გაუმჯობესებების გამოყენებისგან თავი უნდა შეიკავოთ და ისინი მესამე მხარეს არ მიაწოდოთ. თუ თქვენ ამ წესს დაარღვევთ, ჩვენ შეიძლება სერვისებისა და გაუმჯობესებების შემდგომი გამოყენება დავბლოკოთ, კერძოდ, სერვისებისა და გაუმჯობესებების, ან თქვენი Kia Connect-ის ანგარიშის მიუწვდომლობით.
<u>17.10 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:</u>
თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ საჩივრით ან პრეტენზიით, რომელიც დეფექტებზე პასუხისმგებლობის კანონით დადგენილი უფლებებიდან, ან სხვა კომერციული გარანტიიდან მომდინარეობს, ან ფოსტით მისამართზე: Kia ConnectGmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ან ელფოსტით მისამართზე: support@kia-connect.eu. ჩვენ გაუმართლებელი შეფერხების გარეშე დავადასტურებთ საჩივარს, ან პრეტენზიას და ვეცდებით, ის გონივრულ ვადაში გადავწყვიტოთ, თუ თქვენთან სხვაგვარად შეთანხმებული არ არის. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ნებისმიერი საჩივარი განვიხილოთ და გადავამოწმოთ. ჩვენ საჩივრის, ან პრეტენზიის გადაწყვეტის შესახებ შეგატყობინებთ. თუ თანხის დაბრუნების საჭიროება არსებობს, ჩვენ ამას რაც შეიძლება მალე გავაკეთებთ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ მიერ შესაბამისი უფლების წარდგენის დღიდან, თოთხმეტი (14) დღის განმავლობაში. თუ სხვა რამ შეთანხმებული არ არის, თანხის დაბრუნება, როგორც წესი, გადახდის იმავე მეთოდის გამოყენებით განხორციელდება, რომელსაც თქვენ სერვისების, ან გაუმჯობესებების შესაძენად იყენებთ.

17.11 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
თუ თქვენს საჩივარს, ან პრეტენზიას 17.10 პუნქტში დადგენილ ვადაში ვერ მოვაგვარებთ, თქვენ შეგიძლიათ, ხელშეკრულებაზე უარი თქვათ, ან იმ სერვისების ან გაუმჯობესებების შემთხვევაში, რომლებიც საფასურს ექვემდებარებოდა, ფასის გონივრული შემცირება მოითხოვოთ.
17.12 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს
თუ თქვენ ლეგიტიმურად აცხადებთ უფლებას, რომელიც დაკავშირებულია დეფექტურ შესრულებასთან, უფლება გაქვთ, თქვენი უფლების დამტკიცებასთან დაკავშირებით, გონივრულად გაწეული ხარჯები ანაზღაურდეს.

დანია

თუ მომხმარებელი ხართ, ასევე უფლება გაქვთ, საჩივარი აქ შეიტანოთ: Ankenævnet for Biler, Lautrupvej 2, 2750 Ballerup, თუ თქვენი საჩივარი მანქანის შეძენას და დაკავშირებულ სერვისებს ეხება.

ესტონეთი

14.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი: ჩვენი უფლება, რომ ამ სექციის შესაბამისად, ჩვენი უფლებები და მოვალეობები სხვებს მივანიჭოთ, არ ვრცელდება, როდესაც ეს გადაცემა შეიძლება შეთანხმების შესრულების ალბათობის შემცირებას გულისხმობდეს.
15.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი:
თუ მომხმარებელი ხართ (როგორც 16პუნქტშია განსაზღვრული), თქვენ ასევე უფლება გაქვთ, მიმართოთ სამომხმარებლო დავების კომიტეტს, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე https://ttja.ee/en/consumer-disputes-committee.
15.2 პუნქტის მეორე წინადადება თქვენზე არ ვრცელდება, თუ მომხმარებელი ხართ.
17 პუნქტის მეორე წინადადება უნდა წაიშალოს და შემდეგნაირად შეიცვალოს:
დეფექტზე პასუხისმგებლობის კანონით დადგენილი უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები არ იწურება მიწოდების პერიოდის დასრულებიდან 24 თვის გასვლამდე; ხოლო, თუ ასეთი ვადა ხელშეკრულების საფუძველზე 24 თვეზე მეტია, პრეტენზიები შესაბამისი ვადის გასვლამდე ძალას არ კარგავს.

ფინეთი

15.2 პუნქტის ბოლო წინადადება უნდა წაიშალოს და შემდეგნაირად შეიცვალოს:
თუ თქვენ ხართ მომხმარებელი, როგორც ეს მომხმარებელთა დაცვის კანონის (38/1978) 1-ლი თავის, მე-4 ნაწილით არის განსაზღვრული, თქვენ ასევე უფლება გაქვთ, მომხმარებელთა დავების საბჭოში, Hämeentie 2, P.O. Box306, 00531 Helsinki (www.kuluttajariita.fi) საჩივარი შეიტანოთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა დავების საბჭოს გადაწყვეტილებები არასავალდებულო რეკომენდაციებია. მომხმარებელთა დავების საბჭოში საჩივრის შეტანამდე, მომხმარებელთა საკონსულტაციო სამსახურს (www.kuluttajaneuvonta.fi) უნდა დაუკავშირდეთ.
შემდეგი სრულიად ახალი პირობები მოქმედებს:
თუ თქვენ მომხმარებელი ხართ, მომხმარებელთა დაცვის კანონის (38/1978) 1-ლი თავის მე-4 ნაწილის შესაბამისად და ცხოვრობთ ფინეთში, თქვენ ყოველთვის გაქვთ უფლება, მომხმარებელთა დაცვის ფინეთის კანონმდებლობის საფუძველზე, სარჩელი შეიტანოთ საოლქო სასამართლოში, რომლის იურისდიქციაშიც თქვენ ხართ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან მუდმივი საცხოვრებლით. თუ თქვენ მომხმარებელი ხართ, მომხმარებელთა დაცვის კანონის (38/1978) 1-ლი თავის მე-4 ნაწილის შესაბამისად და ცხოვრობთ ფინეთში, ფინეთის მომხმარებელთა დაცვის სავალდებულო ეროვნული კანონები და რეგულაციები უცვლელი დარჩება და გამოყენების ამ პირობების დებულებების მიუხედავად, მოქმედებას აგრძელებს.

საფრანგეთი

1.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
ხელშემკვრელი მხარეები
გამოყენების წინამდებარე პირობები („გამოყენების პირობები“) ვრცელდება Kia Connect აპის („Kia Connect აპი“) გამოყენებაზე და/ან Kia Connect-ის გამოყენებაზე მანქანის მთავარი მოწყობილობის მეშვეობით („მთავარი მოწყობილობა“), რომელიც გთავაზობთ Kia Connect-ის გარკვეული სერვისებით („სერვისები“) სარგებლობისა და Kia Connect-ის მაღაზიის სექციაში განახლებების („განახლება“) შეძენის შესაძლებლობას, თქვენს მანქანაში გამოსაყენებლად.
სერვისებსა და გაუმჯობესებებს უზრუნველყოფს Kia Connect GmbH, რომელიც რეგისტრირებულია სარეგისტრაციო ნომრით HRB 112541, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, ელფოსტის მისამართი: info@kia-connect.eu („Kia“; „ჩვენ“; „ჩვენს“; „ჩვენი“), სერვისების მომხმარებლისთვის („მომხმარებელი“ ან „თქვენ“).
5.5.2 პუნქტის სათაური უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
5.5.2 პუნქტი მომხმარებლის გასვლის უფლებაზე უარის თქმა
8.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი:
სერვისების მიწოდების ფასი და გადახდის მეთოდი, როდესაც 7-წლიანი უფასო პერიოდი ამოიწურება, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიიღოთ უახლესი ინფორმაცია ყველა მოქმედი ტარიფისა და ტექნიკური მომსახურების საფასურის შესახებ Kia Connect-ის ვებსაიტის საშუალებით.

8.3 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინების 9, 11.3 და 11.6 პუნქტებში, ხელმისაწვდომია Kia Connect-ის ვებსაიტზე https://connect.kia.com/eu/downloads.
9 პუნქტი სათაური უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
9 სერვისების ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება
9.5 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
Kia Connect ვალდებულებას იღებს, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით თქვენი ინფორმაციის დასაცავად, მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენოს.
თუმცა, თქვენ აცხადებთ, რომ სრულად ინფორმირებული ხართ იმის შესახებ, რომ მონაცემები ნებისმიერი სახის შეჭრისგან, მათ შორის გატეხვისგან, სრულად დაცული არ არის.
თქვენ აღიარებთ, რომ შეუძლებელია გადაცემული მონაცემების სრული უსაფრთხოების გარანტია. შესაბამისად, Kia Connect არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ნებისმიერ ინციდენტზე, რომელიც შეიძლება ამ გადაცემით წარმოიშვას.
15 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
15.1
თქვენ შეგიძლიათ შეკითხვების, ან საჩივრების შემთხვევაში, დამატებითი ხარჯების გარეშე, ზემოაღნიშნულ პუნქტ 1-ში მითითებული საკონტაქტო დეტალები გამოიყენოთ.
15.2
თუ მომხმარებელი ხართ: საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსის L.616-1 და R.616-1 მუხლების თანახმად, საჩივრის შემთხვევაში, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მეგობრულად და დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდა, თქვენ შეგიძლიათ, მედიაციის სერვისს უფასოდ მიმართოთ. როგორც ასეთი, Kia Medicys-ის მედიაციის სერვისის წესებს მარტივად და უფასოდ იყენებს, თქვენი ფაილის ელექტრონულად გაგზავნით ვებგვერდზე www.medicys-consommation.fr, ან მარტივი ფოსტით (თქვენი ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი და წერილობითი საჩივარი მიამაგრეთ), მისამართზე: Medicys – 73 boulevard de Clichy – 75009 Paris
16 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
თუ მომხმარებელი ხართ, რამდენადაც სერვისების მიწოდება ციფრული კონტენტის მიწოდებას მოიცავს, რომელიც გამძლე საშუალებებზე ჩაწერილი არ არის, თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ გამოყენების პირობებზე დათანხმებით, Kia-ს მიერ სერვისების დაუყოვნებლივ დაწყებას თანხმდებით, სანამ გასვლის თქმის ვადა ამოიწურება და პირდაპირ უარს ამბობთ სერვისებიდან გასვლის კანონიერ უფლებაზე, როდესაც ასეთი შესრულება დაწყებულია.
17 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
17 პუნქტი ციფრული კონტენტისა და სერვისების შესაბამისობის სამართლებრივი გარანტია
თუ მომხმარებელი ხართ,შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის შესაბამისად, დაცვის საშუალებებით სარგებლობის უფლება გაქვთ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჩარჩოში მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც ToU-ს ბოლოს არის მოცემული.
სერვისების მოქმედი გარანტიების შეხსენება
(art D. 211-4 C. Conso)
მომხმარებელს უფლება აქვს, ციფრული კონტენტის, ან სერვისის მიწოდებიდან 7 წლის განმავლობაში, შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისობის კანონიერი გარანტია გამოიყენოს. ამ პერიოდის განმავლობაში, მომხმარებელს მოეთხოვება, რომ მხოლოდ შეუსაბამობის არსებობა და არა მისი გამოჩენის თარიღი დაადგინოს.
შესაბამისობის სამართლებრივი გარანტია მოიცავს ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა განახლება, რომელიც ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობის 7 წლის განმავლობაში შესანარჩუნებლად არის აუცილებელი.
შესაბამისობის კანონიერიგარანტია მომხმარებელს უფლებას აძლევს, ციფრული შინაარსის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაშიმოყვანა მისი მოთხოვნით, ზედმეტი შეფერხების გარეშე, საფასურის გარეშე და მისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტის გარეშე მოითხოვოს.
მომხმარებელს შეუძლია, ფასის შემცირება, ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შენარჩუნებით მიიღოს, ან ციფრულ კონტენტზე, ანციფრულ სერვისზე უარის თქმის სანაცვლოდ, კონტრაქტის შეწყვეტა, თანხის სრული დაბრუნებით შეუძლია, თუ:
1° სპეციალისტი უარს ამბობს ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაში მოყვანაზე;
2° ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობა გაუმართლებლად შეფერხდა;
3° ციფრული კონტენტი, ან ციფრული სერვისი, შესაბამისობაში მომხმარებლისთვის უფასოდ არ შეიძლება მოვიდეს;
4° ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაში მოყვანა მომხმარებელს დიდ დისკომფორტს უქმნის;
5° ციფრული შიგთავსის,ან ციფრული სერვისის შეუსაბამობა გრძელდება მიუხედავად მოვაჭრის წარუმატებელი მცდელობისა, ისინი შესაბამისობაში მოიყვანოს.

მომხმარებელს ასევე ფასის შემცირების, ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს, როდესაც შეუსაბამობა იმდენად სერიოზულია, რომ ფასის დაუყოვნებლივ შემცირებას, ან ხელშეკრულების შეწყვეტას ამართლებს. ასეთ შემთხვევებში, მომხმარებელი ვალდებული არ არის, ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობაში მოყვანა წინასწარ მოითხოვოს.
იმ შემთხვევებში, როდესაც შეუსაბამობა უმნიშვნელოა, მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გააუქმოს, თუ ხელშეკრულება ფასის გადახდას არ ითვალისწინებს.
ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის მიუწვდომლობის ნებისმიერი პერიოდი, შესაბამისობაში მათი დაბრუნების მიზნით, აჩერებს გარანტიის მოქმედებას, რომელიც მანამ იყო შენარჩუნებული, სანამ ციფრული კონტენტი, ან ციფრული სერვისი შესაბამისობაში ხელახლა მოვიდოდა.
ეს უფლებები სამომხმარებლო კოდექსის L. 224-25-1-დან L. 224-25-31-მდე მუხლების გამოყენების შედეგად წარმოიქმნება.
ნებისმიერ სპეციალისტს, რომელიც არაკეთილსინდისიერად აფერხებს შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის განხორციელებას, ეკისრება სამოქალაქო ჯარიმა 300 000 ევრომდე, რაც შეიძლება საშუალო წლიური გაყიდვების 10%-მდე (მუხლი L. 242-18-1 საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსი) გაიზარდოს.
მომხმარებლები ხარვეზის აღმოჩენიდან ორი წლის განმავლობაში, ფარული დეფექტების წინააღმდეგ სამართლებრივი გარანტიით, ასევე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-დან 1649-მდე მუხლებით სარგებლობენ. ეს გარანტია მომხმარებელს ფასის შემცირების უფლებას აძლევს, თუ ციფრული კონტენტი, ან სერვისი შენარჩუნებულია, ან სრულ ანაზღაურებას ციფრულ კონტენტზე, ან სერვისზე უარის თქმის სანაცვლოდ.

შეხსენება მოქმედი გარანტიების შესახებ იმ გაუმჯობესებებისთვის, რომლებიც შეზღუდული პერიოდით არის შეძენილი

(art D. 211-4 C. Conso)

ციფრული კონტენტის, ან სერვისის მიწოდებიდან დაწყებული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს, შესყიდვაში მითითებულ პერიოდში, შესაბამისობის სამართლებრივი გარანტია გამოიყენოს. ამ პერიოდის განმავლობაში, მომხმარებელს მოეთხოვება, რომ მხოლოდ შეუსაბამობის არსებობა დაადგინოს და არა მისი გამოჩენის თარიღი.
შესაბამისობის სამართლებრივი გარანტია მოიცავს ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა განახლება, რომელიც შესყიდვაში მითითებულ პერიოდში, ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი.
შესაბამისობის კანონიერი გარანტია მომხმარებელს უფლებას აძლევს, მისი მოთხოვნის შემდეგ, ზედმეტი შეფერხების გარეშე, ყოველგვარი საფასურის გარეშე და მისთვის დიდი დისკომფორტის გარეშე, ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვოს.
მომხმარებელს შეუძლია, ფასის შემცირება, ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შენარჩუნებით მიიღოს, ან ციფრულ კონტენტზე, ანციფრულ სერვისზე უარის თქმის სანაცვლოდ, კონტრაქტის შეწყვეტა, თანხის სრული დაბრუნებით შეუძლია, თუ:
1° სპეციალისტი უარს ამბობს ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაში მოყვანაზე;
2° ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობა გაუმართლებლად შეფერხდა;
3° ციფრული კონტენტი, ან ციფრული სერვისი, შესაბამისობაში მომხმარებლისთვის უფასოდ არ შეიძლება მოვიდეს;
4° ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის შესაბამისობაში მოყვანა მომხმარებელს დიდ დისკომფორტს უქმნის;
5° ციფრული შიგთავსის,ან ციფრული სერვისის შეუსაბამობა გრძელდება მიუხედავად მოვაჭრის წარუმატებელი მცდელობისა, ისინი შესაბამისობაში მოიყვანოს.
მომხმარებელს ასევე ფასის შემცირების, ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს, როდესაც შეუსაბამობა იმდენად სერიოზულია, რომ ფასის დაუყოვნებლივ შემცირებას, ან ხელშეკრულების შეწყვეტას ამართლებს. ასეთ შემთხვევებში, მომხმარებელი ვალდებული არ არის, ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობაში მოყვანა წინასწარ მოითხოვოს.
იმ შემთხვევებში, როდესაც შეუსაბამობა უმნიშვნელოა, მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გააუქმოს, თუ ხელშეკრულება ფასის გადახდას არ ითვალისწინებს.
ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის მიუწვდომლობის ნებისმიერი პერიოდი, შესაბამისობაში მათი დაბრუნების მიზნით, აჩერებს გარანტიის მოქმედებას, რომელიც მანამ იყო შენარჩუნებული, სანამ ციფრული კონტენტი, ან ციფრული სერვისი შესაბამისობაში ხელახლა მოვიდოდა.
ეს უფლებები სამომხმარებლო კოდექსის L. 224-25-1-დან L. 224-25-31-მდე მუხლების გამოყენების შედეგად წარმოიქმნება.
ნებისმიერ სპეციალისტს, რომელიც არაკეთილსინდისიერად აფერხებს შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის განხორციელებას, ეკისრება სამოქალაქო ჯარიმა 300 000 ევრომდე, რაც შეიძლება საშუალო წლიური გაყიდვების 10%-მდე (მუხლი L. 242-18-1 საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსი) გაიზარდოს.
მომხმარებლები ხარვეზის აღმოჩენიდან ორი წლის განმავლობაში, ფარული დეფექტების წინააღმდეგ სამართლებრივი გარანტიით, ასევე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-დან 1649-მდე მუხლებით

სარგებლობენ. ეს გარანტია მომხმარებელს ფასის შემცირების უფლებას აძლევს, თუ ციფრული კონტენტი, ან სერვისი შენარჩუნებულია, ან სრულ ანაზღაურებას ციფრულ კონტენტზე, ან სერვისზე უარის თქმის სანაცვლოდ.

შეხსენება მოქმედი გარანტიების შესახებ იმ გაუმჯობესებებისთვის, რომლებიც შეუზღუდავი პერიოდით არის შეძენილი

(art D. 211-3 C. Conso)

მომხმარებლებს ციფრული კონტენტის, ან სერვისის მიწოდების დღიდან ორი წელი აქვთ, რათა შესაბამისობის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისობის კანონიერი გარანტია გამოითხოვონ. მიწოდების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, მომხმარებელს მოეთხოვება, რომ მხოლოდ შეუსაბამობის არსებობა დაადგინოს და არა მისი გამოჩენის თარიღი.

შესაბამისობის სამართლებრივი გარანტია გულისხმობს ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა განახლება, რომელიც ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი.

შესაბამისობის კანონიერი გარანტია მომხმარებელს იმის უფლებას აძლევს, რომ ყოველგვარი საფასურის გარეშე და მისთვის დიდი დისკომფორტის გარეშე, ციფრული კონტენტი, ან სერვისი შესაბამისობაში იყოს მოყვანილი.

მომხმარებელს შეუძლია, ფასის შემცირებას, ციფრული კონტენტის, ან სერვისის შენარჩუნებასთან ერთად მიაღწიოს, ან კონტრაქტი შეწყვიტოს და ციფრულ კონტენტზე, ან სერვისზე უარის თქმის სანაცვლოდ, თანხა სრულად დაიბრუნოს, თუ:

1° სპეციალისტი უარს ამბობს ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობაში მოყვანაზე;

2° ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობა გაუმართლებლად შეფერხდა;

3° მომხმარებლისთვის ხარჯების დაკისრების გარეშე, ციფრული კონტენტი, ან სერვისი შესაბამისობაში ვერ იქნება;

4° ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობაში მოყვანა მომხმარებელს დიდ დისკომფორტს უქმნის;

5° ციფრული კონტენტის, ან სერვისის შეუსაბამობა გრძელდება, მიუხედავად პროფესიონალის წარუმატებელი მცდელობისა, ის შესაბამისობაში მოეყვანა.

მომხმარებელს ასევე ფასის შემცირების, ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს, როდესაც შეუსაბამობა იმდენად სერიოზულია, რომ ფასის დაუყოვნებლივ შემცირებას, ან ხელშეკრულების გაუქმებას გაამართლებს. ასეთ შემთხვევებში, მომხმარებელი ვალდებული არ არის, ციფრული კონტენტის, ან სერვისის შესაბამისობაში წინასწარ მოყვანა მოითხოვოს.

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუსაბამობა უმნიშვნელოა, მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გააუქმოს, თუ ხელშეკრულება ფასის გადახდას არ ითვალისწინებს.

ციფრული კონტენტის, ან ციფრული სერვისის მიუწვდომლობის ნებისმიერი პერიოდი, შესაბამისობის აღდგენის მიზნით, გარანტიის მოქმედებას აჩერებს, რომელიც მანამ მოქმედებდა, სანამ მოთხოვნების შესაბამისად, ციფრული კონტენტი, ან ციფრული სერვისი, ხელახლა იქნებოდა მიწოდებული.

ზემოაღნიშნული უფლებები, საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსის L. 224-25-1-დან, L. 224-25-31-მდე მუხლების გამოყენებიდან გამომდინარეობს.

ნებისმიერ სპეციალისტს, რომელიც არაკეთილსინდისიერად აფერხებს შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის განხორციელებას, ეკისრება სამოქალაქო ჯარიმა 300 000 ევრომდე, რაც შეიძლება საშუალო წლიური გაყიდვების 10%-მდე (მუხლი L. 242-18-1 საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსი) გაიზარდოს.

ფარული დეფექტებისთვის,საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-დან 1649-მდე მუხლებით, ხარვეზის აღმოჩენიდანორი წლის განმავლობაში, მომხმარებელზე იურიდიული გარანტია ასევე ვრცელდება. ეს გარანტიამომხმარებელს ფასის შემცირების უფლებას აძლევს, თუ ციფრული კონტენტი, ან სერვისი შენარჩუნებულია,ან სრულ სრული ანაზღაურების უფლებას აძლევს, ციფრულ კონტენტზე, ან სერვისზე უარის თქმისსანაცვლოდ.

უნგრეთი

გამოყენების წინამდებარე პირობები ელექტრონული ფორმით არის შედგენილი. სარგებლობის პირობები სერვისის გააქტიურებისთანავე, ღილაკით „ვეთანხმები“ გაფორმდება. გამოყენების პირობები არ განიხილება წერილობითად და თქვენ შეძლებთ, გამოყენების პირობები თქვენს მონაცემთა გადამტანზე, ან ელექტრონულ შესანახ საშუალებაზე შეინახოთ, შეხვიდეთ და გაამრავლოთ. ჩვენ მოგაწვდით ტექნიკურ საშუალებებს, რათა სანამ რაიმე იურიდიულად სავალდებულო განცხადებას გააკეთებთ, ელექტრონულად შეყვანისას დაშვებული შეცდომების აღმოჩენა და გამოსწორება შეძლოთ.

15.2 პუნქტი თქვენზე არ ვრცელდება, თუ მომხმარებელი ხართ.

მომხმარებელთა მიმართ არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის აკრძალვის შესახებ, 2008 წლის XLVII კანონით, Kia ქცევის კოდექსს არ ექვემდებარება.

15.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

ონლაინ დავების გადაწყვეტისთვის, ევროკომისია ვებგვერდს გთავაზობთ, რომელიც მომხმარებლებს და მოვაჭრეებს, მათი დავების სასამართლოს გარეშე გადაჭრაში ეხმარება, ხელმისაწვდომია http://ec.europa.eu/consumers/odr/. ონლაინ გაყიდვების, ან ონლაინ სერვისების კონტრაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამომხმარებლო დავების შემთხვევაში, კომპეტენტური მომრიგებელი ორგანოა ბუდაპეშტის მომრიგებელი ორგანო (1016 Budapest Krisztina krt. 99 first floor 111, საფოსტო მისამართი:

1253 Budapest POB: 10, ელფოსტის მისამართი. : bekelteto.testulet@bkik.hu ტელეფონის ნომერი: +36 (1) 488 21 31, ვებგვერდი: https://bekeltet.bkik.hu).

16.3.2 პუნქტის (დ) ნაწილი უნდა წაიშალოს და შემდეგნაირად შეიცვალოს:

მომხმარებელთა და ბიზნესს შორის ხელშეკრულებების დეტალური წესების შესახებ, სამთავრობო 45/2014. (II. 26.) დადგენილების 29(1)(m) პუნქტის შესაბამისად, Kia-მ დადასტურება მოგაწოდათ.

ირლანდია

1.2 პუნქტის ბოლო წინადადება უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

საპირისპირო შემთხვევაში, ე.ი. ავტომობილის შეძენის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი ავტომობილის მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, შეიძლება 11.4 პუნქტის შესაბამისად შეწყდეს.

4.2.2.7 პუნქტის ბოლო წინადადება უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

მაგ., მაშინაც კი, თუ შეტყობინებების ცენტრში სერვისის შეხსენება არ არის, შეიძლება თქვენი ავტომობილის ერთჯერადი ტექმომსახურება, ან NCT შემოწმება გახდეს საჭირო.

4.2.2.6.4 პუნქტის პირველი წინადადება უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

ავტომობილის სავალდებულო შემოწმების შეხსენებები (როგორიცაა NCT ირლანდიაში): Kia ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო შემოწმების შესახებ შეგატყობინებთ.

16.3.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

იმ ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას გავალდებულებთ, თუ

- Kia-მ კონტრაქტის შესრულება დაიწყო,
- თქვენ მიუთითეთ წინასწარგამოხატული მიეცით იმაზე, რომ Kia-მ კონტრაქტის შესრულება, გასვლის ვადის ამოწურვამდედაიწყოს,
- თქვენ აღიარეთ, რომ თქვენი თანხმობით, 16.3.2 პუნქტის (b) ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების დაწყებისთანავე, თქვენ უარის თქმის უფლებას კარგავთ; და
- Kia-მ ხელშეკრულების გაუქმების უფლების დაკარგვის აღიარების დადასტურება მოგაწოდათ.

17 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

ჩვენ იურიდიულად ვალდებული ვართ, ციფრული კონტენტი და ციფრული სერვისები მოგაწოდოთ, რომლებიც გამოყენების ამ წესებს და მომხმარებლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს შეესაბამება.

ციფრული კონტენტისთვის და/ან ციფრული სერვისებისთვის, რომლებიც თქვენთვის ერთჯერადად არის მოწოდებული, ან მიწოდების ასეთი აქტების სერიაზე, ჩვენ შეიძლება ნებისმიერ შეუსაბამობაზე ვიყოთ პასუხისმგებელი, რომელიც მიწოდების დროს არსებობს.

ციფრული კონტენტისთვის და/ან ციფრული სერვისებისთვის, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მოგეწოდებათ, ჩვენ შეიძლება პასუხისმგებელი ვიყოთ ნებისმიერი შეუსაბამობისთვის, რომელიც აშკარა გახდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი გამოყენების წინამდებარე პირობებით მოგეწოდებათ.

იტალია

13.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ზემოთ, 13.1 პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების გამო, გამოყენების ამ პირობების ცვლილებების შესახებ, Kia შეთავაზებას მოგაწვდით, მათი Kia Connect აპში და/ან ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში ჩვენებით, შემოთავაზებული ახალი პირობების ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს, ორი თვით ადრე. გამოყენების შეცვლილი პირობები ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის, თუ თქვენ მათ, Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაშ შესაბამის ღილაკზე „დათანხმება“ დაწკაპუნებით დაეთანხმებით.

თუ თქვენ შემოთავაზებულ გამოყენების შეცვლილ პირობებს არ ეთანხმებით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ხელშეკრულება შეგიწყვიტოთ, რასაც 6 კვირით ადრე, კალენდარული კვარტლის ბოლომდე შეგატყობინებთ.

14.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, მთლიანად, ან ნაწილობრივ, სერვისის სხვა მიმწოდებელს, თქვენი თანხმობის გარეშე მივცეთ, 6 კვირით ადრე გაფრთხილებით, იმ პირობით, რომ ეს დავალება თქვენს, როგორც მომხმარებლის გარანტიებს არ შეამცირებს. სხვა დებულებების მიუხედავად, თქვენ უფლება გაქვთ, Kia-სთან ხელშეკრულება, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეწყვიტოთ. Kia-სთან თქვენი ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში იმ მომენტიდან შედის, როდესაც ხელშეკრულების უფლებები და მოვალეობები Kia-სგან ახალ კომპანიას გადაეცემა. შეწყვეტის ამ უფლების შესახებ, წერილობით შეტყობინებაში პირდაპირ გაცნობებთ.

ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ეს უფლება ზიანს არ აყენებს თქვენს უფლებას გამოყენების პირობები შეწყვიტოთ და შესაბამისად, უფლებას, სერვისები ნებისმიერ დროს გამოიყენოთ, როგორც ეს 11.2 პუნქტშია გათვალისწინებული.

16.3.2 პუნქტი, (d) ნაწილი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

No206/2005 საკანონმდებლო დადგენილების (იტალიის „სამომხმარებლო კოდექსი“) 51-ე მუხლის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, Kia-მ დასტური მოგაწოდათ.

17 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ საქონლის, ან ციფრული პროდუქტების დეფექტთან დაკავშირებული კანონიერი ვალდებულებების უფლება და გამოყენების ამ წესებში განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი უფლება გაქვთ. დეფექტზე პასუხისმგებლობის კანონით განსაზღვრული უფლებები იწურება 26 თვის შემდეგ, რაც (i) შესაბამისობის ნებისმიერი დეფექტისთვის, რომელიც საქონლის მიწოდების დროს არსებობს და ამ მომენტიდან ორი წლის განმავლობაში გამოვლინდება, საქონლის მიწოდება განხორციელდება; (ii) ციფრული პროდუქტის მიწოდება დეფექტებისთვის, რომლებიც მიწოდების მომენტში არსებობს და პროფესიონალის მიერ, ბოროტი განზრახვით დაფარული არარის, თუ ისინი ამ პერიოდში გამოაშკარავდება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები საქონლის მიწოდებიდან, ან მიწოდების ბოლო აქტიდან 26 თვის გასვლამდე ძალას არ კარგავს.

ლატვია

5.5.2 პუნქტს შემდეგი წინადადება უნდა დაემატოს:
თქვენ, როგორც მომხმარებელი, გატანის უფლებას არ კარგავთ, თუ ასეთ უფლებაზე უარის თქმა, მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია.

15.2 პუნქტის 1 პარაგრაფი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები სრულად, ან ნაწილობრივ, სერვისის სხვა მიმწოდებელს, თქვენი თანხმობის გარეშე, 6 კვირით ადრე გაფრთხილებით გადავცეთ, იმ პირობით, რომ ეს გადაცემა თქვენს, როგორც მომხმარებლის გარანტიებს არ შეამცირებს.

15.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
თუ თქვენ ხართ მომხმარებელი, ლატვიის სასამართლოებში ან სხვა იურისდიქციებში საჩივრის შეტანის გარდა, ასევე უფლება გაქვთ, თუ ეს ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, მიმართოთ სამომხმარებლო დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზებს, რომელიც წარმოიშობა ამ პირობებით გათვალისწინებული შეთანხმებიდან ან მასთან დაკავშირებით. თუ თქვენ ხართ მომხმარებელი ლატვიაში, შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს გარეთ არსებულ მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის კომიტეტს (Patērētāju ārpustiesas strīdu risināšanas komisija) (ვებსაიტი: https://www.ptac.gov.lv/lv/pateretaju- stridu-risinasanas-komisija).

17 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ საქონლის, ან ციფრული პროდუქტების დეფექტის კანონიერ ვალდებულებებთან დაკავშირებული უფლებები და გამოყენების ამ წესებში განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი უფლება გაქვთ. დეფექტთან დაკავშირებული კანონით დადგენილი ვალდებულებების უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები მიწოდების პერიოდის დასრულებიდან, ან შეუსაბამობის აშკარა გამოვლენის დღიდან 24 თვის გასვლამდე არ იწურება, რომელიც უფრო ადრე მოხდება.

ლიეტუვა

14.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები სრულად, ან ნაწილობრივ, სერვისის სხვა მიმწოდებელს, თქვენი თანხმობის გარეშე, 6 კვირით ადრე გაფრთხილებით გადავცეთ, იმ პირობით, რომ ეს გადაცემა თქვენს, როგორც მომხმარებლის გარანტიებს არ შეამცირებს.

15.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:
თუ თქვენ ხართ მომხმარებელი, ლიეტუვის სასამართლოებში, ან სხვა იურისდიქციებში საჩივრის შეტანის გარდა, თუ ეს მოქმედი კანონმდებლობით არის ნებადართული, თქვენ ასევე უფლება გაქვთ, მიმართოთ სამომხმარებლო დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზას, რომელიც ამ პირობებით გათვალისწინებული შეთანხმებიდან ან მასთან დაკავშირებით წარმოიქმნება და ამისთვის, დამტკიცებული ორგანოს მეშვეობით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზა გამოიყენოთ. თუ თქვენ ხართ მომხმარებელი ლიეტუვაში, შეგიძლიათ მიმართოთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო ორგანოს (Vilniaus str. 25, 01402 Vilnius, Lithuania, ელ-ფოსტა: tarnyba@vvtat.lt, ტელეფონი: 85 262 67 51, ფაქსი. (85).) 279 1466, ვებსაიტი www.vvtat.lt).

17 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ საქონლის, ან ციფრული პროდუქტების დეფექტის კანონიერ ვალდებულებებთან დაკავშირებული უფლებები და გამოყენების ამ წესებში განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი უფლება გაქვთ. დეფექტთან დაკავშირებული კანონით დადგენილი ვალდებულებების უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები მიწოდების პერიოდის დასრულებიდან, ან შეუსაბამობის აშკარა გამოვლენის დღიდან 24 თვის გასვლამდე არ იწურება, რომელიც უფრო ადრე მოხდება.

მალტა

15.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
15.2 პუნქტის მეორე აბზაცი უნდა წაიშალოს.

მოლდოვა

6.1 პუნქტის ბოლო ორი წინადადება შემდეგნაირად შეიცვლება:

საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების და შეზღუდვების რაიმე შეზღუდვის და ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე, სერვისები არ უნდა გაყიდოთ, გაავრცელოთ, გამოაქვეყნოთ, მაუწყებლობით გადასცეთ, გაავრცელოთ, ან კომერციული მიზნებისთვის გამოიყენოთ.
საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების და შეზღუდვების რაიმე შეზღუდვის და ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე, თქვენ არ შეგიძლიათ გამრავლება (მთლიანად, ან ნაწილობრივ), გადაცემა (ელექტრონული საშუალებებით, ან სხვაგვარად), შეცვლა, ჩვენება, ხელახლა მიწოდება, ლიცენზირება, ბმულით გადაცემა, ან სერვისები სხვაგვარად, ნებისმიერი საჯარო, ან კომერციული მიზნით გამოიყენოთ.
13.2 პუნქტს ბოლოს შემდეგი ფორმულირება დაემატება:
თუ გამოყენების შემოთავაზებულ შეცვლილ პირობებს არ ეთანხმებით, თქვენ ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება გაქვთ.
14.5 პუნქტის ბოლო პარაგრაფი შეიცვლება და ახალი წინადადება დაემატება:
ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, შეწყვეტის ეს უფლება ზიანს არ აყენებს თქვენს უფლებას, გამოყენების პირობები და შესაბამისად, სერვისების გამოყენების უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ, როგორც ეს 11.2 პუნქტშია გათვალისწინებული. ეს არ მოქმედებს ჩვენს უფლებაზე, ჩვენი უფლებები და მოვალეობები, ამ შეთანხმებით, ან გაერთიანების, ან სხვა რეორგანიზაციის შედეგად, თქვენი თანხმობის გარეშე, გადავცეთ კომპანიას, რომელსაც Kia აკონტროლებს, იმ პირობით, რომ ასეთი გადაცემა მომხმარებლის უფლებებზე უარყოფითად არ იმოქმედებს.
15.2 პუნქტის პირველი პარაგრაფი წაიშლება და შემდეგით შეიცვლება:
მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, თუ მომხმარებელი ხართ, გარდა კომპეტენტური სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენისა, თქვენ ასევე გაქვთ უფლება მოიძიოთ შუამავლობა, ან იმ სამომხმარებლო დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, რომელიც რეგულირებული ხელშეკრულებიდან, ან მასთან დაკავშირებით წარმოიქმნება.
16.1 პუნქტის მეორე წინადადება შემდეგნაირად იქნება პერიფრაზირებული:
გასვლის ვადა ხელშეკრულების დადების მომდევნო დღიდან, 14 დღის შემდეგ იწურება.
16.3 პუნქტი წაიშლება და შემდეგით შეიცვლება:
ციფრული კონტენტის მიწოდების კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც მატერიალური საშუალებებით მიწოდებული არ არის, კონტრაქტზე უარის თქმის უფლება ასევე შემდეგი პირობებით იწურება: Kia-მ ხელშეკრულების შესრულება თქვენი წინასწარი გამოხატული თანხმობით დაიწყო და თქვენ აღიარეთ, რომ ხელშეკრულების შესრულების დაწყების შემდეგ, მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 1065 (1),m) მუხლის შესაბამისად, თქვენი თანხმობა თქვენი უარის თქმის უფლების ამოწურვას გამოიწვევს.
17 პუნქტის ბოლო ნაწილი შემდეგნაირად შეიცვლება:
უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან, 24 თვის გასვლამდე არ იწურება, ხოლო 24 თვეზე მეტი პერიოდით, უწყვეტი მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, პრეტენზიები ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, კანონის ძალას არ დაკარგავს.

ნიდერლანდები

11.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა განივრცოს:
ხელშეკრულების პირველი წლის შემდეგ, ერთი თვით ადრე გაფრთხილებით, ნებისმიერ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია.

ნორვეგია

5.4.3.4 პუნქტის პირველი და მეორე წინადადება შემდეგნაირად ჩასწორდეს:
გთხოვთ, თქვენი მანქანის მყიდველს, მანქანაზე დაყენებული განახლებების შესახებ და დარჩენილი გამოყენების პერიოდებისა და მათი დასრულების შესაბამისი თარიღების შესახებ, ზუსტად აცნობოთ. ასევე გთხოვთ, მყიდველს Kia Connect-ის ანგარიშის შექმნის მოთხოვნის შესახებ აცნობოთ და დაეთანხმოთ გამოყენების წესებს, რათა განახლებების ხელახლა გააქტიურება შეძლოთ.
7.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
გთხოვთ, მანქანის ნებისმიერ სხვა მომხმარებელს/მძღოლს, სერვისები გააქტიურების და მონაცემთა დამუშავების შესახებ, 10.2 პუნქტის შესაბამისად აცნობოთ.
10.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
გთხოვთ, მანქანის ნებისმიერ სხვა მომხმარებელს/მძღოლს აცნობოთ, რომ სერვისები გააქტიურებულია. კერძოდ, ყველა სხვა მომხმარებელს/მძღოლს Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში აღწერილი მონაცემთა დამუშავების აქტივობების შესახებ და იმის შესახებ აცნობეთ, რომ სერვისები მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემები) შეგროვებასა და დამუშავებას მოითხოვს.
16.3.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:
იმ კონტრაქტის შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას, ან პერსონალური მონაცემების მიწოდებას არ გავალდებულებთ, თუ Kia-მ კონტრაქტის შესრულება დაიწყო;

პოლონეთი

3.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

მობილური კომუნიკაციების აპარატურა და შესაბამისი SIM, რომელიც ჩაშენებულია თქვენი მანქანის მთავარ მოწყობილობაში, მხოლოდ გარკვეულ 4G/LTE სიხშირეებთან არის თავსებადი. თავსებადი 4G/LTE ქსელებისა და თავსებადი სიხშირეების ხელმისაწვდომობა, სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში განსხვავდება. ზოგიერთ რეგიონში 4G/LTE თავსებადი სიხშირეები ხელმისაწვდომი არ არის. ამ შემთხვევაში, მთავარი მოწყობილობა სერვისების უზრუნველსაყოფად, კვლავ 2G, ან 3G ქსელებზე (რეოგორც შესაძლებელია) დაბრუნდება. ამ შემთხვევაში, სერვისის მიწოდება შეიძლება ნაკლებად რეაგირებდეს, ან შეფერხდეს ქსელის მიერ, მონაცემთა დაბალი გამტარობის გამო. სერვისების გამოყენება შეუძლებელია იმ ადგილებში, სადაც მობილური კომუნიკაციის თავსებადი ქსელი ხელმისაწვდომი არ არის.

3.6 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

მაშინაც კი, როდესაც თავსებადი მობილური საკომუნიკაციო ქსელი, ზოგადად, ხელმისაწვდომია, სერვისების შესრულება და ხელმისაწვდომობა მოითხოვს, რომ შესაბამისი ქსელი მთავარ მოწყობილობას დაუკავშირდეს. ეს მანქანის ამჟამინდელ მდებარეობაზე სიგნალის ხარისხზეა დამოკიდებული. როდესაც სიგნალის ხარისხი ძალიან დაბალია, სერვისები შეიძლება დაქვეითდეს, ან შეწყდეს. კერძოდ, ეს შეიძლება მოხდეს (i) გვირაბებში, (ii) მთიან რელიეფზე, ან მეჩხერ ტყეებში, (iii) კლდის პირას გამავალ გზებზე, (iv) მჭიდროდ განაშენიანებულ ადგილებში, (v) საავტომობილო გზებზე, ან მეტროების გზებზე, (vi) შენობების შიგნით.

4.2.2.7.4 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ავტომობილის სავალდებულო შემოწმების შეხსენებები (როგორიცაა TÜV გერმანიაში, ან MOT გაერთანებულ სამეფოში): Kia ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო შემოწმების შესახებ შეგატყობინებთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შეხსენება იქნება „ტრანსპორტის სამინისტროს“ ტესტის შესახებ (საყოველთაოდ მოხსენიებული, როგორც „MOT“). ამ სერვისით სარგებლობა მოითხოვს, რომ Kia-ს ავტომობილის ბოლო სავალდებულო შემოწმების ზუსტი თარიღი და ავტომობილის პირველად რეგისტრაციის თარიღი მიაწოდოთ. Kia შეიძლება თქვენ მიერ შეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებელი არ იყოს. თქვენი ვალდებულებაა, სავალდებულო შემოწმების ინტერვალები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვათ.

5.1.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ინდივიდუალური გაუმჯობესებების ხელმისაწვდომობა თქვენი მანქანის მოდელზე, აწყობის თარიღსა და აღჭურვაზეა დამოკიდებული. ზოგადად, „გაუმჯობესების“ ფუნქცია მოითხოვს, რომ ავტომობილს შეეძლოს ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიღება და დაყენება (იხ. 4.2.3.3 პუნქტი) და ინფოტაინმენტ სისტემის უახლესი პროგრამული ვერსიით იყოს აღჭურვილი. განახლების შეძენისას, თავსებადობის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ.

5.1.3 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

განახლების შეძენა გამოიწვევს შესაბამისი ავტომობილის ფუნქციურობისა და თვისებების შეცვლას. თუ განახლებას შეიძენთ ავტომობილისთვის, რომელსაც არ ფლობთ (მაგ.: იჯარით არის აღებული ან დაქირავებულია, ან იმიტომ, რომ ავტომობილს მის მომხმარებელთან იზიარებთ), თქვენ უნდა მიიღოთ მფლობელის თანხმობა ავტომობილის მოდიფიკაციაზე, შესაბამისი ავტომობილისთვის განახლების შეძენამდე.

5.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ამჟამად, შემდეგი განახლებები ზოგადად ხელმისაწვდომია და თქვენი მანქანისთვის მათი შეძენა, თქვენი მანქანის მოდელის, აწყობის თარიღისა და აღჭურვის შესაბამისად არის შესაძლებელი. განახლებების ხელმისაწვდომობის შესახებ დეტალები, Kia Connect აპის მაღაზიის სექციაში, პროდუქტის აღწერილობაშია მითითებული.

5.5.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ გარკვეული გაუმჯობესებები და სხვა დანამატები თქვენი მანქანის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რომლებიც Kia Connect აპის მაღაზიის სექციაშია ხელმისაწვდომი. გაუმჯობესებასთან, ან სხვა დანამატთან დაკავშირებით, Kia Connect აპში შეკვეთის გაგზავნით, Kia-ს შესაბამისი განახლების, ან დანამატის შეძენის შეთავაზებას უგზავნით. შეკვეთის მიღებას, Kia თქვენთვის გამოგზავნილი ავტომატური ელფოსტით (შეკვეთის დადასტურება) ადასტურებს. შეკვეთის ეს დადასტურება არ წარმოადგენს თქვენს შეთავაზებაზე დათანხმებას, არამედ უბრალოდ, Kia-ს მიერ შეთავაზების მიღებას და შემდგომ დამუშავებას ადასტურებს.

Kia-ს და თქვენ შორის კონტრაქტი იდება ყოველ გაუმჯობესებაზე, როგორც კი შეძენილი გაუმჯობესება შესაბამის მანქანაში გააქტიურდება, რომლისთვისაც განახლებაა შეძენილი. Kia-ს არ აქვს უფლება, განახორციელოს ნაწილობრივი მიწოდება, თუ ჩვენ თქვენი აშკარა თანხმობა არ მივიღეთ.

თქვენ შეგიძლიათ, თითოეულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, საცდელი პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ, როგორც ეს 5.3.2 პუნქტშია მითითებული.

5.5.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ზოგადად, თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ კანონით გატანის უფლება გაქვთ, როგორც ეს 16 პუნქტშია მითითებული. შესყიდვის პროცესის მსვლელობისას, ჩვენ გთხოვთ, გამოხატოთ თანხმობა, რომ Kia-მ ხელშეკრულების შესრულება, გასვლის პერიოდის დასრულებამდე დაიწყოს.

7.1 პუნქტი არ გამოიყენება.

7.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ამ 7 პუნქტში ვალდებულებებისა და შეზღუდვების ნებისმიერმა დარღვევამ, შეიძლება სერვისების მიწოდების დროებითი შეჩერება გამოიწვიოს. სერვისების მიწოდების შეჩერების განზრახვისა და შეჩერების ხანგრძლივობის შესახებ, Kia წინასწარ შეგატყობინებთ, სადაც შეჩერების მიზეზებს და ხანგრძლივობას განვმარტავთ და გასაჩივრების უფლების შესახებ გაცნობებთ. შეჩერების ხანგრძლივობას Kia დარღვევის სიმძიმისა და Kia-ს, სერვისის, ქსელის, ან სხვა მომხმარებლისთვის წარმოქმნილი რისკების საფუძველზე განსაზღვრავს. განმეორებითი დარღვევების შემთხვევაში, Kia-ს შეუძლია, 10.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყვიტოს.

9.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

თუ ყველა მომხმარებლისთვის სერვისების უსაფრთხოების, ან სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ან სერვისების სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი, ჩვენ შეიძლება სერვისებზე წვდომა დროებით, ან სამუდამოდ, მთლიანად, ან ნაწილობრივ გამოვრთოთ. ეს თქვენს ნორმატიულ უფლებებზე, ან მომსახურებისა და განახლებების მიწოდებისთვის ჩვენს პასუხისმგებლობაზე არ იმოქმედებს.

9.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

სერვისების მიწოდება და გამოყენებაშეიძლება დაუკავშირედეს შეზღუდვებს, რომლებიც ტექნიკის ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩვენს კონტროლზე დამოკიდებული არაა. კერძოდ, ეს ეხება იმ მონაცემთა გადაცემისთვის საჭირო კავშირების ხელმისაწვდომობას, რომლებიც კავშირის ოპერატორების მიერ არის მოწოდებული. ცალკეულ შემთხვევებში, ქსელის მიუწვდომლობამ შეიძლება სერვისების მიუწვდომლობა გამოიწვიოს, რადგან მონაცემთა საჭირო გადაცემა შეუძლებელი იქნება.

გარდა ამისა, სერვისების,უკაბელო და ფიქსირებული ქსელების და ინტერნეტის პიკური დატვირთვის გამო, შეიძლება გამტარუნარიანობის მოკლევადიანი შეფერხებები წარმოიქმნას. თქვენს კანონიერ უფლებებზე, ან მომსახურებისა და გაუმჯობესებების მიწოდებისთვის ჩვენს პასუხისმგებლობაზე ეს არ იმოქმედებს.

9.3 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

შეფერხებები ასევეშეიძლება იმ ტექნიკური და სხვა ზომების გამო (მაგ. რემონტი, ტექნიკური მომსახურება,პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები და გაფართოებები) წარმოიქმნას, რომლებიც ჩვენი სისტემების, ან ქვემდგომი ან ზემდგომი მიმწოდებლების, კონტენტის მიმწოდებლების და ქსელის ოპერატორების სისტემებისთვის, რომლებიც სათანადო, ან გაუმჯობესებული მუშაობისთვის არის საჭირო, აუცილებელია. თქვენს კანონიერ უფლებებთან, ან ჩვენს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, მომსახურებისა და გაუმჯობესებების მიწოდებაზე ეს არ იმოქმედებს.

9.4 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

როდესაც სერვისებზე წვდომა დეაქტივირებული, შეზღუდული ან შეფერხებულია, როგორც ეს ამ 9 პუნქტშია აღწერილი, ჩვენ დაგიკავშირდებით, რათა ამის შესახებ შეგატყობინოთ და დეაქტივაციის, შეზღუდვის, ან შეფერხების მიზეზი მოგახსენოთ.

11.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ეს ხელშეკრულება თქვენ მიერ, მთავარ მოწყობილობაში მიღებისთანავე იწყება. მას ვადა ეწურება, როდესაც უფასო მომსახურების პერიოდი დასრულდება (იხ. 8.1 პუნქტი), თუ ამ 11 პუნქტის შესაბამისად, ადრე არ შეწყვეტილა.

11.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

თქვენ შეგიძლიათ, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, ერთი თვით ადრე გაფრთხილებით, კალენდარული კვარტლის ბოლომდე შეწყვიტოთ.

11.3 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

7.4 პუნქტში მითითებული, მომხმარებლის ვალდებულებების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, Kia-ს შეუძლია, ხელშეკრულება გაფრთხილებით, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს. შეწყვეტის შესახებ შეგატყობინებთ, შეწყვეტის მიზეზებს გამოვაცხადებთ და გასაჩივრებაზე თქვენს უფლებას გაცნობებთ.

11.4 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

გარდა ამისა, ავტომობილის შეძენის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი დილერის მიერ მანქანის ხელახალი შეძენის, ან სხვაგვარად გატანის, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის, მანქანის მესამე პირზე მიყიდვის, ქურდობის, ან სრული დაზიანების შემთხვევაში, რაც რემონტს არ ექვემდებარება, თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შესაბამის მანქანასთან დაკავშირებით, მომსახურება შეწყვიტოს.

11.5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

შეწყვეტაზე ყველა მხარის კანონიერი უფლება უცვლელი რჩება.

11.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

11.1 ცვლილებები სერვისებში, ან გამოყენების წესებში

Kia-მ შეიძლება სერვისები, ან გამოყენების პირობები შემდეგი მიზეზების გამო შეცვალოს:

- მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილება, რომელიც გამოყენების ამ პირობების, ან სერვისების შეცვლის ვალდებულებას იწვევს;
- უსაფრთხოების ახალი ზომების შემოღება;

- ხარისხის არსებული სტანდარტების გაუმჯობესება (მაგ., რომლებიც ნორმატიული გარანტიების შესახებ 16 პუნქტშია აღწერილი);
- სერვისების ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაციის გაუმჯობესება;
- ძალადობის, ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად, უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება.

მომავალი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას, მინიმუმ 14 დღით ადრე, ელფოსტით მიიღებთ. შეტყობინებაში მითითებული იქნება ცვლილების შეტანის მიზეზი და საფუძველი. თუ ცვლილებებზე უარს იტყვით, ან მათ ვერ დაეთანხმდებით, უფლება გექნებათ, ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ.

13.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

13.2 სხვა ცვლილებები სერვისებში ან გამოყენების წესებში

იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც ზემოთ, 13.1 პუნქტშია მითითებული, Kia გამოყენების ამ პირობების, ან სერვისების ცვლილებების შესახებ შეთავაზებას, Kia Connect აპში და/ან მანქანის მთავარ მოწყობილობაში, არაუგვიანეს ორი თვით ადრე მოგაწვდით, სანამ გამოყენების შემოთავაზებული ახალი პირობები, ან სერვისებში ცვლილებები ძალაში შევა. გამოყენების შეცვლილი პირობები, ან სერვისები ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის, თუ თქვენ მათ Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაში, შესაბამის ღილაკზე „დათანხმება“ დაწკაპუნებით მიიღებთ.

თუ თქვენ შემოთავაზებულ გამოყენების შეცვლილ პირობებს არ ეთანხმებით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ხელშეკრულება 6 კვირით ადრე შეტყობინებით, კალენდარული კვარტლის ბოლომდე შევწყვიტოთ.

14.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

Kia-ს და თქვენ შორის ყველა შეთანხმება გაფორმებულია ადგილობრივ ენაზე. შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდეგ, შეთანხმების ტექსტი ხელმისაწვდომი იქნება თქვენთვის, რათა ვებგვერდიდან https://connect.kia.com/eu/downloads ჩამოტვირთოთ და ასევე, მას ელექტრონული ფოსტით მიიღებთ.

14.3 პუნქტი უნდა წაიშალოს.

14.5 პუნქტი უნდა წაიშალოს.

16 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

16 სერვისებთან და გაუმჯობესებების შეძენასთან დაკავშირებით, უარის თქმის უფლების შესახებ ინსტრუქციები

თუ თქვენ ხართ: (i) მომხმარებელი (ანუ ფიზიკური პირი, რომელიც უკვეთავს იმ მიზნით, რომელიც არ შეიძლება თქვენს კომერციულ, ან თვითდასაქმებით პროფესიულ საქმიანობას მიეკუთვნებოდეს); ან (ii) ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას, უფლება გაქვთ, ნორმატიული დებულებების შესაბამისად, განახლებების შესყიდვის შესახებ ნებისმიერ შეთანხმებასთან დაკავშირებით (იხ. 5 პუნქტი) უარი თქვათ, როდესაც ხელშეკრულება თქვენთვის პროფესიული ხასიათის არ არის.

16.1 გასვლის უფლება

ამ ხელშეკრულებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გასვლის უფლება გაქვთ. გასვლის ვადა, ხელშეკრულების დადების დღიდან 14 დღის შემდეგ იწურება.

უარის თქმის უფლების გამოსაყენებლად, ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ თქვენი გადაწყვეტილება, ცალსახა განცხადებით (მაგ., ფოსტით, ან ელფოსტით გამოგზავნილი წერილით) უნდა შეგვატყობინოთ (Kia Connect GmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ტელეფონის ნომერი: +49 800 7773044 და ელფოსტის მისამართი: support@kia-connect.eu).

თქვენ შეგიძლიათ, გასვლის თანდართული სანიმუშო ფორმა გამოიყენოთ, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის. თქვენ ასევე შეგიძლიათ, გასვლის სანიმუშო ფორმა, ან ნებისმიერი სხვა ცალსახა განცხადება ელექტრონულად, ჩვენს ვებგვერდზე https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form შეავსოთ და გაგზავნოთ. თუ ამ ვარიანტს იყენებთ, ასეთი გასვლის მიღების დადასტურებას სანდო საშუალებებით (მაგ., ელფოსტით), დაუყოვნებლად შეგატყობინებთ.

გასვლის ვადაში ჩასატევად საკმარისია, გასვლის უფლების განხორციელების შესახებ შეტყობინება მანამ გაგზავნოთ, სანამ გასვლის ვადა ამოიწურება.

16.2 გასვლის ეფექტები

თუ თქვენ ამ კონტრაქტიდან გახვალთ, ჩვენ თქვენგან მიღებულ ყველა გადასახადს, მიწოდების ხარჯების ჩათვლით (გარდა დამატებითი ხარჯებისა, რომლებიც წარმოიქმნება მიწოდების ტიპის თქვენ მიერ არჩევით, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სტანდარტული მიწოდების ყველაზე იაფი ტიპის გარდა), ზედმეტი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში აგინაზღაურებთ, არა უგვიანეს 14 დღისა იმ დღიდან, როდესაც ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, თქვენი გადაწყვეტილების შესახებ გვეცნობა.

ანაზღაურებას იმავე გადახდის საშუალებების გამოყენებით განვახორციელებთ, რომლებიც თავდაპირველი ტრანზაქციისთვის გამოიყენეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ სხვაგვარად არ გაქვთ შეთანხმებული; ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ანაზღაურების შედეგად, გადასახადი არ დაგეკისრებათ.

16.3 მნიშვნელოვანი შენიშვნა: გასვლის უფლების ამოწურვა

ციფრული კონტენტის მიწოდების კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც მატერიალური საშუალებებით არ არის მიწოდებული, გასვლის უფლება ასევე შემდეგი პირობებით იწურება:

16.3.1

კონტრაქტის შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას არ გავალდებულებთ, თუ Kia-მ კონტრაქტის შესრულება დაიწყო;

16.3.2

ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას გავალდებულებთ, თუ
Kia-მ კონტრაქტის შესრულება დაიწყო;
თქვენ წინასწარ გამოხატული თანხმობა გაეცით იმაზე, რომ Kia-მ კონტრაქტის შესრულება, გასვლის ვადის ამოწურვამდე დაიწყოს;
თქვენ აღიარეთ, რომ თქვენი თანხმობით, (16.3.2) ნაწილის შესაბამისად, უარის თქმის უფლებას, ხელშეკრულების შესრულების დაწყებისთანავე კარგავთ; და
Kia-მ დადასტურება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 312f პუნქტის შესაბამისად (Bürgerliches Gesetzbuch, „BGB“) მოგაწოდათ.

16.4 გასვლის სანიმუშო ფორმა

გასვლის სანიმუშო ფორმა
(ეს ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეავსეთ და დააბრუნეთ, თუ კონტრაქტიდან გასვლა გსურთ)

- მისამართი: Kia Connect GmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ელფოსტის მისამართი: support@kia-connect.eu:
- მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ მე/ჩვენ (*) გავდივარ(თ) ჩემი/ჩვენი (*) კონტრაქტიდან შემდეგი სერვისის (*) მიწოდებისთვის,
- შეკვეთის თარიღი (*) / მიღების თარიღი (*),
- მომხმარებელ(ებ)ის სახელი,
- მომხმარებლ(ებ)ის მისამართი,
- მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა ქაღალდზეა წარმოდგენილი),
- თარიღი

(*) წაშალეთ საჭიროებისამებრ.

17 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

თუ მომხმარებელი ხართ,თქვენ გაქვთ საქონლის ან ციფრული პროდუქტების დეფექტების პასუხისმგებლობის კანონიერი უფლება და ნებისმიერი დამატებითი უფლება, რომლებიც გამოყენების ამ წესებშია განსაზღვრული. კანონით განსაზღვრული ხარვეზის პასუხისმგებლობის უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტისმიწოდებიდან ექვსი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, მიწოდების პერიოდის დასრულებიდან ექვსი წლის გასვლამდე, პრეტენზიები არ ამოიწურება.

პორტუგალია

15.2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

თუ თქვენ ხართ მომხმარებელი, პორტუგალიის სასამართლოებში ან სხვა იურისდიქციებში საჩივრის შეტანის გარდა, თუ ეს ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, ასევე უფლება გაქვთ, მიმართოთ სამომხმარებლო დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზას, რომელიც ამ პირობებით გათვალისწინებული შეთანხმებიდან ან მასთან დაკავშირებით წარმოიქმნება, რისთვისაც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის დამტკიცებულ ორგანოს გამოიყენებთ. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ორგანოების მიმდინარე სია, ასევე დამატებითი ინფორმაცია მოქმედი ADR პროცედურის შესახებ, შეგიძლიათ, იხილოთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტორატის ვებსაიტზე www.consumidor.gov.pt/.
Kia არ მონაწილეობს და ვალდებული არ არის, მომხმარებლებისთვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოებში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურებში მიიღოს მონაწილეობა.

16.3.2 პუნქტის (16.3.2) ნაწილი უნდა წაიშალოს.

რუმინეთი

17 პუნქტის მეორე პარაგრაფი უნდა შესწორდეს და შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

[…] კანონით დადგენილი, დეფექტთან დაკავშირებული ვალდებულების უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ხუთი წლის შემდეგ იწურება; […]

სლოვაკეთი

5.5.2 პუნქტი უნდა წაიშალოს.

8.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

სერვისების უმეტესობა უფასოა. თუმცა, ზოგიერთი სერვისი და გაუმჯობესება ექვემდებარება საფასურს, რომელიც თითოეული ინდივიდუალური სერვისისთვის, ან გაუმჯობესებისთვის Kia Connect აპში, ან მთავარ მოწყობილობაშია მითითებული. საკომისიო საბოლოოა და ყველა მოსაკრებელსა და გადასახადს მოიცავს. კონკრეტული ავტომობილის მომხმარებლებისთვის (მისი შესაბამისი VIN-ით განსაზღვრული) უფასო სერვისები გათვალისწინებულია 7 წლის ვადით. ეს 7-წლიანი პერიოდი ავტომობილის საგარანტიო პერიოდის დაწყების დღიდან იწყება.

თუ უფასო მომსახურების პერიოდში ავტომობილი ახალ მფლობელზე/მთავარ მომხმარებელზე გაიყიდა და დარეგისტრირდა, ახალ მფლობელს/მთავარ მომხმარებელს შეუძლია, აირჩიოს სერვისებით უფასოდ სარგებლობა, უფასო მომსახურების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, სერვისების საკუთარი სახელით გააქტიურების გზით. უფასო მომსახურების პერიოდზე გავლენას არ იქონიებს თავდაპირველი გაყიდვის შემდეგ ნებისმიერი შემდგომი გაყიდვა და რეგისტრაცია, ანუ უფასო სერვისის პერიოდი ავტომობილის შემდგომი გაყიდვით ან/და რეგისტრაციით არც შეწყდება და არც გახანგრძლივდება.

14.1 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

Kia-ს და თქვენ შორის ყველა შეთანხმება სლოვაკურ ენაზეა გაფორმებული. შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების ტექსტი დამადასტურებელ ელწერილში მოგეწოდებათ.

15.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

ჩვენ ვექვემდებარებით შემდეგი ორგანოების ზედამხედველობას: (ა) მომხმარებელთა დაცვა სლოვაკეთში, სლოვაკეთის სავაჭრო ინსპექტირების ორგანოს მიერ და (ბ) პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში „Der Hessische Beauftragte für Datenschutz und Informationsfreiheit“, GGustav-Stresemann-Ring 1, 65189 Wiesbaden, ტელეფონის ნომერი: +49 (0) 611-1408 0, ელფოსტის მისამართი: poststelle@datenschutz.hessen.de და სლოვაკეთში მონაცემთა დაცვის ორგანოს მიერ. თქვენ უფლება გაქვთ, ზედამხედველობის ნებისმიერ შესაბამის ორგანოს მიმართოთ.

15.3 პუნქტი უნდა განივრცოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

თუ თქვენ ხართ მომხმარებელი, შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ სასამართლოს გარეთ დავების გადაწყვეტის სისტემა სლოვაკეთის სავაჭრო ინსპექტირების ორგანოს (www.soi.sk), ან სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დავების გადაწყვეტის სხვა შესაბამისი მიმწოდებლების წინაშე. სასამართლოს გარეთ დავების გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებსაიტზე: https://www.soi.sk/sk/alternativne-riesenie-spotrebitelskych-sporov.soi.

16.3.2 პუნქტი უნდა წაიშალოს და შემდეგით შეიცვალოს:

კონტრაქტის შემთხვევაში, რომელიც ფასის გადახდას გავალდებულებთ, თუ
Kia-მ კონტრაქტის შესრულება, თქვენი წინასწარი თანხმობით, გასვლის 14-დღიანი ვადის გასვლამდე დაიწყო, თქვენ აღიარეთ, რომ თქვენი თანხმობით გასვლის უფლებას კარგავთ; და
№102/2014 კანონის 4(6) პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა დაცვის შესახებ საქონლის გაყიდვისას, ან მომსახურების გაწევისას, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების, ან გამყიდველის შენობის გარეთ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესწორებებით, Kia-მ დადასტურება მოგაწოდათ.

მე-17 პუნქტი უნდა წაიშალოს.

17.1 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

თუ მომხმარებელი ხართ,სამოქალაქო კოდექსის № 40/1964 Coll. კანონის მოქმედი დებულებების საფუძველზე, შესწორებებით,სერვისების და გაუმჯობესებების დეფექტებისთვის, კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ვრცელდება.

17.2 პუნქტი უნდა დაემატოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

თუ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია, მომხმარებელს მისი უფასოდ, დროულად და სათანადოდ გამოსწორების უფლება აქვს. Kia ვალდებულია, დეფექტი ზედმეტი შეფერხების გარეშე გამოასწოროს. დეფექტის გამოსწორების მოთხოვნის ნაცვლად, მომხმარებელს შეუძლია, საქონლის ან ციფრული პროდუქტის მთლიანად შეცვლა, ან თუ ხარვეზი მხოლოდ საქონლის, ან ციფრული პროდუქტის ნაწილს ეხება, ნაწილობრივი შეცვლა მოითხოვოს, თუ ეს Kia-სთვის არაგონივრულ ხარჯებს არ გამოიწვევს, საქონლის ანციფრული პროდუქტის ფასის, ან ხარვეზის სიმძიმის გათვალისწინებით. Kia-ს ყოველთვის შეუძლია, დეფექტის გამოსწორების ნაცვლად, დეფექტური საქონელი, ან ციფრული პროდუქტი საღი ვარიანტით შეცვალოს, იმ პირობით, რომ ეს მომხმარებელს დიდ დისკომფორტს არ შეუქმნის.

თუ დეფექტის გამოსწორება შეუძლებელია და ის საქონლის, ან ციფრული პროდუქტის დეფექტების გარეშე, დანიშნულებისამებრ გამოყენებას ხელს უშლის, მომხმარებელს უფლება აქვს, მოცემული საქონელი, ან ციფრული პროდუქტი გამოცვალოს, ან ხელშეკრულებიდან გავიდეს. მომხმარებელს იგივე უფლებები აქვს, თუ ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ მომხმარებელს საქონლის, ან ციფრული პროდუქტის დანიშნულებისამებრ გამოყენება, გამოსწორების შემდეგ დეფექტის ხელახლა გამოჩენის, ან დეფექტების დიდი რაოდენობის გამო არ შეუძლია. თუ არსებობს სხვა გამოუსწორებელი ხარვეზები, მომხმარებელს საქონლის, ან ციფრული პროდუქტის ფასის გონივრული შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს.

ესპანეთი

გამოყენების წინამდებარე პირობები დადებულია ელექტრონული ფორმით. გამოყენების პირობები სერვისის გააქტიურებისთანავე, ღილაკით „ვეთანხმები“ ფორმდება.

5.5.1 პუნქტი,Kia-ს მიერ შეთავაზების მიღებასთან დაკავშირებით არ ვრცელდება. შეკვეთის დამადასტურებელი ელფოსტა კონტრაქტის დადასტურებას ემსახურება, მათ შორის, Kia-ს მიერ მომხმარებლის შეკვეთის მიღებას.

7.5 პუნქტი დარღვევების შესახებ, მაშინ გამოიყენება, თუ მომხმარებელი მოქმედ კანონებს, ან რეგულაციებს სერიოზულად არღვევს, ან როდესაც თქვენი დარღვევა Kia-ს სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს, ან მის მომხმარებლებს, ან სერვისებს აზიანებს.

13.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა განივრცოს:

თქვენ წინასწარ შეგატყობინებთ სერვისებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, როდესაც ეს გონივრულად შესაძლებელია. თუ ცვლილებები არსებითია, თქვენ უფლება გექნებათ, ეს კონტრაქტი, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეწყვიტოთ.

შვედეთი

17 პუნქტი შემდეგით უნდა შეიცვალოს:

თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ ციფრულ პროდუქტების დეფექტზე პასუხისმგებლობის კანონიერი უფლებები და გამოყენების ამ წესებში განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი უფლება გაქვთ. დეფექტზე ვალდებულების კანონით განსაზღვრულ უფლებას ვადა, დადებიდან სამი წლის შემდეგ გაუვა; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, პრეტენზიები, მათი წარდგენიდან სამი წლის, ან კონტრაქტის უფრო მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში იწურება.

შვეიცარია

16 პუნქტი უნდა წაიშალოს.

მოქმედი სავალდებულო კანონით დაშვებულ სრულ ფარგლებში, Kia ნებისმიერ და ყველა გარანტიას, იმ მოცულობით გამორიცხავს, რომელიც ვრცელდება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სერვისებისთვის. სერვისები „როგორც არის“ პრინციპით არის უზრუნველყოფილი.

გაერთიანებული სამეფო

11.3 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ნებისმიერ მხარეს, მატერიალური დარღვევის შესახებ შეტყობინების შემდეგ, შეთანხმების დაუყოვნებლივ შეწყვეტა შეუძლია. Kia-სთვის მატერიალური დარღვევის გამო შეთანხმების შეწყვეტის უფლების მაგალითია, როდესაც თქვენ განმეორებით, ან სერიოზულად არღვევთ მომხმარებლის ვალდებულებებს, როგორც ეს 7.5 პუნქტშია მოცემული.

14 პუნქტს შემდეგი 14.6 პუნქტი უნდა დაემატოს:

ამ კონტრაქტის მონაწილე მხარის გარდა, ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობის აღსრულების უფლება არავის აქვს.

14 პუნქტს შემდეგი 14.7 პუნქტი უნდა დაემატოს:

ამ კონტრაქტზე ინგლისისადა უელსის კანონები ვრცელდება, თუმცა თუ თქვენ სხვა ქვეყანაში ცხოვრობთ, თქვენ დაცვის ყველა სავალდებულო საშუალებაზე უფლებას ინარჩუნებთ, რომლებსაც ამ ქვეყნის კანონები განიჭებთ. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, თუ თქვენ გერმანიაში ცხოვრობთ, მაშინ გერმანიის კანონმდებლობით გაცემული ნებისმიერი სავალდებულო დაცვის სარგებელს ინარჩუნებთ.

14 პუნქტს შემდეგი 14.8 პუნქტი უნდა დაემატოს:

ნებისმიერი დავა ინგლისისა და უელსის სასამართლოების არაექსკლუზიურ იურისდიქციას დაექვემდებარება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, საჩივარი ინგლისისა და უელსის სასამართლოებში შეიტანოთ, ან სხვა ქვეყნის სასამართლოებში, სადაც ცხოვრობთ.

15.1 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

ჩვენ ვეცდებით, თქვენთან ნებისმიერი დავა სწრაფად და ეფექტურად მოვაგვაროთ. თუ რაიმე შეკითხვა, პრეტენზია გაქვთ, ან ჩვენი სერვისით, ციფრული კონტენტით, ან სხვა საკითხთან დაკავშირებით უკმაყოფილო ხართ, გთხოვთ, ზემოთ, 1 პუნქტში მითითებული საკონტაქტო დეტალების გამოყენებით, რაც შეიძლება მალე დაგვიკავშირდეთ.

17 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

17 დეფექტებზე კანონიერი პასუხისმგებლობა

17.1. თუ მომხმარებელი ხართ, თქვენ საქონლის, ან ციფრული პროდუქტების დეფექტებთან დაკავშირებული კანონიერი ვალდებულებების უფლება და გამოყენების ამ წესებში განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი უფლება გაქვთ. თუ გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები მომხმარებელი არ ხართ, დეფექტებთან დაკავშირებული კანონით დადგენილი ვალდებულებების უფლებები, შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ იწურება; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, მიწოდების პერიოდის დასრულებიდან 12 თვის გასვლამდე, პრეტენზიები ხანდაზმულობის გამო, ძალას არ დაკარგავს.

17.2. მომხმარებელთა უფლებების 2015 წლის კანონი, გაერთიანებულ სამეფოში მომხმარებლებს გარკვეულ კანონიერ უფლებებს (ასევე ცნობილია, როგორც „კანონიერი უფლებები“) ანიჭებს. ციფრული კონტენტი, რომელსაც ჩვენ მოგაწვდით, აღწერას უნდა შეესაბამებოდეს, დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი უნდა იყოს და დამაკმაყოფილებელი ხარისხი უნდა ჰქონდეს. კანონით ვალდებულნი ვართ, მივაწოდოთ ციფრული კონტენტი, რომელიც ამ ხელშეკრულებას შეესაბამება.

17.3. ციფრული კონტენტის მიწოდებისას: (a) ჩვენ ყველა გონივრულ ძალისხმევას გამოვიყენებთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის დეფექტებისგან, ვირუსებისგან და სხვა მავნე შიგთავსისგან თავისუფალია; (b) ჩვენ არ გპირდებით, რომ ის მესამე მხარის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, ან მოწყობილობასთან თავსებადია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვთქვით, რომ ეს ჩვენს ვებსაიტზეა; და (c) თქვენ აღიარებთ, რომ მასში შეიძლება მცირე შეცდომები, ან ხარვეზები იყოს.

17.4. გაერთიანებული სამეფოს მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობით თქვენი კანონიერი უფლებების შესაჯამებლად, თუ თქვენ მომხმარებელი გაერთიანებულ სამეფოში ხართ და თქვენი ციფრული კონტენტი გაუმართავია, თქვენ შეკეთების, ან შეცვლის უფლება გაქვთ. თუ დეფექტის გამოსწორება ვერ ხერხდება, ან ის

გონივრულ ვადაში და მნიშვნელოვანი დისკომფორტის გარეშე ვერ აღმოიფხვრა, შეგიძლიათ, თქვენი თანხა ნაწილობრივ, ან სრულად დაიბრუნოთ. თუ იმის დამტკიცება შეგიძლიათ, რომ გაუმართაობამ თქვენი მოწყობილობა დააზიანა და ჩვენ გონივრული ზრუნვა და უნარები არ გამოვიყენეთ, თქვენ შეიძლება შეკეთების, ან კომპენსაციის უფლება მიიღოთ. დეტალური ინფორმაციისთვის,Citizens Advice-ს დაუკავშირდეთ და ეწვიეთ ვებგვერდს www.citizensadvice.org.uk, ან დარეკეთ +44 (0) 808 223 1133.

17.5. თქვენს, როგორც მომხმარებლის, კანონიერ უფლებებზე გაერთიანებულ სამეფოში (მათ შორის, ConsumerRightsAct2015-ის უფლებებსა და სხვა უფლებებზე კანონის ფარგლებში), ამ კონტრაქტში არაფერი იმოქმედებს.

17.6. თუ ციფრული კონტენტი, რომელსაც ჩვენ მოგაწვდით, გაუმართავია, ამ გვერდის ზემოთ ნაჩვენები საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით დაგვიკავშირდით.

17.7. ჩვენ მიერ მოწოდებულ ციფრულ კონტენტში ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, თქვენ: (ა) ნებისმიერი შესწორება, განახლება, გაუმჯობესება, ახალი გამოშვება და ახალი ვერსიები, რაც შეიძლება მალე უნდა დააინსტალიროთ, მას შემდეგ, რაც გეტყვით, რომ ისინი ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომია; და (ბ) ის მხოლოდ მესამე მხარის მიერ რეკომენდებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და აღჭურვილობაზე გამოიყენოთ, რომელიც ჩვენს ვებგვერდზეა მითითებული.

ძალაშია 2025 წლის აგვისტოდან